



საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა

საქართველო

აგვისტო 2019

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა	1
საქართველო.....	1
სარჩევი	2
ცხრილები.....	4
შემოკლებები	5
ენერგიის ერთეულები და კოეფიციენტები.....	6
1. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა.....	7
1.1. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NREAP) საფუძველი	7
1.2. განახლებადი ენერგიის საკანონდებლო ჩარჩო-დოკუმენტები	9
2. არსებული და მოსალოდნელი საბოლოო ენერგომოხმარება 2014-2020 წ.წ.	13
3. ღონისძიებები	14
3.1. განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის ყველა დოკუმენტის და ღონისძიების მიმოხილვა.....	14
3.2. ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მე-13, მე-14, მე-16 და მე-17 დან 21-ე მუხლებში გაწერილი მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებები	24
3.2.1. ადმინისტრაციული პროცედურები და სივრცითი მოწყობა (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (1))	24
3.2.2. ტექნიკური სპეციფიკაციები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (2))	37
3.2.3. შენობები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (3))	39
3.2.4. ინფორმირების დებულებები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (1),14(2) და 14(4)	42
3.2.5. მემონტაჟეთა სერტიფიცირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (3))	44
3.2.6. ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (1) და მუხლი 16(3) (6)-ის ჩათვლით)	46
3.2.7. ელექტროენერგეტიკული ქსელის ფუნქციონირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (2), მუხლი 16 (7)და (8)).....	57
3.2.8. ბიოგაზის ინტეგრირება ბუნებრივი გაზის ქსელში (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (7) და მუხლი 16 (9) და (10)).....	64
3.2.9. ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 16 (11))	64
3.2.10. ბიოსაწვავი და სხვა სახის ბიოსითხეები- მდგრადობის კრიტერიუმი და შესაბამისობის დამოწმება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა,მუხლი 17 -დან 21-ის ჩათვლით (11)).....	65

3.3. ელექტროენერგეტიკაში განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა.....	69
3.4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან წევრ-სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა გათბობისა და გაგრილების სისტემებში	72
3.5. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან წევრ-სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა ტრანსპორტის სექტორში .	73
3.6. ბიომასიდან ენერგიის მისაღებად კონკრეტული ღონისძიებების ხელშეწყობა	73
3.6.1. ბიომასის მიწოდება: ადგილობრივი და გარე წყარო	73
3.6.2. ბიომასის ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები, სხვა ბიომასის მომხმარებლების გათვალისწინებით (სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის სექტორები).....	78
3.7. წევრ-სახელმწიფოთა შორის სტატისტიკური მონაცემების გადაცემის დაგეგმილი გამოყენება და სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ან მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში დაგეგმილი მონაწილეობა	81
3.7.1. პროცედურული ასპექტები	81
3.7.2. განახლებადი ენერგიის სავარაუდო ჭარბი წარმოება მაჩვენებელ ტრაექტორიასთან შედარებით, რომელიც შესაძლოა გადაეცეს სხვა წევრ-სახელმწიფოებს	82
3.7.3. განსაზღვრული პოტენციალი ერთობლივი პროექტებისთვის	82
3.7.4. განახლებად ენერგიებზე სავარაუდო მოთხოვნა, არამხოლოდ ადგილობრივი წარმოების დასაკმაყოფილებლად	82
4. შეფასებები	82
4.1. ზეგავლენის შეფასება	82
4.2. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი	84

ცხრილები

ცხრილი 1: გათბობა-გაგრილების, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის სისტემებში მოსალოდნელი მთლიანი საბოლოო ენერგომოხმარება 2020 წლისთვის, ენერგოეფექტურობის მოსალოდნელი შედეგებისა და ენერგოდამზოგველი ღონისძიების გათვალისწინებით 2014-2020 წ.წ (1000 ტ. ნ.ე.)..	13
ცხრილი 2: ყველა პოლიტიკური დოკუმენტისა და ღონისძიების მიმოხილვა	15
ცხრილი 3: განახლებადი ენერგიის სავარაუდო წილი შენობების სექტორში (2014,2015,2020)	41
ცხრილი 4: ბიომასის მიწოდება 2014 წელს	74
ცხრილი 5: სავარაუდო შიდა მიწოდება 2016-2020წ.წ.	76
ცხრილი 6: 2016 წელს, ენერგეტიკული მცენარეებითვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები	78
ცხრილი 7: განახლებადი ენერგიის პოლიტიკის მხარდამჭერი ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება და სარგებელი.....	83

შემოკლებები

BAU	-	ბიზნესი ტრადიციული გზით
CHP	-	კომბინირებული თბო და ელექტრო გენერაცია
CoM	-	მერების შეთანხმება
DCFTA	-	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე
DSOs	-	გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები
EE	-	ენერგოეფექტურობა
EED	-	ენერგოეფექტურობის დირექტივა
EPBD	-	შენობების ენერგომახასიათებლების შესახებ დირექტივა
EU	-	ევროკავშირი
GAC	-	საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი
GHG	-	სათბურის გაზი
GSE	-	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GOG	-	საქართველოს მთავრობა
HPP	-	ჰიდროელექტროსადგური
INDC	-	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
LEDS	-	დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია
MEPA	-	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურმეობის სამინისტრო
MoESD	-	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MoU	-	ურთიერთგაგების მემორანდუმი
NEAP	-	გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმა
NEEAP	-	ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა
NREAP	-	განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა
PPA	-	ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმება
RES	-	განახლებადი ენერგიის წყაროები
SEAP	-	მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა
TPES	-	მთლიანი პირველადი ენერგო მიწოდება
TSO	-	გადამცემი სისტემის ოპერატორი
TYNDP	-	გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა
UBF	-	მყარი ბიოსაწვავი
ეშხ	-	ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება
კომისია	-	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია
ეგწ	-	ენერგიის განახლებადი წყაროები

ენერგიის ერთეულები და კოეფიციენტები

kV	კილოვოლტი -კვ.	
kWh	კილოვატ საათი - კვტ.სთ.	
MWh	მეგავატ საათი -მგვტ.სთ.	= 1,000 კვტ.სთ
GWh	გიგავატ საათი-გიგავტ.სთ.	= 1,000,000 კვტ.სთ
TWh	ტერავატ საათი -ტვტ.სთ.	= 1,000,000,000 კვტ.სთ
ktoe	ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი -1000 ტ.ნ.ე.	
W	ვატი -ვტ.	
kW	კილოვატი -კვტ.	= 1,000 ვტ.
MW	მეგავატი- მგვტ.	= 1,000,000 ვტ.
Kg	კილოგრამი -კგ.	
t	ტონა - ტ.	= 1,000 კგ.
Kt	კილოტონა- კტ.	= 1,000,000 კგ.
Mt	მეგატონა- მგტ.	= 1,000,000,000 კგ.
km	კილომეტრი კმ.	
tkm	ტონა-კილომეტრზე - ტონა კმ-ზე	
pkm	მგზავრი-კილომეტრზე-მგზავრ-კმ-ზე	

ტ.ნ.ემგვტ.სთ-ზე: 0.085984523

ტ.ნ.ე გიგა ჯოულზე: 0.02388459

მგვტ.სთ ერთ გიგა ჯოულზე: 0.277777778

გიგაკალორია მგვტ.სთ-ზე: 0.859845228

(საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) ოფიციალური გარდაქმნის კოეფიციენტები: წყარო <https://www.iea.org/statistics/resources/unitconverter/>)

ლარი ევროსთან მიმართებაში: 2.9204

აშშ დოლარი ევროსთან მიმართებაში: 1.1749

ოფიციალური გაცვლითი კურსი- 19/10/2017 წ:

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng> (ლარი ევროსთან მიმართებაში:)

<https://www.ecb.europa.eu/stats/exchange/eurofxref/html/eurofxref-graph-usd.en.html> (აშშ დოლარი ევროსთან მიმართებაში:)

1. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა

1.1. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NREAP) საფუძველი

2014 წლის ივნისში, ევროკავშირ-საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას¹, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისში შევიდა. ეს დოკუმენტი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმებასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირთან გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრირების პროცესს უყრის საფუძველს. 2016 წლის 14 ოქტომბერს კი საქართველომ ხელი მოაწერა “ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ” ოქმს. საქართველოს მხრიდან ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება სამართლებრივი ვალდებულების აღებასა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციას გულისხმობს. კერძოდ, საქართველომ უნდა მოახდინოს ადგილობრივ კანონმდებლობაში ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროში მოქმედი იმ დირექტივებისა და რეგულაციების ასახვა, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების XXV დანართშია მოცემული. ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების განხორციელება ენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს, რასაც განახლებადი ენერგიის განვითარებაზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ექნება.

„ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს 2016 წლის 14 ოქტომბრის ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, გადაწყდა „განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ 2009 წლის 23 აპრილის 2009/28/EC დირექტივის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულებას მხარეებს ავალდებულებს მოამზადოს და დაამტკიცოს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დოკუმენტის ამოცანებია:

1. განახლებადი ენერგიის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს არსებული მდგომარეობის აღწერა, ევროკავშირის განახლებადი ენერგიის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად.
2. რიგი პოლიტიკური და საინვესტიციო ღონისძიებების შეთავაზება (მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულების მითითებით).

საქართველოს ენერგეტიკული სისტემა აქტიური განვითარების ფაზაში იმყოფება, ხოლო რეფორმები ძირითადად განპირობებულია ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით და ქვეყნის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით. ასოცირების შეთანხმების ძალით, საქართველომ აიღო ვალდებულება ენერგეტიკულ სექტორში ევროკავშირის დირექტივების განხორციელებისა და მესამე ენერგეტიკულ პაკეტში² ასახული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. ამ რეფორმების პრიორიტეტს, ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობასა და

¹https://eeas.europa.eu/delegations/georgia/9740/eugeorgia-association-agreement_en

² 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას.
http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf

დერეგულაციასთან ერთად წარმოადგენს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებას, რაც მძლავრ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

2015 წლის ივნისში ძალაში შევიდა “საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები “ენერგეტიკული პოლიტიკა” რაც აყალიბებს საქართველოს ახალ ენერგეტიკულ პოლიტიკას, რომლის მიზანია სახელმწიფოს გრძელვადიანი ყოვლისმომცველი ხედვის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი, 2030 წლამდე პერიოდის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი, განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე აქცენტირებული სტრატეგიების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს.

ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლება მუშაობს ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების, კერძოდ, ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ათვისების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას. ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტია, ადგილობრივი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მომხმარებლის ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, საწყის ეტაპზე იმპორტთან ერთად, ხოლო შემდგომ, იმპორტის ადგილობრივი თბოელექტროსადგურებით ჩანაცვლება. გარდა ამისა, საქართველოს ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული წყაროები საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების მთავარ მიმართულებად ყალიბდება.

საქართველოს 2014 წლის ენერგეტიკული ბალანსის³ (საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 90-იანი წლების შემდგომ აღარ ანგარიშდებოდა. 2014 წლიდან თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით მოხდა ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება, აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის სექტორში ძირითადი სამოქმედო გეგმები სწორედ ამ წლის მოცემების საფუძველზეა შედგენილი) თანახმად, ქვეყანაში წარმოებულ ენერგიაში განახლებად ენერგიას 87%-ი უკავია, ხოლო მთლიანი პირველადი ენერგიის მოწოდებაში (TPES) - 27%, მათ შორის ჰიდროენერგიის წილი 16%-ია, ბიოსაწვავი (ძირითადად შეშა) და ნარჩენები - 10%, გეოთერმული, მზე და სხვა - 0.4%. ეს მაჩვენებელი 2013-2015 წლების მონაცემების შესაბამისია. უნდა აღინიშნოს, რომ ბიომასას, უმეტესად კი შეშას, პირველადი ენერგიის მოხმარებაში დიდი წილი უკავია, რაც ტყის დეგრადირების ზრდას უწყობს ხელს. აღსანიშნავია ასევე, რომ 2016 წლის მიწურულს ქარის რესურსის გამოყენებით დაიწყო გამომუშავება

საქართველოს ქარის, მზის, გეოთერმული და განსაკუთრებით ჰიდრორესურსების უდიდესი აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია.

- ჰიდროენერგიისთვის, პოტენციური ჯამური სამძლავრე შეფასებულია 15,000 მგტ-ით, ხოლო წლიური გამომუშავების ჯამური პოტენციალი - 50 ტვტ.სთ-ით. ამ პოტენციალიდან ამჟამად გამოიყენება სიმძლავრის დაახლოებით 22% და წარმოების 17% (2018 წ. საპროგნოზო მაჩვენებელი);
- საქართველოში ქარიდან ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავების პოტენციალი განსაზღვრულია 4 ტვტ.სთ-ით და 1,500 მგტ დადგმული სიმძლავრით. შედარებით ახლახანს განხორციელებული ჰიდრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, საქართველოს გეოთერმული წყლების ყოველწლიური პოტენციალი შეადგენს 250 მილიონ მ³ -ს;
- დღეისთვის საქართველოში 250-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური წყლის საბადოა, სადაც გეოთერმული წყლის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 30-დან 110°C შორის, დღეღამური ჯამური დებეტი შეფასებულია 160,000 მ³-ით.

³ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2083&lang=geo საქსტატი (2015) საქართველოს 2014 წლის ენერგო ბალანსი.

- საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის რადიაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია. ქვეყნის რიგი რეგიონები წლიურად 250-280 მზიანი დღით ხასიათდება, რაც წელიწადში დაახლოებით 6,000-6,780 მზიურ საათს შეადგენს. მზის წლიური გამოსხივება რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მერყეობს 1,250-1,800 კვტ.სთ/მ² შორის.

ახლო მომავალში, განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ეფექტურმა გამოყენებამ, შესაძლოა, დამატებითი 20 ტვტ.სთ გამომუშავება უზრუნველყოს რაც დაახლოებით 7 მლნ. ტონა წიაღისეული საწვავის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კი, ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, შეამციროს სათბურის გაზების ემისიები ატმოსფეროში: კერძოდ, 9 მილიონი ტონა CO₂; 5,000 ტონა CO და 44,000 ტონა NO₂. საქართველოს განახლებადი ენერგო რესურსების სრული გამოყენება, მნიშვნელოვანად წაადგება ქვეყანაში კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესს.

1.2. განახლებადი ენერგიის საკანონდებლო ჩარჩო-დოკუმენტები

“კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” ენერგეტიკული კანონმდებლობის მთავარი ნაწილია, რომელიც 1997 წლიდან ქვეყნის ენერგო სექტორის რეგულაციას ახორციელებს.

ამ კანონის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების დარგების რეაბილიტაციასა და განვითარების მიზნით;
- ხელი შეუწყოს ჰიდროენერგეტიკული და სხვა განახლებადი, ალტერნატიული და ბუნებრივი გაზის რესურსების უპირატეს გამოყენებას;
- განსაზღვრავს, მცირე ზომის ელექტროსადგურს - სადგური რომლის დადგმული სიმძლავრე აღემატება 13 მგვტ-ს;

2006 წლის შემდეგ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონში რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი და ამჟამად ევროკავშირის ზოგიერთ პრინციპებსაც მოიცავს.

ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტია, ადგილობრივი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, მომხმარებლის ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის შემუშავება, რომლის მიღება დაგეგმილია უახლოეს მომავალში. აღნიშნული კანონი გახდება ენერგეტიკული სექტორის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი.

გარდა ამისა, საქართველოში მუშავდება საქართველოს კანონი “განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ”, კანონპროექტის მიზანია, შექმნას განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამომუშავებისა და ამ ენერგიის გამოყენების ხელშემწყობი მარეგულირებელი ჩარჩო.

2006 წელს, პირველი ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად - „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, ქვეყნის ადგილობრივი ბუნებრივი განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენება, საქართველოს ენერგეტიკული

სექტორის განვითარების მთავარ ფაქტორად არის წარმოჩენილი. დამატებით არის ხაზგასმული ისეთი ენერგეტიკული წყაროების განვითარება, როგორიცაა ქარი, მზე და გეოთერმია.

„საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ 2015 წლის ივნისში, შეიცვალა ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტით. პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, გრძელვადიანი ყოვლისმომცველი სახელმწიფო ხედვის შემუშავება, რაც შემდგომ ეტაპზე, კერძოდ 2030 წლისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი იქნება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ადგილობრივი განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე გაკეთდება.

2015 წელს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ დაამტკიცა და მიიღო გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი **„საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“** - გარკვეულ დროით პერიოდზე გათვლილი პროგრამა, რომელიც შეიქმნა ეროვნული გადამცემი სისტემის ინფრასტრუქტურის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული გეგმაში ცვლილებები შედის ყოველწლიურად და დღეის მდგომარეობით მოიცავს 2019-2029 წწ პერიოდს. დოკუმენტი ასახავს არსებულ პრობლემატიკას, პასუხობს სამომავლო გამოწვევებსა და განხორციელების შესაძლებლობებს. დოკუმენტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ინტეგრირება ქსელში, რომელიც ქარისა და მზის საშუალებით ელექტროენერგიის გამომუშავების შემთხვევაში მთავარ გამოწვევად რჩება.

საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის თანახმად, სამინისტროს პრიორიტეტია განახლებადი და ალტერნატიული რესურსების უპირატესი ათვისება და ენერგოსექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მხრივ, სახელმწიფო პროგრამა **„განახლებადი ენერგია 2008“** 2008 წელს იქნა მიღებული და წარმატებით ხორციელდება. მოქმედი კანონის თანახმად, მოხდა შემდეგი ელექტროსადგურების ნაწილობრივი დერეგულირება: 2008 წლის 1 აგვისტოს შემდგომ აშენებული სადგურები, რომლებიც არ წარმოადგენენ გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს; ის ჰესები, რომელთა დადგმული სიმძლავრე არ აღემატება 40 მგტ-ს, არ წარმოადგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს შესაბამისად, თავისუფალია მყიდველის შერჩევასა და გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასის დადგენაში.

ახალი სადგურების მშენებლობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და მიიღო რიგი სახელმწიფო პროგრამა და კანონქვემდებარე აქტების, კერძოდ:

- **საქართველოს მთავრობის დადგენილება N107 სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“-ის⁴ დამტკიცების შესახებ**, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების ინიცირებისა და განხორციელების პროცედურებს. ეს დადგენილება არ მოიცავს განახლებად ენერგეტიკულ სამიზნე მაჩვენებლებს ან სექტორის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. მიმდინარე რეფორმების შედეგად, 2013 წლის წლის 21 აგვისტოს, აღნიშნული დადგენილება ჩანაცვლდა საქართველოს მთავრობის N214 დადგენილებით **„საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევის, მშენებლობის, ფლობის, ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“**. მიმდინარე რეფორმების შედეგად, N214 დადგენილება შეიცვალა საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით და არეგულირებს ყველა ტიპის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების

⁴ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის დადგენილება N 107: განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: http://esco.ge/files/data/Legislation/Energy_2008_geo.pdf

წესს რომელიც არ წარმოადგენს კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტს, მის საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამავე დადგენილების შესაბამისად.

- „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილების შესაბამისად და/ან მის საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამავე დადგენილების შესაბამისად.
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება N40⁵ არეგულირებს ქარის ელექტროსადგურების და სხვა განახლებად ენერგო რესურსებზე მომუშავე სადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების წესებს. მიმდინარე რეფორმების შედეგად აღნიშნული ბრძანება შეიცვალა საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით “იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ და არეგულირებს ყველა ტიპის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების წესს რომელიც არ წარმოადგენს კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტს.
- საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 ივლისს, ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 17 აგვისტოს, შემუშავებულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად და მისი მიზანია საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის განსაზღვრა, აღნიშნული დადგენილება ენერგეტიკის სექტორში არეგულირებს იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს და წარმოადგენს კონცესიას, კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქართველოს მთავრობა, ენერგოეფექტურობის პროგრამის წარმატებული და სწრაფი განხორციელების უზრუნველყოფისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით, გეგმავს ინსტიტუციონალური პოტენციალის გაძლიერებას - რაც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის პროგრამების უფრო სწრაფ განხორციელებასა და ინვესტიციების წახალისებას.

ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად და ენერგოეფექტურობის (EED-2012/27/EU) დირექტივის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მუშაობა დაიწყო ენერგოეფექტურობის კანონის პროექტზე. პროცესი დაგეგმილია, რომ დასრულდეს 2020 წლამდე,

⁵ ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის ბრძანება N 40 იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში . ხელმისაწვდომია:

კანონპროექტი უკვე მოიწონა საქართველოს მთავრობამ, ამჟამად კანონპროექტი მზადდება პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე განსახილველად, კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ დაეხმარება ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებისა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებაში და ეესგ-ში ასახული სამიზნე მაჩვენებლების განხორციელებაში.

ენერგიაზე მოთხოვნილების მართვისა და ასევე, ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, მომზადებულია ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის (ეესგ) სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს ენერგოეფექტურობის ეროვნულ ინდიკატიურ სამიზნე მაჩვენებლებს.

ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2017-2020 წლებისთვის) მთავარი მიზნები:

- სამოქმედო გეგმის შემუშავება ელექტროენერგიის წარმოებისთვის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად ;
- ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (ეგმპ) 2012-16⁷ ხაზს უსვამს გარემოებას, რომ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად ეს პროცესი ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. შესაბამისად, ეკონომიკის მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების თვალსაზრისით. ეგმპ -ს პროგრამა გარემოსდაცვითი 11 თემატური სფეროსთვის ადგენს, კლიმატის ცვლილების ჩათვლით გრძელვადიან (20 წლიან) და მოკლევადიან (5 წლიან) მიზნებს. კლიმატის ცვლილების შერბილება მოკლევადიან მიზანს განეკუთვნება - მიზანი 3: ხელსაყრელი პირობების შექმნა სათბურის გაზების ემისიების შემცირებისთვის. ამ მიმართულებით შემოთავაზებული ღონისძიებები, ეხმარება ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ასევე, განახლებადი ენერგიების განვითარების ხელშეწყობას.

საქართველოს მყარი ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია (სამუშაო ვერსია) შემუშავებულია და მთავრობის დამტკიცებას და სამოქმედოდ მიღებას საჭიროებს. სტრატეგიის მთავარი მიზანია, საქართველოში მყარი ბიომასის ნარჩენების გამოყენების ხელშეწყობა, წარმოების წახალისებისა და თანამედროვე მყარი ბიოსაწვავის გამოყენების საშუალებით. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა წყაროებიდან მყარი ბიომასის ნარჩენების მდგრადი მართვა და მიწოდების უზრუნველყოფა;
- მყარი ბიოსაწვავის წარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბიზნესს პროცესების ხელშეწყობა;
- ბიომასის ნარჩენებიდან მიღებულ ენერგიაზე მოთხოვნის და მდგრადი წარმოების მხარდაჭერა.

⁶ დოკუმენტის მიღების შემდეგ ენერგეტიკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები შეერწყნენ.

⁷ http://www.preventionweb.net/files/28719_neap2.eng.pdf

საქართველომ ასევე შეიმუშავა ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) დოკუმენტი, რომელიც 2015 წლის ბოლოს, გაეროს კლიმატის ცვლილებაზე ჩარჩო კონვენციას (UNFCCC) მხარეთა კონფერენციის-COP21-ის ფარგლებში წარედგინა საზოგადოებას. საქართველო, გეგმავს უპირობოდ, 15%-ით შეამციროს ემისიები 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენარით გათვალისწინებულ მონაცემთან შედარებით. 15%-იანი სამიზნე მაჩვენებელი შესაძლოა 25%-მდეც გაიზარდოს, რაც გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული, კერძოდ გლობალურ შეთანხმებაზე, სადაც ხაზგასმული იქნება ტექნიკური თანამშრომლობის, იაფ ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობისა და ტექნოლოგიების გადაცემის უზრუნველყოფა. BAU სცენართან შედარებით, ემისიების 25%-იანი შემცირება უზრუნველყოფს, საქართველოს მიერ 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით 40%-იანი შემცირების მაჩვენებლის შენარჩუნებას.

საქართველომ ასევე წარადგინა სატყეო მეურნეობის დოკუმენტი, რომელიც ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის დანართსა და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დოკუმენტში ასახულია სატყეო მეურნეობის სექტორში საქართველოს მთავრობის მიერ კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ქმედებებისთვის განსაზღვრული სამი ვარიანტი: (ა) მდგრადი სატყეო მეურნეობის მართვის პრაქტიკის დანერგვა; (ბ) ტყის მასივების გაშენება/აღდგენა და ბუნებრივი რეგენერაციის პროცესის ხელშეწყობა; და (გ) დაცული ტერიტორიების არეალის გაფართოება.

2. არსებული და მოსალოდნელი საბოლოო ენერგომოხმარება 2014-2020 წ.წ.

გეგმის ამ ნაწილში წარმოდგენილია ყველა ტიპის ენერგიისთვის (ორივე განახლებადი და ტრადიციული წყაროებიდან) მთლიანი საბოლოო ენერგომოხმარების პროგნოზი, როგორც ერთიანი სახით, ასევე თითოეული სექტორისთვის 2020 წლამდე დროით მონაკვეთში. შეფასებები ითვალისწინებს ენერგოეფექტურობისა და დამზოგველი ღონისძიებების იმ მოსალოდნელ ეფექტებს, რომელთა განხორციელებაც იგეგმება ამ პერიოდში.

ცხრილი 1: გათბობა-გაგრილების, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის სისტემებში მოსალოდნელი მთლიანი საბოლოო ენერგომოხმარება 2020 წლისთვის, ენერგოეფექტურობის მოსალოდნელი შედეგებისა და ენერგოდამზოგველი ღონისძიების გათვალისწინებით 2014-2020 წ.წ (1000 ტ. ნ.ე.)

	2014	2015		2016		2017		2018		2019		2020	
	საბ. წელი	საბაზ. სცენ.	ეე-ით	საბაზ. სცენ.	ეე-ით	საბაზ. სცენ.	ეე-ით	საბაზ. სცენ.	ეე-ით	საბაზ. სცენ.	ეე-ით	საბაზ. სცენ.	ეე-ით
1 გათბობა/გაგრილება (1)	1,854	2,094	N/A	1,931	N/A	1,907	1,874	1,968	1,883	2,054	1,958	2,139	2,031
2 ელექტრო	893	852	N/A	902	N/A	891	881	928	909	963	934	998	959

ენერგია (2)													
ტრანსპორტი მუხლი 3 (4) შესაბამისა 3 დ (3)	1,426	1,424	N/A	1,498	N/A	1,499	1,461	1,580	1,492	1,663	1,521	1,756	1,557
მთლიანი საბოლოო ენერგო მოხმარება 4 (4)	4,173	4,369	N/A	4,330	N/A	4,297	4,216	4,476	4,285	4,679	4,414	4,893	4,547

- (1) წარმოდგენილია საბოლოო ენერგიის მოხმარება სამივე სექტორში. არ ითვალისწინებს ტრანსპორტის სექტორის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას, ასევე ელექტრო ან თბოგენერაციისას თბური ენერგიის საკუთარ მოხმარებას. თბური სადგურებში და თბოქსელებში თბოდანაკარგები (პუნქტი '2 სადგურის მიერ მოხმარება' და 'პუნქტი 11. გადაცემისა და განაწილების დროს წარმოქმნილი დანაკარგები') ევროკომისიის N1099/2008 რეგულაცია (გვ. 23-24).
- (2) ელექტროენერგიის მთლიანი მოხმარება წარმოადგენს ელექტროენერგიის მთლიან ეროვნულ გამომუშავებას, რომელიც შედგება საკუთარ წარმოებისა და იმპორტისგან, ექსპორტის გამოკლებით.
- (3) ევროკომისიის 2009/28 დირექტივა 3(4) ა განსაზღვრავს ტრანსპორტის სექტორის მოხმარებას. ამისთვის განახლებადი ელექტროენერგიის მოცულობა საგზაო ტრანსპორტში უნდა გამრავლდეს 2.5 კოეფიციენტზე, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მუხლი 3(4) გ-ით.
- (4) როგორც ეს განსაზღვრულია ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მუხლი (2) (ვ)-ით. იგი წარმოადგენს საბოლოო ენერგომოხმარებას დამატებული ქსელურ დანაკარგები და ელექტრო და თბოსადგურების მიერ სითბოსა და ელექტროენერგიის საკუთარი მოხმარება (შენიშვნა: არ ითვალისწინებს მთავარი ელექტროენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიაზე მომუშავე ბოილერების და ცენტრალური რაიონული გათბობის სადგურების თბური ტუმბოების მიერ ელექტროენერგიის მოხმარებას).

3. ღონისძიებები

3.1. განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის ყველა დოკუმენტის და ღონისძიების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა, განახლებადი ენერგიის პოტენციალის ათვისების წამახალისებელი რიგი საკანონმდებლო ჩარჩო-დოკუმენტები. დღეისთვის, განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონის პროექტზე მუშაობა არ არის დასრულებული, რომლის მიღებაც იგეგმება წლის ბოლოსთვის, თუმცა განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები მომიჯნავე პოლიტიკურ დოკუმენტებშიც არის მოცემული. წარმოდგენილი ცხრილი 2 იმ არსებული მარეგულირებელი დოკუმენტებს გვთავაზობს, რომლებიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის განვითარებას საქართველოში. ამავე ცხრილის ბოლოს განახლებადი ენერგიის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი მიმდინარე და დამატებითი მექანიზმებია აღწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების პროტოკოლის თანახმად, საქართველომ 2019 წლისათვის ვალდებულია აიღოს ევროკომისიის 2009/28 დირექტივის „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვასთან დაკავშირებით

საქართველოს მიერ ხელმოწერილი პროტოკოლის შესაბამისად, ამ დირექტივის რეალიზაციისთვის, საქართველოს მიენიჭა დამატებითი 12-თვიანი საშეღავათო პერიოდი. ამჟამად, განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომლის დამტკიცებაც იგეგმება 2019 წლისთვის.

ამ პროცესში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელიც საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისთვის ახორციელებს სამწლიან პროექტს. ზემოაღნიშნული 7.5. მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამის მიზანია:

- ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარება;
- ენერგოსექტორში ინვესტიციების ოპტიმიზაცია;
- განახლებადი ენერგიის ქსელთან ინტეგრაცია;
- საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიული საკონსულტაციო დახმარების გაწევა ენერგოუსაფრთხოების გაზრდის კუთხით

ცხრილი 2: ყველა პოლიტიკური დოკუმენტისა და ღონისძიების მიმოხილვა

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ეროვნული კანონმდებლობა					
საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ	მარეგულირებელი	კანონის ბოლო ცვლილება მიკრო (100 კვტ სიმძლავრის) ელექტროსადგურების მშენებლობა/შესყიდვის მხარდაჭერას ასახავს. მომხმარებლებს ელექტროენერგიის გამომუშავება/მომხმარება/მიწოდების შესაძლებლობა აქვთ, და ამასთან შეუძლიათ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელ კომისიის მიერ დადგენილი ფასის შესაბამისად ჭარბი ელ.ენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიყიდვა.	ინვესტორები, მომხმარებლები	მოქმედი	1999 - წლიდან მიმდინარე, შეტანილი ცვლილებით – მათ შორის 2016 წ. მცირე სადგურებთან მიმართებაში
საქართველოს კანონის პროექტი ენერგოეფექტურობის	მარეგულირებელი	საქართველოს მიერ ევროკავშირის 2012/27 დირექტივის განხორციელება, ენერგეტიკული გაერთიანების	ენერგოეფექტურობა	დაგეგმილი	2019 წლისათვის

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ს შესახებ		შეთანხმებით აღებული ვალდებულებების, ისევე როგორც ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმაში (NEEAP) დასახული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებაში დაეხმარება			
საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ ⁸	მარეგულირებელი	გარემოსდაცვითი პრინციპებისა და მდგრადი განვითარების გათვალისწინებით ბუნებრივი რესურსების გამოყენება	გარემოს დაცვა	მოქმედი	1996 წლის 10 დეკემბერი
საქართველოს ტყის კოდექსი ⁹	მარეგულირებელი	საქართველოს სატყეო ფონდის რესურსების მოვლის, დაცვის და აღდგენის წესები. ტყის შესახებ კანონმდროუქტის მიხედვით მოსახლეობას შეეზღუდება ტყეში შესვლა და ტყის ჭრა იქნება მონოპოლიზირებული. ამან შეიძლება იქონის როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ზეგავლენა ბიომასის წარმოებაზე.	ბიომასის წარმოება	მოქმედი	1999 წლის 22 ივნისი ახალი კოდექსის სამუშაო ვერსია გამოქვეყნებულია
კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი ¹⁰	მარეგულირებელი	ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია და მისი ხელახალი გამოყენების გაზრდა და ამასთან ნარჩენების დამუშავება გარემოსდაცვითი დამზოგველი მეთოდების შესაბამისად	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	26 Dec 2014
საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ¹¹	მარეგულირებელი	აწესრიგებს მშენებლობისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას	განახლებადი ენერგიის პროექტის შემუშავება	მოქმედი	2005 წლის 24 ივნისი
განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ	მარეგულირებელი	დარჩენილი საკითხების განსაზღვრა და განახლებადი ენერგიის დირექტივასთან დაახლოება	განახლებადი ენერგიის კანონპროექტის შემუშავება	დაგეგმილი	2019 წლისათვის
საქართველოს	მარეგულირებელი	ენერგოეფექტურობის დაახლოება	შენობებში	დაგეგმილი	2019

⁸ http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Georgia/GE_EnvironmentalProtection.pdf

⁹ http://biomass.ge/sites/default/files/annex_1_acc200835_georgianforestcode.pdf

¹⁰ http://environment.cenn.org/app/uploads/2016/06/Waste-Management-Code_FINAL_2015.pdf

¹¹ http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/sagareo_vachroba/Licenses_and_Permits_Legislation_ENG.pdf

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ	ბელი	ევროკავშირის სამშენებლო დირექტივასთან	განახლებადი ენერგიის გამოყენება	ლი	წლისათვის
სტრატეგიები და გეგმები					
საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები	მარეგულირებელი	მიზანი-გრძელვადიანი ყოვლისმომცველი სახელმწიფო ხედვის შემუშავება, რომელიც შემდომ, 2030 წლისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი იქნება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი საქართველოს განახლებადი ენერგიის რესურსების გამოყენებაზე გაკეთდება	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2015 წლიდან მიმდინარე
საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028 ¹²	მარეგულირებელი	ეროვნული გადამცემი სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების განხილვა, სამომავლო გამოწვევების ანალიზი და ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ქსელში განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ინტეგრირება	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2018-2028წ.წ.
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 ¹³	მარეგულირებელი	ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გარემოს უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2014 - 2020წ.წ.
საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები	მარეგულირებელი	განახლებადი ენერგოპოლიტიკის მიზანია გრძელვადიანი ყოვლისმომცველი სახელმწიფო ხედვის შემუშავება, რომელიც შემდომ 2030 წლისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი იქნება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაზე გაკეთდება	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2006-პირველადი ვერსია 2015 წელს განახლებული ვერსია
საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული	მარეგულირებელი	მოიცავს საქართველოს ეროვნულ ენერგოეფექტურობის მაჩვენებლების სამიზნე მაჩვენებლებს 2020, 2025 და 2030	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე	დაგეგმილი	2019 - 2021 წ.წ.

¹² http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2018-2028_GEO.PDF

¹³ http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/social-economic_development_strategy_of_georgia_georgia_2020.pdf

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
სამოქმედო გეგმა (NEEAP)		წ.წ.	მომუშავე მხარეები		
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკის სფეროში საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა	მარეგულირებელი	განახლებადი და ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროებიდან ელექტროენერგიის გამოყენებისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავება და ენერგოეფექტური ღონისძიებების მხარდაჭერი კანონმდებლობის შექმნა	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2017-2020წ.წ.
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ხუთწლიანი ეროვნული პროგრამა (NEAP) ¹⁴ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP 3)	მარეგულირებელი	დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) შემუშავება (მიმდინარე პროცესი) და ტრანსპორტისა და სამშენებლო სექტორში ენერგოეფექტური ღონისძიებების წახალისება	კლიმატის ცვლილების შერბილება, ენერგოეფექტურობა	მოქმედი	2017 – 2021 წ.წ.
საქართველოში მყარი ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია	მარეგულირებელი	მდგრადი მართვა და სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო სექტორებიდან და სხვა წყაროებიდან მყარი ბიომასის ნარჩენების მიწოდების უზრუნველყოფა; მყარი ბიოსაწვავის წარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს პროცესების წინსვლის ხელშეწყობა; ბიომასის ნარჩენებიდან მიღებული ენერგიის მდგრადი წარმოების და მოთხოვნის წახალისება	ბიოსაწვავის და ბიომასის წარმოება	დაგეგმილი	სამუშაო ვერსია შემუშავდა 2017. ამაჟამად განხილვის პროცესშია
საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ ¹⁵	მარეგულირებელი	იმ ღონისძიებების წახალისება, რომელთა მიზანია იმ სივრცეების დაცვა, რომელნიც ფასეულია სასოფლო, სამრეწველო, ტრანსპორტის და ენერგო მიზნებისთვის, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსებისთვის	მიწათსარგებლობა	მოქმედი	1996 წლის მარტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის	მარეგულირებელი	სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ბუნებრივი რესურსების მდგრადი	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	2015-2020

¹⁴ http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/DonorsCoordinationMeeting_MENRP_8_12_16.pdf

¹⁵ <http://www.elaw.org/content/georgia-law-system-protected-territories-english>

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
განვითარების სტრატეგია 2015-2020		მართვის უზრუნველყოფა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები და სოფლის ეკონომიკის და თემების დაბალანსებული ტერიტორიული განვითარება, მათ შორის დასაქმების ადგილების შექმნა და შენარჩუნება			
საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020	მარეგულირებელი	წყლის, სატყეო და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება და სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების ხელშეწყობა	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	2017-2020
ადმინისტრაციული პროცედურები					
დადგენილება N 107: „განახლებადი ენერგია 2008“ ¹⁶	მარეგულირებელი	საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების ინიცირებისა და განხორციელების პროცედურებს განსაზღვრავს	ინვესტორები განახლებად ენერგიაში	მოქმედი	2008 წლის 18 აპრილი
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი სბრძანება No. 40	მარეგულირებელი	არეგულირებს ჰიდროელექტრო და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების წესებს, მათ შორის იმ განახლებადი ენერგიის რესურსებს, რომელიც არ არის მოცემული პოტენციური ელექტროსადგურების სიაში და რომელთა იდენტიფიცირებაც ინვესტორების მიერ განხორციელდება	ინვესტორები განახლებად ენერგიაში	ძალა დაკარგულია 2018 წლის 31 ოქტომბრიდან	2014 წლის 10 აპრილი
საქართველოს მთავრობის N515 დადგენილება	მარეგულირებელი	იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს	ინვესტორები განახლებად ენერგიაში	მოქმედი	2018 წლის 31 ოქტომბრი
საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“	მარეგულირებელი	ეს კანონი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და	ინვესტორები განახლებად ენერგიაში	მოქმედი	2018 წლის 1 ივლისიდან

¹⁶<https://policy.asiapacificenergy.org/sites/default/files/State%20Program%20%E2%80%9C9CRenewable%20Energy%202008%E2%80%9D%20about%20Approval%20of%20the%20Rule%20to%20Enable%20the%20Construction%20of%20Renewable%20Energy%20Sourcesin%20Georgia.pdf>

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
		პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.			
N426 დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“	მარეგულირებელი	საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესი შემუშავებულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი მიზანია საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის განსაზღვრა.	ინვესტორები განახლებად ენერგიაში	მოქმედი	2018 წლის 17 აგვისტო დან
მიწოდების უსაფრთხოების წესი	მარეგულირებელი			დაგეგმილი	
ინსტიტუციონალური					
არსებული ინსტიტუციების პოტენციალის გაძლიერება	მარეგულირებელი	პირველადი ქმედებები მიმართული იქნება პროექტის/ინვესტიციების იდენტიფიცირებაზე, დონორთა კოორდინაციაზე, გრანტების გაცემის მხარდაჭერაზე და ტექნიკური დახმარების მხარდაჭერაზე.	კერძო სექტორის აქტორები მათ შორის სამრეწველო და ენერგოსექტორის კომპანიები, მუნიციპალიტეტები და ცენტრალური ხელისუფლება სამინისტროები/სააგენტოები, ზოგადად საზოგადოება	დაგეგმილი	2019
ინფორმირების ვალდებულებები					
მომხმარებელთა საინფორმაციო პროგრამები და ტრეინინგები	მსუბუქი	საზოგადოებრივი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საშუალებით განხორციელდება განახლებადი ენერგეტიკული წყაროების პოლიტიკის წახალისება და მონაწილეებისთვის განახლებად ენერგეტიკულ წყაროებზე გაუმჯობესებული ცოდნის მიწოდება	საყოფაზოვრებო სექტორის საბოლოო მომხმარებლები საზოგადოებრივი, სავაჭრო /ბიზნესს წრეები და მედიის წარმომადგენლები	დაგეგმილი	
სერტიფიცირება და სტანდარტები					
ბიო საწვავის	მარეგულირებელი	ეროვნული სტანდარტი მყარ	ბიოსაწვავის	დაგეგმილი	სტანდარტ

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები	ბელი	ბიოსაწვავზე მომუშავე ღუმელებისთვის; • ეროვნული სტანდარტი მყარი ბიოსაწვავისთვის - ხარისხის უზრუნველყოფა- ნაწილი 1; • ეროვნული სტანდარტი მყარი ბიოსაწვავისთვის - ხარისხის უზრუნველყოფა- ნაწილი 2; • შეშის ბრიკეტები არა სამრეწველო გამოყენებისთვის; • ეროვნული სტანდარტი -- ხარისხის უზრუნველყოფა- ნაწილი 3; ხის მასალისგან მიღებული საწვავი არა სამრეწველო გამოყენებისთვის	მწარმოებლები	ლი	ები შემუშავე ბულია თუმცა ჯერ არ არის დამტკიცებული
ევროკავშირის 2010/31 დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ - ტრანსპონირება და აღსრულება	მარეგულირებელი	ხელს შეუწყობს შენობაში ენერგოეფექტურობის მოთხოვნების ჩამოყალიბებას სამშენებლო კოდექსის და სერტიფიცირების საშუალებით	ახალი შენობები, არსებული შენობების მნიშვნელოვანი განახლება (მათ შორის ახალი ტექნოლოგიების დანერგვით განათების, გათბობის, გაგრილების სისტემები) და არსებული შენობები გაქირავებული, გაყიდული ან საზოგადოებრივი	დაგეგმილი	2019 წელი
ენერგო სერტიფიცირების სისტემის ორგანიზაციული მოდელის შემუშავება და ოპერირება და დამოუკიდებელი საკონტროლო სისტემის რეგულაციების შემუშავება და მიღება	მარეგულირებელი	ეს ღონისძიება ოფიციალურად დამტკიცებული სერტიფიცირების და/ან აკრედიტაციის სქემების დაწესებას უწყობს ხელს, მათ შორის შენობებთან მიმართებაში მისაღები სასწავლო დაწესებულება და პროგრამები, რაც ენერგომომსახურების მომწოდებელთა, ენერგოაუდიტორების, ენერგომენეჯერების და შენობების ელემენტების მემონტაჟეთა რიცხვს და შესაძლებლობებს გაზრდის	ენერგომენეჯერები და შენობების ელემენტების მემონტაჟეები	დაგეგმილი	30 ივნისი 2019
ექსპერტების	მარეგულირებელი	ეს ღონისძიება ენერგომომსახურების	ენერგომენეჯერები	დაგეგმილი	2019

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
სწავლება, გამოცდა და ცერტიფიცირება და დამოუკიდებელი საკონტროლო სისტემისა და რეესტრის შექმნა	ბელი	მომწოდებელთა, ენერგოაუდიტორების, ენერგომენეჯერების და შენობების ელემენტების მემონტაჟეთა რიცხვს და შესაძლებლობებს გაზრდის საკონტროლო სისტემის მიერ გაცემული ინფორმაცია, საშუალებას მოგვცემს სერტიფიცირების სქემის ეფექტურობის შეფასება განვახორციელოთ	და შენობების ელემენტების მემონტაჟეები	ლი	წლის დეკემბერი
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	მარეგულირებელი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით ვალისწინებს კონვენციის მოთხოვნებს „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში“ (Aarhus კონვენცია) გარემოსდაცვით საკითხებში და მომავალში გარემოზე ზეგავლენასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას უზრუნველყოფს, რომ გარემოზე, ადამიანის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ევროკავშირის 2011/92 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. „გარემოსთან მიმართებაში რიგი საზოგადოებრივი და კერძო პროექტების ეფექტურობის შეფასება“		დაგეგმილი	პროექტი გამოქვეყნებულია 21 ივნისი 2017
განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის დამატებითი ღონისძიებები					
მზის წყალ გამათბობლების წახალისება	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმაშიც არის ასახული და მზის წყლის გამათბობლების აქტიური წახალისება არის ხაზგასმული, რაც ჩაანაცვლებს ბუნებრივ გაზს და სხვა ტიპის ტრადიციული რესურსს	საყოფაცხოვრებო მომხმარებელი და ბიზნესი	დაგეგმილი	2018 – 2020წ.წ.
ელექტროტრანსპორტის წახალისება	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტოტრანსპორტისთვის ინფრასტრუქტურის შექმნას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკისთვის ელექტროავტომობილების შესყიდვას მოიცავს და	საზოგადოებრივი სექტორი, საყოფაცხოვრებო მომხმარებელი და ბიზნესი	დაგეგმილი	2018 – 2020წ.წ.

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
		ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების გამოყენებაზე კერძო სექტორს და მოსახლეობას რეკომენდაციას აძლევს			
ჰიდროელექტროენერგიის წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020წ.წ
ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020 წ.წ.
მზის ენერგიის წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი მზის ელექტროსადგურების მშენებლობის გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020წ.წ
ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურების (100 კვტ.-მდე) წახალისება	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს მუდმივ მხარდაჭერას ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურებისთვის მფლობელებთან ხელშეკრულებების გაფორმების გზით	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020
მიმდინარე გეოთერმული სითბოს წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება არსებული გეოთერმული რესურსების გამოყენების გაფართოებას გულისხმობს	კერძო სექტორი	დაგეგმილი	2018 – 2020წ.წ.
მყარი ბიომასის რესურსების გამოყენების მართვის გაუმჯობესება-ტყის ახალი კოდექსის შემუშავება, ტყეების ინვენტარიზაცია და ნარჩენების გამოყენების წახალისება	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტყეების მართვის გაუმჯობესებას, ნარჩენი ბიომასის გამოყენებას გატბობისთვის და ელექტროენერგიის წარმოებისათვის და სხვა	კერძო სექტორი/ეროვნული სატყეო სააგენტო	დაგეგმილი	2018 – 2020
გატბობა-გაგრილების	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევების	კერძო სექტორი	მიმდინარე /	2018 – 2020

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ცენტრალური სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარება		ჩატარებას და ინვესტიციების მოზიდვას ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების დანერგვას. ამჟამად ბორჯომ-ახალციხეში მიმდინარე პროექტი		დაგეგმილი	
საკომუნიკაციო ღონისძიებები და ტექნიკური ექსპერტების პოტენციალის გაზრდა	პოტენციალის გაზრდა	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტექნიკური ექსპერტების პოტენციალის გაძლიერებას და მუდმივ საკომუნიკაციო ღონისძიებებს საზოგადოებასთან ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ	მოსახლეობა / ტექნიკური ექსპერტები	დაგეგმილი	2018 - 2020

3.2. ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მე-13, მე-14, მე-16 და მე-17 დან 21-ე მუხლებში გაწერილი მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებები

3.2.1. ადმინისტრაციული პროცედურები და სივრცითი მოწყობა (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (1))

ა) ავტორიზაციის, სერტიფიცირების, ლიცენზირების პროცედურებთან მიმართებაში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჩამონათვალი, ელექტროსადგურებთან მიმართებაში სივრცითი მოწყობის მაგალითები და გადაცემისა და განაწილების ქსელური ინფრასტრუქტურა:

საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ელექტროსადგურებისა და მათი გადაცემის და განაწილების ქსელების ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სივრცითი მოწყობის საკითხებს განსაზღვრავს, რიგი არსებული პოლიტიკის სფეროების შემადგენელია, რომლითაც ენერგეტიკის დარგის, სამშენებლო პროცესისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ავტორიზაცია, სერტიფიცირება და ლიცენზირება იმართება.

კანონმდებლობა , რომელიც ენერგეტიკის დარგში ავტორიზაცია, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურების მარეგულირებელია, რიგი კანონებით რეგულირდება, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;
- საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 30 ივლისის დადგენილება N14 „ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის განკარგულება N2840 „საქართველოს გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N434 - „ტექნიკური რეგლამენტი-ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის დადგენილება N 10 „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება N 20 „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) და მიწოდების მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N107 „სახელმწიფო პროგრამა განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი სადგურების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N214 „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესაწვლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77 „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის დადგენილება N193 „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“.

კანონმდებლობა, რომელიც სივრცითი მოწყობისა და სამშენებლო დარგში ავტორიზაციას, სერტიფიცირებასა და ლიცენზირებას არეგულირებს:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251 „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“.
- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება N57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის დადგენილება N52 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება N366 „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“;

კანონმდებლობა, რომელიც გარემოსდაცვით დარგში ავტორიზაცია, სერტიფიცირებასა და ლიცენზირების პროცედურებს არეგულირებს:

- საქართველოს კანონი წყლის შესახებ;
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ;

ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურების მარეგულირებელი შესაბამისი კანონები:

- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- გარდა ამისა, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების დამტკიცება იმ მოწყობილობებისთვის, რომლებიც მოიხმარს განახლებად ენერგიას (მაგ. ბიომასის ღუმელები, ბიომასის ჰიბრიდული გამათბობლები, თბური ტუმბოები და სხვა.)

გარდა ამისა, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების მიღება ისეთ მოწყობილობებზე, რომლებიც იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებს (მაგ. ბიომასის გამათბობლები, ბიომასის ჰიბრიდული გამათბობლები, თბური ტუმბოები და ა.შ.).

ბ) პასუხისმგებელი სამინისტრო (ები), უფლებამოსილი პირი (ები) და მათი კონპეტენციები

ავტორიზაციის, ნებართვების, სერტიფიცირების, ექსპლუატაციისა და ლიცენზირების სფეროში შემდეგი ადმინისტრაციული უწყებებია ჩართული: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ამ პროცესში მათი მონაწილეობის ხარისხი ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი. არ არსებობს ცენტრალიზებული ინსტიტუცია, ან ერთიანი წესი (ერთი ფანჯრის პრინციპი, გამარტივებული პროცედურები და სხვა), ამიტომ სხვადასხვა ადმინისტრაციულ უწყებებს შორის თანამშრომლობა კრიტიკულად აუცილებელია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების (მიკრო ელექტროსადგურების გამოკლებით) ავტორიზაციის, ნებართვების, ექსპლუატაციისა და ლიცენზირების სხვადასხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებისათვის. მოსალოდნელია, რომ ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით, პროექტის დეველოპერზე სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული და მარეგულირებელი მოთხოვნები დაწესდება, რაც დამოკიდებული იქნება განახლებადი ენერგეტიკული წყაროს ტიპსა და სიმძლავრეზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2017 წლის ბოლოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროების შერწყმა განხორციელდა, რის საფუძველზეც, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასევე პასუხისმგებელი გახდა განახლებადი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების უფლების მინიჭებაზე (ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება, მათ შორის განახლებადი ენერგიის ნუსხაში მოცემულ პროექტზე, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მიღება/განხილვა და პროექტის განმახორციელებელთან ურთიერთგაგების მეორანდუმის მომზადება). როგორც წესი, პროცედურა სრულდება სამინისტროს, ელექტროსადგურის დეველოპერის, ბაზრის ოპერატორისა და (უმეტეს შემთხვევაში) გადაცემის ლიცენზიანტების მიერ ურთიერთგაგების მეორანდუმის ხელმოწერით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აგრეთვე სამშენებლო ნებართვების გამცემი უწყებაა, რომელიც მართავს სახელმწიფო საკუთრებასა და მიწას, ასევე, ახორციელებს ტექნიკურსა და სამშენებლო ზედამხედველობას, მათ შორის მაღალი რისკის მქონე სამშენებლო პროექტებს, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მეშვეობით.

კანონმდებლობით განსაზღვრული სამინისტროს მთავარი მოვალეობები:

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, რესურსების დამზოგავი წარმოების სახეების წახალისება, მშენებლობის, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროებში ენერგოეფექტური ღონისძიებების წახალისება და კორდინაცია, მწვანე ეკონომიკის წახალისებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ინვესტიციებისა და ინოვაციების ხელშემწყობი პოლიტიკისა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
- სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და სერტიფიკაციის პოლიტიკის შემუშავება;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება, არქიტექტურული და სამშენებლო საინჟინრო საქმიანობები, პროექტის დოკუმენტების მომზადების პროცესის ზედამხედველობა;
- სამშენებლო-საპროექტო ნორმების და წესების შემუშავება;
- ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის საპროგნოზო ბალანსების დამტკიცება;
- გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცება.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო: ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. სააგენტო ახორციელებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ნაგებობების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას (მათ შორის ჰიდროელექტროსადგურები). სააგენტო ობიექტის სათანადო ინსპექტირების შემდეგ, სამშენებლო ნებართვების და ექსპლუატაციის სერტიფიკატების გაცემაზეა პასუხისმგებელი. სააგენტო ასევე პასუხისმგებელია, ტექნიკური სტადარტებისა და რეგლამენტების შემუშავებასა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობების შესაბამისობის ინსპექტირებაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო მართვაზე, გარემოს დაბინძურების მონიტორინგზე, ეკოლოგიური ანალიზის განხორციელებაზე, საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური პროცესების შეფასებაზე. სამინისტრო წარმოადგენს

ადმინისტრაციულ უწყებას, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამინისტროს პასუხისმგებლობის არეალი, კერძოდ ექსპერტული შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების მიღება და გარემოზე ზეგავლენის ნებართვის გაცემა (სამშენებლო ნებართვის მეორე ფაზის ნაწილი) იმ სადგურებისთვის, რომელთა დადგმული სიმძლავრე 2 მგვტ-ზე მეტია. ამ პროცესში ჩართულია:

- ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის დეპარტამენტი - იღებს განაცხადებს ნებართვებზე, დეველოპერებთან ერთად გადის კონსულტაციებს და სხვა დეპარტამენტებთან ერთობლივი მუშაობით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებას გამოსცემს;
- გარემოსდაცვითი ინსპექცია - ანხორციელებს გარემოს დაცვის საკითხებზე სახელმწიფო კონტროლს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია (სეწმეკი): კომისია არის სპეციალური უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სექტორის დამოუკიდებელი მარეგულირებელი. კომისიის წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. კომისია საკუთარ ბიუჯეტს ამტკიცებს და მისი დაფინანსების წყაროა ლიცენზიებზე, ბაზრის ოპერატორზე, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებზე, ექსპორტიორებზე, იმპორტიორებსა და ბუნებრივი გაზის მომწოდებლებზე დაწესებული რეგულირების საფასური. ამასთან, კომისია არეგულირებს ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილ დავებს და ახორციელებს ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგს.

კომისიის მოვალეობაში შედის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიღება და ამასთან ლიცენზიატების, იმპორტიორების, ბაზრის ოპერატორის და მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ტარიფების დამტკიცება, მათ შორის ელექტროენერგიის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასურის დადგენა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია პასუხისმგებელია საქართველოს ქსელის წესების მიღებაზე, გამანაწილებელი ქსელის ხუთწლიანი განვითარების გეგმების და სამწლიანი გადამცემი საინვესტიციო გეგმების შემუშავებაზე.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო): საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და განახლებადი ენერგეტიკული წყაროებს პროექტების დეველოპერებთან ერთად პასუხისმგებელია, საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვის შეთანხმებების დასრულებაზე, (პროცესის დასრულება ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით), რომლებიც თანხმდებიან ელექტროენერგიის შესყიდვის ფასზე გარკვეულ პერიოდზე გაანგარიშებით (არანაკლებ რვა თვისა) ერთი წლის განმავლობაში და შესაბამისად შეთანხმებულ ფასად ელექტროენერგიის შეძენაზე.

ადგილობრივი ხელისუფლება: პასუხისმგებელია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, რომელიც მიეკუთვნება II-IV სამშენებლო ჯგუფს, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი მშენებლობა მაღალი რისკების მატარებელი არ არის (მაგალითად: არ მოიცავს კაშხალებს, წარმოების გვირაბებსა და სხვა). ამ შემთხვევაში, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებების გადაფარვას ადგილი არ აქვს.

გადამცემი სისტემის ოპერატორი: გადამცემი სისტემის ოპერატორის უფლება-მოვალეობებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) ასრულებს, რომელიც ასევე არის ერთადერთი დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი. 2014 წლის ბოლოს დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტის სტატუსი

გადაცემის სისტემის ოპერატორის სტატუსით შეიცვალა¹⁷, რომელმაც გადაცემის სხვა ლიცენზიანტებთან ხელი მოაწერა შეთანხმებებს, გადაცემის სსე-სთვის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის კომპეტენციითა გადაცემაზე. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა წარმოადგენს გადაცემის სისტემის ოპერატორს და მას მინიჭებული აქვს მე-3 ენერგოპაკეტით განსაზღვრული ყველა უფლება-მოვალეობა. სსე-ს, გადაცემის ორ ლიცენზიანტთან (საქრუსენერგო და ენერგოტრანსი) არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, დელეგირებული აქვს გადაცემის სისტემის ოპერატორისადმი კანონით განსაზღვრული უფლებები.

გადაცემის სისტემის ოპერატორი მართავს ენერგომართვის სისტემა SCADA-ს და იყენებს ავტომატური აღრიცხვის, ენერგიის კონტროლისა და ჩაწერის სისტემებს.

გადაცემის სისტემის ოპერატორის უფლება-მოვალეობები:

- ელექტროენერგიის სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ოპერირების უზრუნველყოფა, შესაბამისი ლიცენზიანტების, იმპორტიორების, ექსპორტიორებისა და პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნების შესრულება დამტკიცებული ბალანსებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე;
- სისტემის გამართული მუშაობისთვის ყველა ტექნიკური მოთხოვნის მონტაჟი და ოპერირება;
- სამინისტროს მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის ბალანსებში ექსპორტის/იმპორტის გეგმებში და ბაზრის მონაწილეთა შორის ორმხრივი კონტრაქტებში გაწერილი მოთხოვნებისა და პარამეტრების შესრულება;
- საინვესტიციო პროგრამის შემუშავება/წარდგენა კომისიისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის;
- ორმხრივი კონტრაქტის საფუძველზე გაერთიანებული რეესტრის შექმნა და მართვა;
- ბაზრის ოპერატორთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა;
- ელექტროენერგიის ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მომზადება;

დისპეჩერიზაციის სისტემის ოპერატორები: დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტები¹⁸, მართავენ როგორც საკუთარ ქსელებს, ასევე მესამე მხარეების მფლობელობაში არსებულ ქსელებს. დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტები საცალო მომხმარებელს სთავაზობენ ორი სახის მომსახურებას: ქსელის მომსახურება და ელექტროენერგიის მიწოდება¹⁹.

გ) ევროკომისიის 2009/28 დირექტივის 13.1 მუხლის შესაბამისი მოთხოვნების შესრულებისთვის საჭირო შესწორებების მიღება [თარიღი]

ამჟამად 13 (1)-მუხლთან მიმართებაში არსებულ კანონმდებლობაში აუცილებელი შესწორებების შეტანის კონკრეტული დრო არ არის მითითებული, მაგრამ საქართველომ ენერგეტიკული თანამეგობრობის წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ენერგეტიკული კანონმდებლობის

¹⁷ დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი არ არის სერტიფიცირებული გადაცემის სისტემის ოპერატორი ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით

¹⁸ ორი დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი - სააქციო საზოგადოება ენერგო-პრო ჯორჯია და სააქციო საზოგადოება თელასი

¹⁹ ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით გამანაწილებელი ქსელის ოპერატორებია არ არიან განცალკევებული

(ელექტროენერგეტიკა და განახლებადი ენერგია) ცვლილებებს 2019 წლის ბოლოსთვის განახორციელებს. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ბაზრის დიზაინისა და ენერგეტიკული კანონის საბოლოო ვერსიის შემუშავებაზე.

შემუშავების პროცესშია ახალი რეგულაციები ახალ ენერგეტიკულ კანონთან შესაბამისობაში შემდეგ სფეროებში:

- უნივერსალური მიმწოდებლისა და ბოლო მიმწოდებლის წესები;
- საცალო მომხმარებლების გადართვის წესები;
- ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების წესები;
- ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობის აუქციონის წესები;

დ) ადგილობრივ დონეზე (შესაბამისობის გათვალისწინებით) არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების რეზიუმე:

საქართველოს 23 მუნიციპალიტეტი მერთა შეთანხმების ხელმომწერია²⁰ და პროგრამაში მონაწილეობას იღებს. თერთმეტმა ქალაქმა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელიც განსაზღვრავს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის სხვადასხვა ღონისძიებებს შემდეგი პრიორიტეტული სექტორებისთვის: ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, შენობები, გარე განათება, მიწათსარგებლობა და ნარჩენების მართვა. სამოქმედო გეგმებში მხარდაჭერილია განახლებადი ენერგიის რესურსების გამოყენება ადგილობრივ დონეზე, კერძოდ, შენობებში, განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გათვალისწინებით საზოგადოებრივი შენობებისთვის გათბობისა და გაგრილების სისტემების შექმნა, ასევე ელექტროენერგიაზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და გარე განათების ქსელებში მზის ფოტოელექტრო გარდამქმნელების დანერგვა. ეს ღონისძიებები 2020 წლისთვის CO₂ ემისიების შემცირებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის მიზნების გათვალისწინებით და უნდა დაეყრდნოს მუნიციპალიტეტის შემდეგ ქმედებებს:

- ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- შესაძლებლობების შექმნა;
- თვალსაჩინო მაგალითები;
- მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვება;
- ქმედებებში მოქალაქეთა პირდაპირი ჩართვა;
- სხვადასხვა მხარეების მხარდაჭერის მოპოვება და მათი ჩართულობა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის ღონისძიებებში.

განცხადებული მიზნის მიუხედავად, განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ათვისება ფართო მასშტაბით არ ხორციელდება და მერების შეთანხმების ხელმომწერმა ქალაქმა განახლებადი ენერგიის საპილოტე პროექტები, საერთაშორისო დონორების დახმარებით განახორციელეს.

განხორციელებული პროექტები მოიცავს მზის თერმულ სისტემებს მუნიციპალური ბაღებისთვის, მზის ფოტოვოლტაიკურ სისტემებს მუნიციპალური შენობებისთვის და გარე განათებისთვის, გათბობის

²⁰http://www.covenantofmayors.eu/actions/sustainable-energy-action-plans_en.html?city=Search+for+an+Action+Plan...&country_seap=ge&commitments=&date_of_approval=&accepted=

სისტემის მოდერნიზებას განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენებით. ამჟამად, ადგილობრივ დონეზე განახლებადი ენერგიის მწარმოებლების მხარდაჭერის პერსპექტივები არ არის გამოკვეთილი.

ე) განახლებადი ენერგეტიკული წყაროებიდან ელ.ენერგიის გენერაციისა და მათთან დაკავშირებულ გადაცემის და განაწილების ქსელურ ინფრასტრუქტურასთან, გათბობა-გაგრილებისა მისაღებად ანდა ბიომასის ბიოსაწვავად ან სხვა ენერგოპროდუქტებად ტრანსფორმირების წინაშე მდგომი წინაღობები და არათანაზომიერი მოთხოვნები მათ ავტორიზაციასთან, სერტიფიცირებასთან და ლიცენზირებისთან დაკავშირებით

დღეისთვის წინაღობები და არათანაზომიერი მოთხოვნები არ არის გამოკვეთილი. ზოგადად, ამ პროცესების განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობებია შემუშავებული, იხილეთ 4.2.1 სექცია.

ვ) განახლებადი ენერგეტიკული ობიექტებისა და სივრცითი მოწყობის ავტორიზაცია/სერტიფიცირება/ლიცენზირებაზე და პასუხისმგებელ ორგანოს/ორგანოებს შორის კოორდინირება

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერგიის ობიექტების ავტორიზაცია/სერტიფიცირება/ლიცენზირება ხორციელდება სახელმწიფო დონის პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია, ბაზრის ოპერატორი და სისტემის ოპერატორები (გადაცემის სისტემის ოპერატორი/განაწილების სისტემის ოპერატორი). მათი საპასუხისმგებლო სფეროები ზემოთ 4.2.1. ნაწილშია დეტალურად აღწერილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: პასუხისმგებლები არიან განახლებადი ენერგეტიკული წყაროების სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, რომელიც მიეკუთვნება II-IV კლასის სამშენებლო ობიექტებს, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მშენებლობა მაღალი რისკების მატარებელი არ არის (მაგალითად: არ მოიცავს კაშხალებს, წარმოების გვირაბებსა და სხვა), ამ შემთხვევაში, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებების გადაფარვას ადგილი არ აქვს.

განახლებადი ენერგიის წყაროების კატეგორიზაცია, შემდეგი პრინციპების და დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით:

- **მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური** – საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგური, რომელიც იყენებს ენერგიის განახლებად წყაროს, მიერთებულია ელექტროენერგიის დისტრიბუციის ქსელთან საბოლოო მომხმარებლის მოხმარების წერტილთან და რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 100 კვტ. მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურები უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ ნეტო აღრიცხვის პოლიტიკით და ამასთან, არ საჭიროებენ სამშენებლო ნებართვის, ექსპლუატაციის სერტიფიკატის ან ლიცენზიის ფლობას. ქსელთან დაშვება უზრუნველყოფილია გამარტივებული პროცედურებით;
- **მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური** - ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მგვტ. ასეთი ელექტროსადგური არ მოითხოვს ლიცენზიის ფლობას. თუმცა, საჭიროებს სტანდარტული ავტორიზაციის პროცედურების დაცვას. ელექტროსადგურები, რომელთა დადგმული სიმძლავრე 2 მგვტ-ზე ნაკლებია, თავისუფლდებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმიდან.

- ელექტროსადგურები 13 მგვტ. დადგმული სიმძლავრით - ამ ტიპის სადგურები საჭიროებენ ლიცენზიის ფლობას, ისევე როგორც სხვა ავტორიზაციული პროცედურების გავლას (ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, სამშენებლო ნებართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ექსპლუატაციის სერტიფიკატი).

ზ) ავტორიზაციის/სერტიფიცირების/ლიცენზიის აპლიკაციებზე ყოვლისმომცველი ინფორმაციაზე და დახმარებაზე ხელმისაწვდომობა

ავტორიზაცია/სერტიფიცირება/ლიცენზიაზე ყოვლისმომცველი ინფორმაცია და დამატებითი განმარტებები ხელმისაწვდომია შესაბამისი ოფიციალური ვებ-გვერდებიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე, (www.gnerc.org) ხელმისაწვდომია ინფორმაცია ლიცენზიებსა და ქსელის მისაწვდომობის რეჟიმებზე.

გადაცემის სისტემის ოპერატორის (www.gse.com.ge) ვებ-გვერდზე, განთავსებულია ინფორმაცია ქსელთან მიერთების წესებზე და ელექტროენერგიის ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განახლებადი ენერგეტიკული წყაროების განვითარებაზე, მათ პოტენციალსა და შეზღუდვებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID) საქართველოში, ჰიდროენერგეტიკის განვითარებას ეხმარება სხვადასხვა პროექტების საშუალებით, სააგენტოს დახმარებით, დეველოპერებისთვის შემუშავებულ იქნა პოტენციური პროექტების ჩამონათვალი და საჭირო ინფორმაციის რესურსების ბაზა განახლებად ენერგეტიკულ წყაროებთან დაკავშირებით (www.hydropower.ge). აღნიშნული ვებ-გვერდი და ინფორმაციული ბაზა, საბოლოო სახით წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

თ) ადმინისტრაციულ უწყებებს შორის ჰორიზონტალური კოორდინაციის ხელშეწყობა, ავტორიზაცია/ლიცენზია/ნებართვის მისაღებად აუცილებელი პროცედურული ეტაპების გავლა, ყველა ეტაპის ერთ ადგილზე კოორდინირების შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრული აპლიკაციის დამუშავების დროითი ვადები, დროგანსაზღვრული აპლიკაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად

დღეისთვის არ არსებობს ყველა ეტაპის ერთ ადგილას კოორდინირების საშუალება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, წარმოადგენს სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყებების მთავარი დამაკავშირებელ ორგანოს. თუმცა, ყველა ნებართვა და ლიცენზია (საჭიროების შემთხვევაში) ინვესტორის მიერ უნდა იყოს მოპოვებული. აპლიკაციების განხილვის ვადა რეგულირდება კანონებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და უმეტეს შემთხვევაში დაინტერესებული მხარე პროცესის ხანგრძლივობაზე წინასწარ არის ინფორმირებული.

განახლებადი ენერგეტიკული წყაროების პროექტების ავტორიზაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ობიექტის ტიპსა და ზომაზე. პირველი კლასით განსაზღვრული მშენებლობა არ მოითხოვს რაიმე ტიპის ნებართვებს ან ლიცენზიებს, დეველოპერი უფლებამოსილია აწარმოოს

მშენებლობა ზემოაღნიშნული პროცედურების გარეშე. აგრეთვე არ არის მოთხოვნილი ექსპლუატაციის ვალდებულება. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მფლობელი მიმართავს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს, რომელიც ვალდებულია ქსელთან მიერთება განახორციელოს 20-40 დღის განმავლობაში.

უფრო მსხვილი განახლებადი ენერგეტიკული წყაროების პროექტებთან დაკავშირებით, სამინისტროდან თანხმობის მისაღებად აუცილებელი საშუალო ვადა (ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა) უმეტეს წილად დამოკიდებულია პროექტზე და ინვესტორის მხრიდან ტექნიკური-ეკონომიკური შესწავლის განხორციელებაზე. ამ ტიპის შესწავლის დროითი ჩარჩო განსაზღვრულია საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმით და ინვესტორი ვალდებულია, ზედმიწევნით დაიცვას გაწერილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ფინანსური ჯარიმების დაწესებას.

მსხვილი ჰიდროენერგეტიკული პროექტები, როგორც წესი, გადის სამშენებლო პროცესის სამ ფაზას, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს, რომელიც განპირობებულია ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა ინსტიტუტების ჩართულობით.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ნებართვის გაცემის წესს, საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების შესაბამისად უნდა მოხდეს ელექტროსადგურის დამატებითი ინსპექტირება.

სამშენებლო ნებართვის განხილვის სხვადასხვა ეტაპებისთვის, ნებართვის გამცემი უწყება უფლებამოსილია ადმინისტრაციული პროცედურების ვადა გაზარდოს სამ თვემდე. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სამშენებლო ნებართვების გასაცემად განსაზღვრული საშუალო დროითი ჩარჩო მინიმუმ რამდენიმე თვეს და მაქსიმუმ 1 წელიწადს მოიცავს.

საქართველოს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების თანახმად, ელექტროსადგურის მენეჯმენტი უფლებამოსილია ლიცენზიის გარეშე სატესტო რეჟიმში 3 თვემდე განახორციელოს ოპერირება. ამ პერიოდის განმავლობაში, ელექტროსადგურმა შესაბამისობის ტესტირება გადამცემი სისტემის ოპერატორთან უნდა გაიაროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ექსპლუატაციაზე მიიღოს ნებართვა.

13 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის პროექტისთვის, ინვესტორის მერ ყველა საჭირო დოკუმენტაციის (მათ შორის ექსპლუატაციის სერტიფიკატი) წარმოდგენიდან ერთი თვის განმავლობაში საბოლოო ლიცენზიის გაცემაზე პასუხისმგებელია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია.

ი) განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების ავტორიზაციის პროცედურები.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცედურაში განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების თავისებურებები კანონით არ არის განსაზღვრული, თუმცა არსებობს გარკვეული სხვაობები სამშენებლო ნებართვის მიღებისას, რაც განპირობებულია განახლებადი ენერგეტიკული წყაროს ტიპსა და მასშტაბზე, როგორც ეს ზემოთ იქნა განმარტებული.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო წესების პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების თანახმად:

- 50 კვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, მზის პანელები და ბიოგაზის დანადგარები მიეკუთვნება პირველი კლასის შენობა-ნაგებობებს და არ საჭიროებს სამშენებლო ნებართვას;
- ქარის ელექტროსადგურები მიეკუთვნება მეორე კლასის შენობა-ნაგებობებს და მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სამშენებლო ნებართვას;
- უფრო მსხვილი ჰიდრო, მზის და ა.შ. ელექტროსადგურების სამშენებლო ნებართვების გამცემი ორგანოებია ცენტრალური დონის უწყებები, ვინაიდან ეს სამშენებლო პროექტები დაკავშირებულია მაღალ რისკებთან და მოიცავს დერივაციულ მიწებს, სადაწნო მილსადენებს, კაშხლებსა და მიწისქვეშა გვირაბებს.

რაც შეეხება გეოთერმულ ენერგიას, გეოთერმული წყლის გამოყენება რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილება N 136 „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა (მათ შორის გეოთერმული წყლების) და/ან მათი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სათანადო ლიცენზიით; ლიცენზია გაცივმა აუქციონზე, რომლის ორგანიზება ევალება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ გარემოსდაცვით ეროვნულ სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის N271 დადგენილების თანახმად, ლიცენზიანტებმა წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ სტატისტიკური დაკვირვების ფორმები N1-02; „მონაცემები მიწისქვეშა წყლების და არასაწვავი აირების საბადოთა მდგომარეობისა და შესწავლის შესახებ“ და N1-03 „მონაცემები მიწისქვეშა წყლებისა და არასაწვავი აირების რეჟიმული ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებების, მოპოვებისა და წიაღთსარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების შესახებ“.²¹ ამასთანავე, მნიშვნელოვანია ელექტროსადგურების საკუთრების ფორმა - სახელმწიფო/კერძო, როდესაც საკითხი ეხება სამშენებლო ნებართვის განსაზღვრას და ექსპლუატაციის სერტიფიკატის გამცემ უწყებას. თუკი განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ (სახელმწიფო ფონდები), სამშენებლო ნებართვა და ექსპლუატაციის სერტიფიკატი, რომელიც გაცივმა ცენტრალური პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.

კ) მცირე-მასშტაბის, დეცენტრალიზირებული ობიექტებისთვის (როგორებიცაა მზის პანელები შენობებზე ან ბიომასის ბოილერები შენობებში) მარტივი შეტყობინების პროცედურები

საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ გვთავაზობს განახლებადი ენერგეტიკული წყაროების მხოლოდ მოკლე განსაზღვრას. თუმცა, კანონი შეიცავს დებულებებს, რომელთა თანახმად, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური - 100 კვტ დადგმული სიმძლავრემდე თავისუფლდებიან სამშენებლო ნებართვების ან წარმოების ლიცენზიის ფლობისგან, აგრეთვე თავისუფლდებიან ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობისა და საგადასახადო ვალდებულებებისგან. ასეთი სახის მცირე მასშტაბის დეცენტრალიზირებული ობიექტები, როგორიცაა მიკრო ელექტროსადგურები გამარტივებულ პროცედურებით სარგებლობენ, ვინაიდან არ არიან მიბმული კონკრეტულ სანებართვო მოთხოვნებს (ყველა ტიპის მიკრო გენერატორი, ჰიდროელექტრო სადგურები 50 კვტ დადგმული სიმძლავრით), როგორიცაა უფლებები მიწათსარგებლობაზე, სამშენებლო ნებართვები და სხვა. მიკრო გენერატორები მხოლოდ მაშინ არის მოთხოვნილი, როდესაც ხდება პირდაპირი მიერთება გამანაწილებელ ქსელთან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის რაიმე

²¹ დღიური დებეტი, ტემპერატურა, მიწისქვეშა წყლების დონე

სახის ნებართვის, სერტიფიკატის ან დამატებითი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. განაცხადის შესავსები ფორმა შემუშავებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ. თუკი განმცხადებლის მიერ აღნიშნული ფორმა წესების დაცვითაა შევსებული, ამ შემთხვევაში გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს არ აქვს უფლება, არ დააკმაყოფილოს განაცხადი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნის საფუძველზე.

დერეგულირებული მცირე ელექტროსადგურები, რომელიც არ აღემატება 13 მგვტ. დადგმული სიმძლავრეს, თავისუფლდება წარმოების ლიცენზიისგან და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი წარმოების ტარიფიდან.

საქართველო კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ასევე გვთავაზობს ნეტო-აღრიცხვის ჩარჩოს. კანონის თანახმად, მიკრო გენერატორი შესაძლებელია დაექვემდებაროს ნეტო აღრიცხვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებას ადგილი აქვს მოხმარების წერტილთან. მიკრო გენერატორს მიერთებული ყველა მომხმარებელი ავტომატურად ისარგებლებს ნეტო-აღრიცხვით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის რეგულაცია „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება და მოხმარების წესები“ დეტალურად განსაზღვრავს ნეტო-აღრიცხვის პოლიტიკას, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების პროცედურებს და აღრიცხვა-ანგარიშსწორების მექანიზმს. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის რეგულაციის მიხედვით, ელექტროსადგურების მიერთება გამანაწილებელ ქსელთან გამარტივებული პროცედურით (ერთი ფანჯრის პრინციპის გათვალისწინებით) ხორციელდება. მომხმარებელი აბარებს განაცხადს და გადადის მოლოდინის პასიურ რეჟიმში. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი განაცხადთან დაკავშირებულ პროცედურებს საკუთარ თავზე იღებს და მომხმარებლის ჩართულობის გარეშე ახორციელებს ყველა აუცილებელ სამუშაოს. პროცედურა საკმაოდ მარტივია, არ იგეგმება მისი კიდევ უფრო გამარტივება. განაცხადის ჩაბარების შემდეგ, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების დროითი ჩარჩო მკაცრად განსაზღვრულია 20 დან 40 დღემდე, რაც დამოკიდებულია მისაერთებელ სიმძლავრესა და ძაბვის დონეზე. მომხმარებლისთვის წესები გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე.²²

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებელი სარგებელს ნეტო-აღრიცხვისგან ერთი თვის განმავლობაში მიიღებს. ჭარბი ენერგიის ბალანსის წარმოება ხორციელდება ყოველთვიურად. თუ თვის ჭრილში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და გამანაწილებელი კომპანიის ქსელისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა მეტია საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, სხვაობა (გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერგია) აისახება საცალო მომხმარებლის მომეწვრ თვის ქვითარში კრედიტის სახით.

თუ თვის ჭრილში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და გამანაწილებელი კომპანიის ქსელისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე,

²² <http://gnerc.org/files/dadgenilebebi%20da%20gadawyvetilebebi/dadgenileba2008/20%20new.pdf>

საცალო მომხმარებელი გამანაწილებელ კომპანიასთან ანგარიშსწორებას ახდენს მხოლოდ სხვაობის შედეგად მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე.

საანგარიშო წლის ბოლო თვეს, თუ საცალო მომხმარებლის ქვითარში კრედიტის სახით ასახულია (ჭარბი) ელექტროენერგია, გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია, შეისყიდოს ზემოაღნიშნული ჭარბი ელექტროენერგია შესაბამისი გამანაწილებელი კომპანიის სამომხმარებლო ტარიფში, კომისიის მიერ გათვალისწინებული შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით.

ლ) ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის სამრეწველო და საცხოვრებელი სივრცეების დაგეგმარების, დაპროექტების, მშენებლობის და განახლების პროცესში ელექტროენერგიის, გათბობა/გაგრილების სისტემებში, მათ შორის რაიონული ცენტრალური გათბობის და გაგრილების სისტემებში განახლებად ენერგიებზე მომუშავე მოწყობილობების და სისტემების სამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად

დღეისთვის არ არსებობს ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის სამრეწველო და საცხოვრებელი სივრცეების დაგეგმარების, დაპროექტების, მშენებლობის და განახლების პროცესში ელექტროენერგიის, გათბობა/გაგრილების სისტემებში, მათ შორის გათბობის და გაგრილების ცენტრალურ სისტემებში განახლებად ენერგიებზე მომუშავე მოწყობილობების და სისტემების სამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად. ეს საკითხი მოითხოვს შესაბამის უწყებებს შორის კოორდინირებას, რათა ამ საკითხზე ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდეს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე განთავსებულია სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ეხება ლიცენზიების მოპოვებასა და ნეტო-აღრიცხვის პოლიტიკას.

ადგილობრივ დონეებზე განახლებადი ენერგეტიკული წყაროების განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტის დანაკლისი შესაძლებელია რამდენიმე საშუალებით იქნას შევსებული:

- ასეთი სახელმძღვანელოები შესაძლებელია დაფიქსირდეს „მერების შეთანხმების“ მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმებში, სადაც ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის წახალისების გეგმებთან, ღონისძიებებსა და პრინციპებთან ერთად იქნება წარმოდგენილი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს ადგილობრივი ადმინისტრაციებისთვის შეუძლიათ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, სადაც აქცენტი გაკეთდება შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე, რომელიც მოიცავს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტურობაში კონტრიბუციებს, როგორებიცაა ობიექტები, რომლებიც ელექტროენერგიას აწარმოებენ მოხმარების ადგილზე (მიკრო გენერაცია, ფოტოვოლტაიკები, თბური კოლექტორები) და ტექნოლოგიურად განვითარებული ქსელები;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამჟამად ახორციელებს პროექტს საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში მათი სივრცითი განვითარების დაგეგმარებისათვის. ეს

პროექტი არ მოიცავს ენერგიის განახლებადი წყაროების საკითხებს, თუმცა ამ საკითხების ერთობლივი განხილვა აღნიშნულ პროექტში სასარგებლო იქნებოდა.

- განახლებადი ენერგიის ახალი კანონი შემუშავების პროცესშია და შესაძლებელია შემდეგ საკითხსაც შეეხოს - შემდეგი ძირითადი პუნქტებით:

- o ადგილობრივი თვითმმართველობის დავალდებულება ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმასთან (სადაც ეს შესაძლებელია) ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან და განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმასთან თანხვედრაში ადგილობრივი ენერგო გეგმების შემუშავებაზე. ადგილობრივი ენერგეტიკული გეგმები უნდა ასახავდეს მოსალოდნელ მოთხოვნისა და ენერგომიწოდებს მეთოდოლოგიას, ისევე როგორც ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენებას, კოგენერაციას ათწლიან პერიოდზე გათვლით. ეს გეგმები შესაძლოა მოიცავდეს განახლებადი ენერგეტიკული წყაროებიდან გათბობისა და გაგრილების ღონისძიებებს ქალაქისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის დაგეგმარების პროცესში და შესაძლებლობის შემთხვევაში, ასევე მოიცავდეს საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების გათბობა/გაგრილების გეგმებს.
- o ასეთი სახის ადგილობრივი ენერგეტიკული გეგმებისთვის სტანდარტიზებული მოდელის შექმნა

მ) თემატური ტრენინგები პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომლებისთვის ნებართვის, სერტიფიცირებისა და განახლებადი ენერგეტიკული დანადგარების ლიცენზირების პროცედურებთან დაკავშირებით.

დღეისთვის, ნებართვის, სერტიფიცირებისა და განახლებადი ენერგეტიკული დანადგარების ლიცენზირების პროცედურების პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომლები თემატურ ტრენინგებს არ გადიან, თუმცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია ორგანიზაციის შესაძლებლობათა გაძლიერების უწყვეტ პროცესს ახორციელებს თემატური სემინარების საშუალებით, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ სხვა პირებს აქვთ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია შემდეგ საკითხზე: საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის მართვა, ლიცენზირება, ანგარიშგება, ბაზრის მონიტორინგი, მოთხოვნის მხარის მონაწილეობა, ნეტო-აღრიცხვა, მიკროგენერაციის ქსელთან მისაწვდომობა და სხვა.

ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმება (PPA) - წარმოადგენს დამატებით მექანიზმს სახელმწიფოსგან განახლებადი ენერგიების წახალისებისთვის. ასევე, საქართველოს მთავრობა გეგმავს მხარდაჭერის სქემების მიღებას განახლებადი ენერგიების მხარდაჭერის მიზნით.

3.2.2. ტექნიკური სპეციფიკაციები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (2))

ა) დამხმარე სქემებიდან სარგებლის მიღების მიზნით, განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების გარკვეული ხარისხის სტანდარტების დაცვა ფიცილების საჭიროება

ტექნიკური თვალსაზრისით, განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გამოყენებაში დამხმარე სქემებისთვის არანაირი შეზღუდვები არ არსებობს, მაგალითად როგორცაა სპეციფიკური სტანდარტები ან მოწყობილობის დამატებითი სპეციფიკაცია, მათთან მიმართებაში ბაზარზე არსებული სტანდარტები მოქმედებს, როგორც ეს იქნა აღწერილი 4.2.1. ნაწილში, ქსელების, ბაზრის, უსაფრთხოებისა და

ექსპლუატაციის წესებთან დაკავშირებით. გამოყენებული მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის კანონის, გადაცემისა და გამანაწილებელი ქსელის წესების და საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროენერგიის სადგურების და ქსელების ექსპლუატაციის დადგენილ წესებსა და მოთხოვნებს.

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში მითითებულია, რომ მიკრო გენერატორების ნეტო-აღრიცხვის სქემაში ჩართვისთვის აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- უნდა მოხმარდეს განახლებად ენერგოწყაროებს;
- დადგმული სიმძლავრე 100 კვტ-ზე ნაკლები უნდა იყოს;
- განთავსებული უნდა იყოს მოხმარების ადგილზე.

კანონი ასევე მიუთითებს, რომ 13 მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე დაბალი ელექტროსადგურები არ საჭიროებს რეგულაციას (არის დერეგულირებული) და წარმოების ლიზენციის მოპოვებას.

გადაცემისა და განაწილების ქსელის წესები მიუთითებს, რომ ელექტროენერგიის მწარმოებელმა გადაცემის და განაწილების ქსელის დაკავშირების წერტილთან ხარისხობრივი პარამეტრები უნდა შეინარჩუნოს. კერძოდ, ეს ეხება ძაბვის ხარისხს (ძაბვის დონეს, ჰარმონიკას, ძაბვის პარამეტრები) და სიმძლავრის კოეფიციენტს ($\cos\phi$). ქსელთან მისაერთებლად და ელექტროენერგიის მიწოდების პროცესის დაწყებისთვის, განახლებადი ენერგიის წყაროების მწარმოებლებმა აღნიშნული საერთო ხარისხის სტანდარტები უნდა დააკმაყოფილონ/მიიღონ. ამასთან გეწ-თვის არ არსებობს ცალკეული ხარისხის სტანდარტები ან ტექნიკური მოთხოვნები, გარდა სპეციალური პარამეტრებისა, რომლებიც ჰიდრო აგრეგატებს ესადაგება. კერძოდ, გადამცემი ქსელის წესების დოკუმენტის 23-ე მუხლი საზღვრავს ჰიდრო ენერგეტიკული აგრეგატებისთვის ნომინალური სიმძლავრის კოეფიციენტის ($\cos\phi$) მოთხოვნას 0.8-0.85 დიაპაზონის ფარგლებში და ამასთანავე ადგენს დამხმარე მომსახურებისთვის შემდეგი სახის კატეგორიზაციას და მოთხოვნებს:

კატეგორია	სიმძლავრის დიაპაზონი (მგვტ.)	ძაბვის რეგულირების შესაძლებლობა	სტაბილურობის მოთხოვნები	რეზერვები			ავტომატიური გაშვების შესაძლებლობა
				მზრუნავი/ცხელი რეზერვი			
				პირველი რიგის	მეორე რიგის	მესამე რიგის	
ა	<1,5	-	-	-	-		-
ბ	1.5÷<10	+	+	-	-		შეთანხმებით
გ	10÷<30	+	+	+	შეთანხმებით-	შეთანხმებით-	+
დ	≥30	+	+	+	+	შეთანხმებით	+

საქართველო ამჟამად მუშაობს განახლებადი ენერგიის კანონზე და ამიტომაც დამხმარე სქემებიდან სარგებლის მიღების პირობები, ტექნოლოგიები და ხარისხის სტანდარტები ჯერ განსაზღვრული არ არის, ამასთან, გადაცემის და განაწილების ქსელის წესები, ხარისხის და ტექნიკურ მოთხოვნებს გარკვეული ენერგოწყაროს/ტექნოლოგიის ტიპის მიხედვით არ განსაზღვრავს. თუმცა, არსებობს ორი მიმდინარე პროექტი, რომელთა მიზანია ქსელის წესებში ცვლილებების შეტანა და

სხვადასხვა ტიპის ეგწ-ბის მიერთებასთან და ოპერირებასთან მიმართებაში უფრო მეტად სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრა (როგორიცაა: ქარი, მზე, ბიო-დანადგარები, ჰიდრო და ა.შ):

- დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) მხარდაჭერის პროექტი, დასახული სხვადასხვა მიზნების გარდა, მიზნად ისახავს ეგწ-ბის პროექტის, როგორიცაა მზის, ქარის ენერგიის, ბიომასის განვითარებისთვის, მიერთებისთვის, ექსპლუატაციისთვის, შესაბამისობის ტესტირებისთვის და ოპერირებისთვის, სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნების, პროცედურების და სტანდარტების დაწესებას. პროექტის მთავარი შედეგი, ქსელის წესებში შეტანილი ცვლილებები იქნება;
- საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, საერთაშორისო საკონსულტაციო დახმარების საფუძველზე მომზადდა ქარისა და მზის ენერგიის ქსელში ინტეგრირების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც დადგინდა ქარისა და მზის ქსელთან მიერთების შესაძლებლობები 2020, 2025 და 2030 წლებისთვის თითოეული შეერთების წერტილისთვის სიმძლავრის ლიმიტი განსაზღვრულია.

3.2.3. შენობები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (3))

ა) არსებული ეროვნული კანონმდებლობის მაგალითები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შენობების სექტორში განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წილის ზრდასთან მიმართებაში ადგილობრივი კანონმდებლობა

დღეისთვის განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წილის ზრდასთან მიმართებაში ეროვნული ადგილობრივი კანონმდებლობა არ არის შემუშავებული.

ბ) პასუხისმგებელი სამინისტრო (ები)/ ხელისუფლება (ები):

ამ სექტორზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

გ) წესების გადახედვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იგეგმება:

ევროკავშირის შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ 2010/31 დირექტივის მიღება 2019 წლის ივნისშია დაგეგმილი და მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდება. მოსალოდნელია რომ ის შენობების სექტორში განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების წილის გაზრდის სქემებსაც ასახავდეს. თუმცა, თუკი ადრეულ პროცესის განხორციელების ეტაპებს დავაკვირდებით, თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობების შუალედური მიზანი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამ მიზნისთვის გეგმები მომავალი სამი წლის განმავლობაში შემუშავდება.²³

შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ დირექტივის გადმოტანა და აღსრულება ითვალისწინებს შემდეგს:

- შენობებში ენერგოეფექტურობის მახასიათებლების გასაანგარიშებელი მეთოდოლოგიის შემუშავება;

²³ შენიშვნა, ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისთვის, ახალი შენობებისთვის ეს მიზანი 100% -იანია. 2020 წლამდე.

- ხარჯ-ოპტიმალური დონის გათვალისწინებით შენობებში ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა და დადგენილი ნორმების მისადაგება ახალი და არსებული შენობებისთვის;
- ახალი შენობებისთვის, სამშენებლო პროცესის დაწყებამდე, მომზადებული ენერგოეფექტურობის ალტერნატიული სისტემების ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შესწავლის განხორციელება და მიღებული შედეგების გათვალისწინება;
- მნიშვნელოვანი რეაბილიტაციისას არსებული შენობების, ან მათი გარკვეული განახლებული ნაწილის ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- საინჟინრო-ტექნიკურ სისტემებში ენერგიის გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით, ამ სისტემებისთვის წასაყენებელი მოთხოვნების შემუშავება, სწორი შერჩევა, მონტაჟი, მორგება და მართვა;
- კონკრეტული თარიღის დადგენა და განხორციელება, რომ ყველა ახალი შენობა თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობა იყოს - ეს გარკვეული დონით განახლებულ შენობებსაც შეეხება;
- ბაზარზე არსებულ ბარიერების გადასალახად ფინანსური სტიმულების შემუშავება;
- ახალი და არსებული შენობებისთვის ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემუშავება და დანერგვა;
- აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება გათბობა/გაგრილების სისტემების რეგულარული ინსპექტირებისთვის;
- შენობების ფონდის ინვეტარიზაციის შემუშავება;
- ეტალონური ტიპური შენობების პროექტის შემუშავება.

ამასთან, შემუშავების პროცესში მყოფი კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ 20 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ნარჩენი სითბოს გამოყენებისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მოთხოვნასაც გაითვალისწინებს. კანონის მიღება დაგეგმილია 2019 წლის ბოლოს.

დ) რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების რეზიუმე:

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ოცდასამმა მუნიციპალიტეტმა მერების შეთანხმებას მოაწერა ხელი²⁴. მათ მიერ შემუშავებული (დღეის მდგომარეობით 10) ენერგეტიკის მდგრადი სამოქმედო გეგმებში (SEAP), მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განახლებადი ენერგიის გამოყენებას, კერძოდ ადგილობრივ დონეზე შენობებისთვის განახლებადი ენერგიის გამომუშავებას და ეგწ-ზე დაყრდნობით საზოგადოებრივ შენობებში გათბობა/გაგრილების სისტემების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს 2020 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების შემცირებას. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის მიზნების გათვალისწინებით და დაეყრდნოს მუნიციპალიტეტის შემდეგ ქმედებებს:

- ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- შესაძლებლობების შექმნა;
- სანიმუშო მაგალითები;
- მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვება;
- ქმედებებში მოქალაქეთა პირდაპირი ჩართვა;

²⁴ http://www.covenantofmayors.eu/actions/sustainable-energy-action-plans_en.html?city=Search+for+an+Action+Plan...&country_seap=ge&commitments=&date_of_approval=&accepted=

- სხვადასხვა მხარეების მხარდაჭერის მოპოვება და მათი ჩართულობა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის ღონისძიებებში;

გაცხადებული მიზნის მიუხედავად, ეგწ-ბის (და საპილოტე პროექტების) განხორციელების მაჩვენებელი უმნიშვნელოა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადრეულ ეტაპებზე დანერგილ გეოთერმულ გათბობა-ცხელწყალმომარაგებას.

ე) 2020 წლამდე შენობების სექტორში განახლებადი ენერგიის გამოყენების დაპროექტებული ზრდა. (თუ შესაძლებელია განხორციელდეს დიფერენციაცია შენობებს შორის: საცხოვრებელი „ერთოთახიანი“ და „ერთზე მეტი ოთახის“, სავაჭრო, საზოგადოებრივი და სამრეწველო) (ამ კითხვაზე საპასუხოთ, შესაძლებელია ცხრილი 3 გამოყენება. მონაცემები წლიურად ან რამდენიმე წელზე გათვლით უნდა იყოს მითითებული. განახლებადი ენერგეტიკული წყაროებიდან გათბობა/გაგრილება/ელექტროენერგიის მოხმარების მონაცემები უნდა იყოს ნაჩვენები)

ცხრილი 3: განახლებადი ენერგიის სავარაუდო წილი შენობების სექტორში (2014,2015,2020)

	2014	2015	2020
საცხოვრებელი	53%	47%	43%
სავაჭრო/მომსახურება	45%	48%	40%
ჯამი	51%	47%	42%

ვ) ეროვნულ პოლიტიკაში ახალ და განახლებულ შენობებში ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნის ვალდებულებები

უახლოეს პერიოდში (2019 წლის დასასრული), საქართველო ევროკავშირის შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ 2010/31 დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოებას გეგმავს და მოსალოდნელია, რომ ეს კანონმდებლობა შენობების სექტორში ეგწ-დან მიღებულ ენერგოწილს მნიშვნელოვნად გაზრდის. ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი მინიმალური დონეების აუცილებლობა.

ზ) გეგმები, რომლებიც ეხება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე სამაგალითო საზოგადოებრივი შენობების წარმოადგენას, სადაც განახლებადი ენერგიის მოწყობილობები იქნება განთავსებული ან 2015 წლის შემდეგ მოხდება მათი თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობებად გარდაქმნა

როგორც აღინიშნა, საქართველოში შენობების შესახებ ენერგოეფექტურობის დირექტივის მიღება/განხორციელებას გარკვეული წლები დასჭირდება. სავარაუდოდ, წარმოდგენილი იქნება სამაგალითო (სანიმუშო) საზოგადოებრივ შენობებთან დაკავშირებული გეგმები, რომლებიც იყენებენ განახლებად ენერგო-ტექნოლოგიებს და თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობებს წარმოადგენენ. თუმცა, თუკი ამ პროცესის განხორციელების ეტაპებს დავაკვირდებით, თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობების შუალედური მიზანი ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი. ეს გეგმები მომავალი სამი წლის განმავლობაში შემუშავდება ²⁵.

²⁵ შენიშვნა: ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისთვის, ახალი შენობებისთვის, ეს მიზანი 2020 წლისთვის 100%

თ) ენერგოეფექტური და განახლებადი ტექნოლოგიების წახალისება შენობებში (ასეთი ღონისძიებები შესაძლოა ეხებოდეს ბიომასის ბოილერებს, თბურ ტუმბოებსა და მზის თერმულ მოწყობილობებს, რომლებიც აკმაყოფილებს ეკოლოგიური მარკირების მოთხოვნებს, ან სხვა ტიპის სტანდარტებს ეროვნულ ან თანამეგობრობის დონეზე

შენობებში ენერგოეფექტური და განახლებადი ტექნოლოგიების წახალისების მიზნით, როგორცაა ბიომასაზე მომუშავე ეფექტური გამათბობლები, მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლები და ასე შემდეგ, დონორთა მიერ დაფინანსებული რიგი ინიციატივები განხორციელდა. ამ ინიციატივების უმრავლესობა საპილოტე ხასიათს ატარებდა, მაგრამ არსებობს გეგმები მათი ფართო მასშტაბით დანერგვის შესახებ.

ამჟამად, მიმდინარეობს ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელის მიზანია ევროკავშირის მარკირების დირექტივა (2010/30/EU)-სთან არსებული კანონმდებლობის დაახლოება და მიმდინარეობს დისკუსიები ევროკავშირის ეკო-დიზაინის დირექტივაზე (2009/125/EC), რომელიც ასევე იქონიებს ზეგავლენას განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებზე შენობებში - ბიომასის ბოილერები, თბური ტუმბოები და ასე შემდეგ.

3.2.4. ინფორმირების დებულებები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (1),14(2) და 14(4))

ა) არსებულ ეროვნული ან რეგიონალური კანონმდებლობის მაგალითები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც 2009/28/EC დირექტივის მე-14 მუხლის თანახმად ინფორმირების მოთხოვნებს ეხება:

ამ ეტაპზე ეროვნული ან რეგიონალური კანონმდებლობის მაგალითები, რომლებიც 2009/28/EC დირექტივის მე-14 მუხლის თანახმად ინფორმირების მოთხოვნებს ეხება, ვერ იქნა მოძიებული.

ბ) ეროვნულ/რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე ინფორმაციის გავრცელების პასუხისმგებელი უწყება (ები):

ეგწ-ბის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პასუხისმგებელი უწყებები ზოგადად მოიცავს:

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიას;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას;
- მუნიციპალიტეტები - მათი უმრავლესობა მერების შეთანხმების ხელმძღვანელია.

გარდა წარმოდგენილი ჩამონათვალისა, მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო დონორები ჩართულები არიან განახლებად ენერგიებსა და მის სარგებელზე ინფორმაციის გავრცელების საკითხში.

გ) რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე (შესაბამისობის შემთხვევაში) არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შეჯამება:

კანონი განახლებადი ენერგიის შესახებ არის შემუშავების პროცესში(2019 წლის ბოლოსთვის იგეგმება მისი მიღება), რომლის მე-14 მუხლიც ჩამოაყალიბებს ინფორმირების შესახებ მოთხოვნებს.

მუნიციპალურ დონეზე მერების შეთანხმებას 23 მუნიციპალიტეტმა მოაწერა ხელი, რითაც ვალდებულება აიღო მათ ქალაქებში განახლებადი ენერგიის წახალისებაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთდა მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების წახალისებაზე და ბიომასის ეფექტურ გამოყენებაზე.

დ) დაინტერესებული პირების (მომხმარებლები, მშენებლები, მემონტაჟეები, არქიტექტორები, შესაბამისი მოწყობილობებისა და მანქანების მომწოდებლები) ინფორმირება ელექტროენერგიაში, გათბობა/გაგრილებასა და ტრანსპორტში განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენების შესახებ არსებული წამახალისებელ/მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სპეციალური ინფორმაციული რესურსი შემდეგი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (საბოლოო მომხმარებლები, მშენებლები, შენობის მენეჯერები და აგენტები, მემონტაჟეები, არქიტექტორები, ფერმერები, შესაბამისი მოწყობილობებისა და მანქანების მომწოდებლები, საჯარო ადმინისტრაცია), საინფორმაციო კამპანიები, საინფორმაციო ცენტრები

განახლებადი ენერგეტიკული წყაროებისა და დამხმარე სქემების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჯარო უწყებების ვებ-გვერდებზე (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია და ა.შ.)

გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორთა მიერ დაფინანსებული სხვადასხვა ინიციატივები ეგწ-ზე ინფორმაციას აქვეყნებენ და საზოგადოებრივ ინფორმაციულ ღონისძიებებსაც ატარებენ.

ე) გათბობა-გაგრილებისა და ელექტროენერგეტიკაში განახლებადი ენერგიის წყაროებისა და ტექნოლოგიების გამოყენების წმინდა სარგებელის, ხარჯების და ენერგოეფექტურობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე ვალდებული მხარე.

ასეთი ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება აღჭურვილობის მწარმოებელისა და მომწოდებლის მიერ.

ვ) დეველოპერებისა და არქიტექტორების სახელმძღვანელო დოკუმენტები

ამჟამად, დეველოპერები და არქიტექტორები მათთვის აუცილებელ ინფორმაციას იღებენ პროფესიული ასოციაციების, საკუთარი აქტიურობისა და სხვადასხვა საერთაშორისო დონორ-ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობით.

ზ) მოქალაქეებისთვის შემუშავებული განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღება/გამოყენების პრაქტიკულობასა და სარგებელზე არსებული ანდა დაგეგმილი საინფორმაციო, ცნობიერების ამაღლების და სასწავლო პროგრამები

დონორთა მიერ დაფინანსებული რიგი პროგრამების განხორციელება იგეგმება უახლოესი წლების განმავლობაში - კერძოდ ეფექტური შეშის ღუმელების და მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების დანერგვის წახალისება.

3.2.5. მემონტაჟეთა სერტიფიცირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (3))

ა) დირექტივა 2009/28/EC მუხლის 14 (3) ის თანახმად, არსებული ეროვნული ან რეგიონალური კანონმდებლობის მაგალითები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ეხება მემონტაჟეთა სერტიფიცირებას ან ექვივალენტურ კვალიფიკაციის სქემებს:

არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჩამონათვალი:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251 „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- „წესები და პროცედურები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების SST ISO/IEC 17024:2012/20 შესაბამისობაზე აკრედიტაციისთვის“ (მუხლი 6);
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება N 340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“;

ბ) პასუხისმგებელი უწყება (ები), რომელიც 2012 წლამდე მცირე მასშტაბის ბიომასის ბიოლერების და ღუმელების, მზის ფოტოვოლტაიკის და მზის თერმული სისტემების, არა ღრმა გეოთერმული სისტემების და თბური ტუმბოების მემონტაჟეებისთვის აწესებს სერტიფიცირების სისტემას და საკვალიფიკაციო სქემას და გასცემს ამ დოკუმენტს:

საქართველოში ამ მიმართულებით პასუხისმგებელი უწყება ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. საქართველოში მოქმედებს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, რომელიც პერსონალის სერტიფიკაციის კერძო სუბიექტებს სერტიფიცირების პროცესის განხორციელების უფლებას აძლევს. ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი, კერძო ორგანიზაციებისთვის პერსონალის სერტიფიკაციის აკრედიტაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანოა. ის 2006 წელს შეიქმნა და ეროვნულ დონეზე აღიარებული აკრედიტაციის უწყებაა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. ეროვნული ცენტრის საქმიანობას არეგულირებს 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონი - „კვების უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“. მისი ამოცანაა, საქართველოს ეკონომიკისთვის საუკეთესო სააკრედიტაციო მომსახურების გაწევა. აკრედიტაციის მომსახურება მოიცავს:

- აკრედიტაციის გაცემა;
- აკრედიტაციის კერძო ორგანოების ზედამხედველობა.

ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი მოქმედებს საერთაშორისო ISO/IEC 17011 სტანდარტთან და ევროპული საუკეთესო პრაქტიკისთან სრულ შესაბამისობაში, რომელიც აღწერს აკრედიტაციის ორგანოს მოქმედების არეალსა და მუშაობის სპეციფიკას. არსებული მდგომარეობით, ეროვნულ აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციებს ISO/IEC 17024 სტანდარტის თანახმად, პერსონალის სერტიფიცირების უფლებას კერძო უწყებებზე გასცემს.

გ) სერტიფიცირებისა და საკვალიფიკაციო სქემები

საქართველოს კანონმდებლობით ჯერ არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება მემონტაჟითა სერტიფიცირებაზე ან სამონტაჟო სერტიფიკატების პროცედურების/სქემების რეგულირებაზე. გარდა ამისა, ეროვნული აკრედიტაციის ცენტრს ჯერ არ განუსაზღვრავს ეგწ-ბის მემონტაჟითა სერტიფიცირების უფლებამოსილი ორგანო. საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით არ განსაზღვრავს იმ სავარაუდო უწყებას, რომელიც ენერგო აუდიტორებისთვის ტექნიკური ნორმების შემუშავების სერტიფიცირებაზე უფლებამოსილი იქნება.

დ) საზოგადოებისთვის სქემებზე (სერტიფიცირებული და კვალიფიცირებული მემონტაჟითა სია) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ამჟამად ასეთი ტიპის სქემა ქვეყანაში არ მოქმედებს; აქედან გამომდინარე, შესაბამისი ინფორმაცია და ამასთან სერტიფიცირებული/ კვალიფიცირებული მემონტაჟითა სიაც არ იძებნება.


ე) რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე (შესაბამისობის შემთხვევაში) არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შეჯამება:

საქართველოს კანონმდებლობას შეუძლია, დაავალდებულოს ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი, რომ ის გახდეს პასუხისმგებელი სერტიფიცირების/აკრედიტაციის სქემების შექმნაზე, შესაბამისი უწყებ(ებ)ის თანხმობის საფუძველზე (საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო). ამ აკრედიტაციის პროცესის შემუშავებისთვის რეკომენდირებულია საერთაშორისო სტანდარტების (ISO 17000 „შესაბამისობის შეფასება“ ან EN 45010 „სერტიფიცირების სისტემების შეფასების და აკრედიტაციის საერთო მოთხოვნები?“) გათვალისწინება.

ევროპული ქვეყნების დიდ ნაწილში მოქმედებს ოფიციალური ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების გამოქვეყნებაზე. საქართველოში, სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მიერ ავტორიზირებულ ოფიციალურ უწყებას, რომელიც ეროვნული სტანდარტიზაციის და მეტროლოგიურ აქტივობებს ორგანიზებას უწევს და ამასთან, შესაბამის ნორმატიულ ტექნიკურ რეგულაციებზეც მუშაობს. თუმცა, სამინისტროს გადასაწყვეტია, იქნება თუ არა ეროვნული სააგენტო ის უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მემონტაჟითა სერტიფიცირების ტექნიკური სტანდარტის შემუშავებაზე, თუ მემონტაჟითათვის მინიმალური მოთხოვნების დადგენა საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს დაევალება.

სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში მოხდება სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი კერძო კომპანიებს მემონტაჟითა სერტიფიცირების პროცესის განხორციელებაზე უფლება გადასცემს. საქართველოსთვის შესაძლო აკრედიტაცია/ სერტიფიცირების სქემა ქვემოთ არის წარმოდგენილი.

მემონტაჟეთა სერტიფიცირების სავარაუდო სქემა



3.2.6. ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (1) და მუხლი 16(3) (6)-ის ჩათვლით)

ა) არსებული ეროვნული ან რეგიონალური კანონმდებლობის მაგალითები, რომლებიც ელექტროენერგეტიკული ქსელის შესახებ მოთხოვნებს აყალიბებს (მუხლი 16):

საქართველოს კანონი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ელექტროენერგიის ქსელებთან მიმართებაში ზოგად დებულებებს ასახავს. კანონის 32-ე, 35-ე და 36-ე მუხლები განსაზღვრავს როგორც გადამცემის ლიცენზიანტისა და დისპეტჩერიზაციის ვალდებულებებს (გადამცემი სისტემის

ოპერატორი), აგრეთვე განაწილების ლიცენზიანტის ვალდებულებებს, რაც უკავშირდება ელექტროენერგიის ქსელების გამოყენებასა და გაფართოებას. ელექტროენერგიის ქსელის ოპერირების, მიერთებისა და დაგეგმვის საკითხში ქსელის ოპერატორებსა და მომხმარებლებზე დაწესებული ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებით „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს კანონით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ და შემდეგი აქტებით რეგულირდება ელექტროგადამცემი ქსელის, გადამცემი ან განაწილების სისტემების მართვა:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N 434 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი-ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილება „ქსელის წესების (გადამცემი და გამანაწილებელი)“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება N20 „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) და მიწოდების მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77 „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ.

ბ) გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების განვითარება და მათში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის განსაზღვრული ოდენობის ინტეგრირება, ელექტროენერგიის სისტემის საიმედოობა და გადამცემი და გამანაწილებელი ოპერატორების პერიოდულ ქსელის დაგეგმარების პროცესი

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ ერთ-ერთ მთავარ მიზანს ეგწ-ბის პოტენციალის გამოყენების მიზნით, საქართველოს ელექტროენერგიის ქსელის განვითარება და „მწვანე ენერგიით“ რეგიონალურ სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბება წარმოადგენს.

საქართველოს კანონში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ და „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის გაფართოების, გაძლიერებისა და განვითარებისთვის აუცილებელი გადამცემი, დისპეტჩერიზაციის და გამანაწილებელი ლიცენზიების ამოცანები და ვალდებულებები არის გაწერილი. კანონის 32-ე მუხლის თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორმა გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა უნდა შეიმუშაოს და შესაბამის უწყებას - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს.

საქართველოს ქსელის წესების თანახმად, გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმაში უნდა განსაზღვროს გადამცემი ქსელის ის წერტილები(კვანძები), სადაც ახალი ელექტროენერგიის სადგურების/ან სხვა მომხმარებლების ოპტიმალური მიერთება განხორციელდება ისე, რომ არ დაირღვეს ელექტროენერგიის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო, ხოლო გადამცემი ქსელი განვითარდეს გამჭირვალე და არადისკრიმინაციული გზით. გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა უნდა

მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ახალი ელექტროსადგურების სამშენებლო გეგმებზე დაყრდნობით გადამცემი ქსელის განვითარებას განიხილავს.

გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების არსებული გეგმის 2018-2028 მიხედვით, 2028 წელს რეგულირებადი ჰიდროელექტროსადგურების საპროგნოზო ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 4,209 მგვტ., ხოლო მოდინებაზე მომუშავე სადგურების - 2,207 მგვტ. აღსანიშნავია, რომ ამავე გეგმაში 1156,6 მგვტ ქარის და 505 მგვტ მზის სადგურების მიერთებასთან ერთად 3 მგვტ ბიოგაზზე მომუშავე ელ.სადგურის შესაძლებლობაცაა განხილული შემდეგი დამუშავებით:

- ჯვარი-წყალტუბო-ახალციხის 500კვ ელექტრობერგის გადამცემი ხაზის (ეგხ) მშენებლობა (არსებული „იმერეთის“ ეგხ-ს პარალელურად);
- ახალი , რუსეთთან დამაკავშირებელი 500კვ ეგხ-ს მშენებლობა;
- ხუდონის, ნამახვანის, ნენსკრა და ცხენისწყალის ჰეს-ების მშენებლობა;
- 400მგვტ (არსებული მემორანდუმები ქარის სადგურებზე) თანაბარი განაწილება ისე, რომ თითოეულ ზონაში 45 მგვტ ჯამური სიმძლავრის სადგური იყოს მიერთებული;
- ქარის მაღალი სიზუსტის პროგნოზირების სისტემის დანერგვა და მისი „სკადა“ს სისტემასთან ინტეგრირება.

საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის კანონის თანახმად, დამტკიცებული გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის საფუძველზე, გადამცემი ქსელის ლიცენზიანტები შეიმუშავენ სამწლიან საინვესტიციო გეგმებს და წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას. გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმაში გაწერილი პროექტების განსახორციელების უზრუნველსაყოფად, სამწლიან საინვესტიციო გეგმებში ყველა აუცილებელი საინვესტიციო ხარჯი უნდა იქნას გათვალისწინებული.

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დებულების განაწილების ლიცენზიანტებისთვის ადგენს ვალდებულებებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს ისე, რომ გამანაწილებელი სისტემის განვითარება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით განხორციელდეს. ამ ვალდებულებების შესრულების მიზნით, გამანაწილებელი ქსელის ოპერატორი შეიმუშავებს ქსელის განვითარების ხუთწლიან გეგმებს და აწვდის გადამცემი ქსელის ოპერატორს შენიშვნებისთვის, ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას დასამტკიცებლად. ეს უკანასკნელი იტოვებს უფლებას, განმცხადებელს დოკუმენტი არსებული შენიშვნებით დაუბრუნოს და აუცილებელი შესწორებებისთვის ერთთვიანი ვადა დაუწესოს.

გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმები პირველი სამი წლის პერიოდზე უნდა მოიცავდეს გათვლილ დეტალურ მონაცემებს და ინფორმაციას, რაც უკავშირდება პროექტის ინვესტიციას. ხუთწლიანი გეგმის ბოლო ორი წლის პერიოდის ნაკლებად დეტალურ ინფორმაციას, მხოლოდ მიზნობრივი დატვირთვა აქვს.

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დებულების 96-ე მუხლის თანახმად, განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია ქსელის კვლევების პერიოდულ ჩატარებაზე, რითაც სხვა საკითხებთან ერთად, ახალი ელექტროსადგურების პოტენციული ზემოქმედება იქნება შეფასებული და გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული სხვა ელექტროსადგურებსა დანადგარებსა თუ მოწყობილობებზე მათი გავლენა იქნება შეფასებული. ამ კვლევების დროს, ქსელის ის ნაწილები უნდა გამოიკვეთოს, სადაც შესაძლებელია შესაძლო ძაბვის ვარდნის გამოვლენა, რაც ზიანის მომტანია უკვე მიერთებული სადგურებისა და ელექტრული დანადგარებისთვის/მოწყობილობებისთვის (მათ შორის

გამანაწილებელი ქსელის მომხმარებლებისთვის და ლიცენზიანტებისთვის). კვლევები ძაბვის ვარდნის შესახებ, მინიმუმი და მაქსიმუმი დატვირთვის დაფიქსირებით, სხვადასხვა ალტერნატიული სცენარებს უნდა განიხილავდეს. ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, შესაძლო რისკების შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა გამანაწილებელი ქსელის გეგმებში უნდა იყოს ასახული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურების ქსელთან ინტეგრირება თეორიულად მოახდენს ქსელზე ზეგავლენას, როგორც დანაკარგების შემცირებით, ასევე ელექტროენერგიის გამომუშავებასა და მოხმარებაზე დამატებითი ზედამხედველობის საჭიროებით, რაც მოთხოვნილია ელექტროენერგიის ნეტო-აღრიცხვის წესების გამო. შესაძლებელია, რომ მიკრო გენერაციის საერთო მასშტაბმა გავლენა იქონიოს გადამცემი და სადისტრიბუციო ქსელში საჭირო ინვესტიციების ოდენობაზე. ამავდროულად, მიკრო-გენერაციის ფართო გავრცელებამ და ნეტო-მოხმარების მნიშვნელოვანმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები ენერგიის განაწილების არსებულ ბიზნეს მოდელში.

როგორც გამანაწილებელი ქსელის ოპერატორები, ასევე კომისია (სემეკი) მხარს უჭერენ ნეტო-აღრიცხვას და ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო, 100 კვტ-მდე სიმძლავრის ელექტროსადგურების ქსელთან მიერთებას. ნეტო-აღრიცხვის არსებული პოლიტიკის თანახმად, სადისტრიბუციო ქსელთან მაქსიმალური სიმძლავრის მიერთება განისაზღვრება სადისტრიბუციო კომპანიების ბოლო წლების პიკური დატვირთვის მხოლოდ 2%-ით. ეს არის ის ზღვარი, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის სათანადო ფუნქციონირებას. წინა წლების მონაცემებით, მიკრო გენერაციის მაქსიმალური საერთო სიმძლავრე დაახლოებით 30 მგვტ-ს შეადგენს. თუმცა, 2017 წლის ბოლოსთვის მხოლოდ 278 კვტ დამონტაჟდა. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიკრო ელექტროსადგურები მოახდენს დიდ ზეგავლენას ქსელზე.

გ) ინტელექტუალური (გონიერი) ქსელები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ელექტროენერგიის დამაგროვებელი (შემნახველი) დანადგარები და მათი განვითარების უზრუნველყოფა

დღეისთვის, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ელექტროენერგიის დამაგროვებლო-შესანახი სისტემების ან ინტელექტუალური (გონიერი) სისტემების და განახლებადი ენერგიის სისტემის ურთიერთმაკავშირებელ ღონისძიებებს. ელექტროსისტემის ათწლიანი განვითარების გეგმაში ზემოაღნიშნული არ არის ასახული.

დ) მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგეტიკულ სისტემების დამაკავშირებელი ხაზების განვითარება

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მოსაზღვრე ქსელებთან კავშირების განვითარების შესახებ ინფორმაცია. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ტრანსსასაზღვრო პროექტები ეფუძნება მეზობელ ქვეყნებსა და გადამცემი სისტემის ოპერატორს შორის დადებულ შეთანხმებებს. საქართველოს ოთხივე მეზობელ ქვეყანასთან ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურა გააჩნია (თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი). დღეისთვის მეზობელი ქვეყნებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების პოტენციალი შემდეგია²⁶:

- აზერბაიჯანი– 950 მგვტ.;

²⁶ ხაზების საოპერაციო ზღვრები (TTC) ზამთარში

- რუსეთი – 700 მგვტ.;
- სომხეთი – 150 მგვტ.;
- თურქეთი – 700 მგვტ.;

ეს სიმძლავრეები საკმარისია ელექტროენერგიით მიმდინარე ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისთვის. თუმცა, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ქსელის გაძლიერება იგეგმება, რაც გაზრდის მის საიმედოობას და ამასთან რეგიონალური ვაჭრობის მზარდ გამოწვევებს უპასუხებს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შემუშავებული 2019-2029 წ.წ. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა, მოიცავს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ქსელების გაძლიერებას ისე, რომ დამაკავშირებელი ხაზების სიმძლავრეებმა მიაღწიონ შემდეგ მაჩვენებლებს:

- აზერბაიჯანი – 1400 მგვტ.;
- რუსეთი – 1600 მგვტ.;
- სომხეთი – 700 მგვტ.;
- თურქეთი – 1400 მგვტ..

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, **ტრანს-სასაზღვრო პროექტები** ენერგიის გაცვლის გაზრდისა და მეზობელ ქვეყნებთან ენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობების გამოყენების გათვლით იგეგმება. ამ პროექტების განხორციელების ვადები ნაკლებად არის დამოკიდებული ეროვნულ გენერაციაზე/მოთხოვნაზე, ისინი მიზნულია სპეციალურ ორმხრივ შეთანხმებებზე, რომლებიც ელექტროენერგიით ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობას უწყობს ხელს. ეს პროექტებია:

- **400 კვ-იანი ელექტრო გადამცემი ხაზი (ეგხ) ახალციხე-თორთუმი და 350 მგვტ-იანი მუდმივი დენის ჩანართი ახალციხის ქვესადგურში:** ამ პროექტის მიზანია საქართველო-თურქეთს შორის ელექტროენერგიის გაცვლის პოტენციალის გაზრდა, 400კვ-იანი ეგხ “მესხეთის” საიმედოობის ამაღლება და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის განსახორციელებლად უსაფრთხოების გაზრდა. პროექტის დასრულება 2025 წლისთვისაა დაგეგმილი.
- **500 კვ-იანი ეგხ ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოვი და 500/110 კვ-იანი ქვესადგური სტეფანწმინდა:** ამ პროექტის მიზანია საქართველო-რუსეთს შორის (სომხეთთან და ირანთან ერთად) ელექტროენერგიის გაცვლის პოტენციალის და უსაფრთხოების გაზრდა და მდინარე თერგის ჰესების ქსელთან ინტეგრირება. პროექტის დასრულება 2023 წლისთვისაა დაგეგმილი.
- **500 კვ-იანი ეგხ მარნეული-აირუმი, მარნეულის ქვესადგურში 500კვ-იანი და 220კვ-იანი კვანძების დამაკავშირებელი ავტოტრანსფორმატორი და ამ ქვესადგურთან არსებული 500 კვ-იანი ეგხ “ასურეთის” (მუხრანის) დაკავშირება:** ამ პროექტის მიზანია საქართველო-სომხეთს შორის (რუსეთსა და ირანთან ერთად) ელექტროენერგიის გაცვლის პოტენციალის გაზრდა და თბილისის ელ.მომარაგების საიმედოობის გაუმჯობესება (ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილი იქნება ქვესადგურ ქსანის და ქვესადგურ მარნეულის ერთმანეთთან დაკავშირებით არსებული 500 კვ-იანი ეგხ „ასურეთის“ საშუალებით და 500/220კვ-იანი ავტოტრანსფორმატორით მარნეულში). ყველა ელემენტი უკვე შესულია ექსპლუატაციაში მარნეული-აირუმის 500 კვ-იანი ეგხ-ს გარდა. პროექტის დასრულება 2025 წლისთვისაა დაგეგმილი.
- **154 კვ-იანი ეგხ ბათუმი-მურატლი და 350 მგვტ-იანი მაღალი ძაბვის მუდმივი დენის ჩანართი ქვესადგურ ბათუმში:** ამ პროექტის მიზანია შუახევისა და კორომხეთის ჰიდროელექტროსადგურებიდან ენერგიის გამოტანა და საქართველო-თურქეთს შორის ელექტროენერგიის გაცვლის პოტენციალის გაზრდა. პროექტის დასრულება 2025 წლისთვისაა დაგეგმილი.

ე) ქსელის ინფრასტრუქტურის ავტორიზაციის პროცედურების დაჩქარება, დღევანდელი მდგომარეობა, დამტკიცების საშუალო ვადები და გასაუმჯობესებელი ღონისძიებები

დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქსელთან მიერთების დამაჩქარებელი პროცედურების განმსაზღვრელი დებულებები არ იძებნება. „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის მიერთების პროცედურები, ვადა და მოსაკრებლები, ისევე როგორც მიერთების სქემები არის გაწერილი. გადამცემ ქსელთან მიერთების მოთხოვნის დამტკიცება ორი ეტაპიანია: 1) ქსელის შესწავლა 2) მიერთების სამშენებლო სამუშაოები.

35 კვ-იანი და მეტი ძაბვის ელექტროენერგიის ხაზებისთვის, დამტკიცების პროცედურა უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შესწავლის პროცედურას გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონისა და მთავრობის დადგენილება N57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ შესაბამისად. პროექტის განმცხადებელი მხარე (ეგწ-ბის დეველოპერი ან ქსელის ოპერატორი) სამშენებლო ნებართვების და ავტორიზაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. მთავრობის N57-ე დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, სამშენებლო ნებართვის გაცემისთვის სამ ეტაპიანი წესია დადგენილი:

- 1) სამშენებლო მიზნებისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის პირობების დამტკიცება;
- 2) არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტზე, სამშენებლო და /ან ტექნოლოგიურ სქემაზე შეთანხმება და გზშ-ის მომზადება;
- 3) სამშენებლო ნებართვის გაცემა;

პროექტის განმხორციელებელს, ასევე უფლება აქვს, ორეტაპიანი გამარტივებული სანებართვო პროცედურების აირჩევს (მეორე და მესამე ეტაპები გაერთიანებულია გამარტივებულ პროცედურაში):

- 1) სამშენებლო მიზნებისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის პირობების დამტკიცება
- 2) სამშენებლო ნებართვის გაცემა

გარდა ამისა, მთავრობის N57-ე დადგენილება V კლასის სამშენებლო ნაგებობებისთვის, რომელიც სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ინტერესის საგანს წარმოადგენს გარკვეულ გამოწვევების აწესებს. კერძოდ, 53-ე მუხლის მეხუთე პარაგრაფში გაწერილია, რომ თუ (1) V კლასის სამშენებლო ობიექტი უკავშირდება დიდი რაოდენობით დოკუმენტაციის დამუშავებასა და ფართომასშტაბიანი სამუშაოების განხორციელების ვადას და (2) პროექტი წარმოადგენს სახელმწიფო და/ან სოციალური ინტერესის საგანს და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს ვერ ასრულებს, ნებართვის გამცემ ორგანოს ნებართვის მაძიებლის მიერ სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სამშენებლო ნებართვის გაცემა შეუძლია.

ამათანავე, 53-ე პარაგრაფში გაწერილია, რომ ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურებისა და ელექტროსადგურების მშენებლობის შემთხვევაში, თუკი სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი შესაბამისი სახელმწიფო უწყება სამშენებლო კლასის მიუხედავად, პროექტის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აღიარებს, ნებართვის გამცემ ორგანოს შეუძლია წინასწარი სამშენებლო ნებართვის გაცემა, იმ შემთხვევაში თუკი პროექტის განმხორციელებელი სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის მიწის ნაკვეთის გეოგრაფიულ კოორდინატებს წარადგენს ხოლო ყველა სხვა აუცილებელი დოკუმენტი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

ელექტროგადამცემი ქსელის სამშენებლო ნებართვის მიღების ზოგადი და გამარტივებული პროცედურული ვადები წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ.

ძაბვა კვ	პერიოდი (სამუშ. დღეები) პირველი ეტაპის მიერთების უზრუნველსაყოფად	პერიოდი (სამუშ. დღეები) გადამცემი ლიცენზიანტის მიერ მიერთების პირველი ეტაპის შესწავლა	პერიოდი (სამუშ. დღეები) გადამცემი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ მიერთების პირველი ეტაპის შესწავლა	პირველი ეტაპის მიერთების მოსაკრებელი (დღგ-ს ჩათვლით) ლ
6-10 და 35	35	15	15	2500
110	45	15	25	3000
220 და ზემოთ	65	15	45	4000

მიერთების შემდეგი სქემებია ნებადართული:

- გადამცემი ქსელის ქვესადგურთან მიერთება:** ამ შემთხვევაში პროექტის განმახორციელებელი ასრულებს ქსელის გაფართოების სამშენებლო სამუშაოებს და გადამცემი ხაზის ლიცენზიანტი მისივე ქვესადგურში ახორციელებს მიერთების უჯრედის სამშენებლო სამუშაოებს. პროექტის განმახორციელებელი ფარავს ყველა დაკავშირებულ ხარჯს.
- In-Out:** თუკი გადამცემი ქსელი მიყვანილია პროექტის განმახორციელებლის ადგილამდე, გადამცემი ქსელის ლიცენზიანტი პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ქვესადგურთან მიერთების უჯრედის მომზადებაზე, ხოლო გაფართოების ხაზის გადამცემ ქსელთან სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე. პროექტის განმახორციელებელი მოსაკრებელს უხდის გადამცემი ქსელის ლიცენზიანტს, რისი ოდენობაც შეესაბამება ზემოაღნიშნულ ღირებულებებს.

მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები მოცემულია ქვემოთ.

მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები თუკი მიერთების უჯრედი გადამცემი ქსელის ლიცენზიანტის ქვესადგურთანაა მოწყობილი

ძაბვა კვ	მეორე ეტაპის მიერთების ვადა	მეორე ეტაპის მიერთების მოსაკრებელი ლარში (დღგ-ს ჩათვლით)
35 - როდესაც მიერთებულია ღია გადამცემ გამანაწილებელ მოწყობილობასთან	მიერთების შეთანხმებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად	218,000
35 - როდესაც მიერთებულია დახურულ გადამცემ გამანაწილებელ მოწყობილობასთან		300,000
110		560,000
220		819,000

ძაბვა კვ	პერიოდი (სამუშ. დღეები) მეორე ეტაპის მიერთების უზრუნველსაყოფად	ერთწრედიან ეგზ-სთან მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	ორწრედიანი ეგზ-ს მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	ელექტროენერგიის გადამცემი საკაბელო ხაზის მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი/დღგ)
35	მიერთების შეთანხმებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად	178,000	260,000	199,000
110		352,000	517,000	-
220		428,000	677,000	-

გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთეულებიანი პროცედურაა განსაზღვრული და მიერთების მოსაკრებლები არ არის დადგენილი. მიერთებები ეფუძნება რეალური ხარჯების პრინციპს და მიერთების მსურველი მიერთების უჯრედისა და გაფართოების სამუშაოებთან დაკავშირებულ ხარჯებს თავადვე იხდის, ხოლო მიერთების პროცესში წარმოქმნილ დასაბუთებულ ხარჯებს უნაზღაურებს განაწილების ლიცენზიანტს. 60 დღის განმავლობაში მიერთების პროცედურები უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც გამანაწილებელი ლიცენზიანტი განმცხადებელს აცნობებს მიერთების პირობებს. გარდა ამისა, გამანაწილებელი და გადამცემი ქსელების ლიცენზიანტები არ არიან უფლებამოსილნი, რესურსების ნაკლებობის ან შესაძლო გადატვირთულობის მიზეზით ელექტროსადგურის მიერთებაზე უარი განაცხადონ.

ვ) ქსელის ინფრასტრუქტურის დამტკიცებასა და სხვა ტიპის ადმინისტრაციული დაგეგმვის პროცედურებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფა

ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა და კომპანიების ხუთწლიანი ქსელის განვითარების გეგმები ქსელის განვითარების დაგეგმარებასა და ეგწ-ბის მშენებლობას შორის კოორდინირების საფუძველს ქმნის. ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმით განსაზღვრული ქსელის ინფრასტრუქტურის დროითი ჩარჩო და მახასიათებლები თანხვედრაშია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ელექტროენერგიის სადგურების სიასა და მიმდინარე ეგწ-ბის სამშენებლო პროცესებთან. გამანაწილებელი და გადამცემი ქსელების ოპერატორებსა და მათი განვითარების გეგმებს შორის თანამშრომლობა „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების სპეციალურ დებულებებსა და პროცედურებშია გაწერილი. მსხვილი მომხმარებლებისა და მწარმოებლების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ნებართვის გაცემის პროცედურა, გადამცემი სისტემის ოპერატორთან გაფორმებული შეთანხმებით ხორციელდება. თუმცა, სამშენებლო ნებართვების წესები ელექტროსისტემის ოპერატორებსა და სხვა სამშენებლო ნებართვების გამცემ ინსტიტუციებს შორის კონკრეტულ ურთიერთობებს არ განსაზღვრავს.

ზ) ეგწ-დან ელექტროენერგიის მწარმოებელი ახალი ობიექტებისთვის პრიორიტეტული მიერთების უფლებებითა და მიერთებისთვის საჭირო სარეზერვო სიმძლავრეებით სარგებლობა

საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და ასევე „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება განსაზღვრავს, რომ გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ლიცენზიანტებმა ყველა სისტემის მომხმარებლისთვის და მესამე პირებისთვის, მათ შორის

ეგწ-დან ელექტროენერგიის მწარმოებლებისთვის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან თანაბარი მისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ.

ახალ ეგწ-ზე მომუშავე ობიექტებისთვის პრიორიტეტული მიერთების უფლებები და სარეზერვო სიმძლავრეები არსებული დებულებებით არ არის განსაზღვრული. თუმცა, „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისი თავების თანახმად, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ლიცენზიანტებს აქვთ ვალდებულება, შეიმუშაონ ქსელის ათწლიანი განვითარების და გამანაწილებელი ქსელის ხუთწლიანი განვითარების გეგმები და ამასთან, განახორციელონ ქსელების განვითარება, ჩაატარონ გაფართოების სამუშაოები და ამ პროცესში გაითვალისწინონ გენერაციის სიმძლავრეების განვითარება (ეგწ-ბის პროექტის განვითარების ჩათვლით).

გარდა ამისა, როგორც საქართველოს გადამცემი და გამანაწილებელი „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის 4.2.6 -ის (ე) პუნქტშია აღნიშნული, ქსელების ოპერატორებს არ აქვთ უფლება, არსებული ქსელის სიმძლავრეების შესაძლო სამომავლო შეზღუდვებისა და/ან სიმძლავრეების გაზრდასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების საფუძველზე ელ.სადგურების მიერთების განაცხადი არ დააკმაყოფილონ (ევრო პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2009/72/EC „ელექტროენერგიის შიდა ბაზრის საერთო წესების“ 23-ე მუხლი თანახმად).

თ) განახლებად ენერგიაზე მომუშავე სადგური, რომელიც ქსელის ლიმიტირებული სიმძლავრის გამო არ არის მასთან მიერთებული და ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას ამ საკითხის მოსაგვარებლად.

დღეისთვის ასეთი სიტუაცია ელექტროენერგიის ბაზარზე არ არის შექმნილი, ვინაიდან პროექტის შემუშავების ადრეულ ეტაპზე ქსელის ოპერატორთან მიერთების შეთანხმების გაფორმება ხდება, რომელიც ეფუძნება ტექნიკურ პირობებს, რომელიც ქსელის ოპერატორის მიერ გამოცემული მიერთების შეთავაზების ნაწილს წარმოადგენს.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა გარკვეულ შეზღუდვების მატარებელიცაა. მაგალითად, ქარის ენერგიაზე მომუშავე სადგურების მიერთების პროცესს ართულებს ქსელის მდებარეობა და ამ კონკრეტული ენერგიის წყაროს არასტაბილურობის ფაქტორი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტროსისტემა იმდენად ძლიერი არ არის, რომ შეძლოს სიმძლავრეების დარეზერვება შემოდგომა-ზამთრის სეზონებში. ამ სახის შეზღუდვების მოსახსნელად, გადამცემი სისტემის ოპერატორი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში ელექტროენერგიის ქსელის გაძლიერებისთვის გამოყოფს კონკრეტულ ღონისძიებებს, როგორებიცაა: ოპერირების გაუმჯობესება და პროგნოზირების პროცედურები, მეზობელი ქვეყნების სისტემებთან უერთიერთკავშირების გაძლიერება. ამასთან, ხაზგასმულია დადგმული სიმძლავრის გაზრდა და არსებული გენერატორების ძაბვისა და სიხშირის ავტომატური რეგულირების მოწყობილობების აღდგენა.

ი) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების მიერ უზრუნველყოფილი ქსელის ტექნიკური ადაპტაციის ხარჯთა გაზიარებისა და დაფარვის წესები და სპეციალური წესები იმ მწარმოებლებისთვის, რომლებიც პერიოდულ და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით გამორჩეული რეგიონებს წარმოადგენენ (ხარჯების დაფარვის წესები, განსაზღვრავს, ხარჯების რომელი ნაწილი უნდა დაიფაროს მწარმოებლის მიერ, რომელსაც სურს ქსელთან მიერთება და რომელი ნაწილი გადამცემი ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ. ხარჯების გაზიარების წესები განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს აუცილებელი ხარჯის გადანაწილება თანმიმდევრულად მიერთებულ მწარმოებლებს შორის, რომ ყველამ თანაბრად ისარგებლოს იმავე

დანადგარებიდან ან ახალი ხაზებიდან)

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში მოცემულია ქსელის ადაპტაციის ხარჯთა გაზიარების და ანაზღაურების წესები, რომელიც გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია. გადამცემ ქსელთან მიერთების ხარჯთა გაზიარებისა და ანაზღაურების პრინციპები „ე“ პუნქტშია აღწერილი.

ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, პოტენციურ ელექტროსადგურთა სიაში აღრიცხულ ყველა ელექტროსადგურს შეუძლია ქსელთან მიერთების უფლების მოპოვება და ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვა. გადამცემ ქსელთან მიერთების განმცხადებელი ვალდებულია მხოლოდ მიერთების მოსაკრებლის გადახდაზე, რომელიც ასოცირდება გადაცემის ლიცენზიის მოსაკრებელთან, რაც ფარავს ქვესადგურში მიერთების წერტილის მშენებლობასა და ელექტროსადგურის ადგილთან გაფართოებით სამუშაოებს (In-Out მიერთების სქემის შემთხვევაში, გადამცემი ქსელის ლიცენზიანტი ასევე აწარმოებს გაფართოებით სამუშაოებს). მოსაკრებლები დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, ოდენობა ფიქსირებულია.

ხარჯთა გაზიარებისა და ანაზღაურების პრინციპები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული გამანაწილებელ ქსელთან მიერთების შემთხვევაშიც. გამანაწილებელი ლიცენზიანტის ტექნიკური პირობების თანახმად, მიერთების მოსაკრებლის განსაზღვრა თითოეული საქმის საფუძველზე ხორციელდება. მიერთების მაძიებელი ფარავს ყველა აუცილებელ ხარჯს, რაც უკავშირდება მიერთების წერტილის, გაფართოებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, ქსელის გაძლიერების დასაბუთებულ ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში). ამ შემთხვევაში გამანაწილებელი ლიცენზიანტი ვალდებულია მიერთების მაძიებელს წინასწარ მიაწოდოს ქსელის ტექნიკური მდგომარეობის და აუცილებელი ადაპტაციების მონაცემები. (ოფიციალური განაცხადის გაკეთებამდე)

კ) ფორმა რომლითაც ხდება მიერთების და ტექნიკური ადაპტაციის ხარჯების დაკისრება მწარმოებლებისთვის და/ან გადამცემი და/ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის (რა ფორმით შეძლებენ გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ამ საინვესტიციო ხარჯების ამოღებას? რამდენად იგეგმება მომავალში ამ ხარჯების ანაზღაურების წესების მოდიფიცირება? რა სახის ცვლილებებს ვარაუდობთ და რა შედეგებია მოსალოდნელი? (გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ხარჯის რამდენიმე ვარიანტია შემუშავებული. წევრი ქვეყნები ირჩევენ ერთს და ხშირ შემთხვევაში მათ კომბინაციას. ე.წ. „ღრმა“ ანუ გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ღირებულების თანახმად, ეგწ-დან ელექტროენერგიის მიღების მოწყობილობის დეველოპერი ფარავს ქსელის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ გარკვეულ ხარჯებს (ქსელთან მიერთება, ქსელის გაძლიერება გაფართოება). მეორე მიდგომის თანახმად, ე.წ. „ზედაპირული“, ანუ უახლოეს ქვესადგურთან მიერთების გადასახადი გულისხმობს, რომ დეველოპერი მხოლოდ ქსელთან მიერთების ხარჯს ფარავს, გაძლიერებისა და გაფართოების ხარჯების გარეშე (მათი ხარჯები შესულია ქსელის ტარიფებში და მომხმარებლების მიერ არის გადახდილი), კიდევ ერთი ვარიანტია, როდესაც მიერთების ყველა ხარჯი სოციალიზებულია და ქსელის ტარიფის მიერ არის დაფარული).

გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ხარჯები იფარება სისტემის მომხმარებლების მიერ. საქართველოს კანონი ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის შესახებ მესამე მხარეების ქსელთან მიერთების გარანტორია, თუმცა კანონი არ აზუსტებს რა არის მიერთების საფასური ზედაპირული თუ ღრმა მიერთებისას, ხოლო ეგწ-თვის კონკრეტულ მიერთების დამხმარე სქემას არ ადგენს. ქსელის

წესების მიხედვით, მიერთების რეჟიმი ძირითადად ისეთივეა, როგორც უახლოეს ქვესადგურთან მიერთებისას.

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თანახმად, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის გაფართოებასა და განვითარებაზე გადამცემი ქსელის ლიცენზიანტია პასუხისმგებელი. გადამცემ ქსელთან მიერთების მიზნით, მიერთების მაძიებელი იხდის მიერთების მოსაკრებელს, რომელიც საქართველოს ქსელის წესების დოკუმენტით არის განსაზღვრული და ზემოთაა აღწერილი. გადამცემი ქსელის ლიცენზიანტი შეიმუშავებს სამწლიან საინვესტიციო გეგმებს, რომლებიც მიზნულია ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმასთან და ყველა ხარჯი რომელიც უკავშირდება გადამცემი ქსელის გაძლიერებას და/ან ახალ მშენებლობას კომისიის მიერ აღირიცხება გადამცემის ტარიფებში, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამცემი ლიცენზიანტების მიერ განვითარების და გაძლიერების გაფართოების სრულ აღდგენას.

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში, ქსელის განვითარების პროცედურების დაგეგმვა არის აღწერილი და გადამცემი ქსელის განვითარების პროცედურის მსგავსია. გამანაწილებელი ლიცენზიანტის მიერ შეიმუშავებული გადამცემი ქსელის განვითარების გეგმა, რომელიც კომისიამ დაამტკიცა, გადამცემი ქსელის განვითარების გეგმებსა და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებს უნდა შეესაბამებოდეს. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ გაწეული საინვესტიციო ხარჯები განისაზღვრება განაწილების ტარიფებში, რაც უზრუნველყოფს აღდგენის და გაძლიერების ხარჯებს. თუმცა, გადამცემ ქსელთან მიერთებისგან განსხვავებით, „ქსელის წესები“ არ აწესებს მიერთების მოსაკრებლებს და ნათლად არ განსაზღვრავს გამანაწილებელი ქსელის გაძლიერების/ტექნიკური ადაპტაციების ხარჯთა ნაწილების პრინციპებს. ამ შემთხვევაში, დისტრიბუციის ლიცენზიატი უფრო მეტად მოქნილია და მისივე გადაწყვეტილებით განმცხადებელს ტექნიკური პირობების მეშვეობით ადაპტაციის ღირებულებას უსაზღვრავს (მიერთების შეთავაზება).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, გეგმავს გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლებასა და დაახლოებას გადამცემის ქსელთან მიერთების პრინციპებთან.

ლ) პირველად და შემდგომში მიერთებულ მწარმოებლებს შორის ხარჯების განაწილების წესები

გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან მიერთების არსებული რეგულაციები და პროცედურები არ უზრუნველყოფენ მწარმოებლებს შორის ხარჯების განაწილებას. თითოეული ელექტროსადგური შესაბამისი მიერთების მოსაკრებლით ინდივიდუალურად განიხილება.

მ) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორები მიერთების მაძიებლებისთვის მიერთების ხარჯებთან, მოთხოვნების განხილვის გრაფიკთან და ქსელთან მიერთების სავარაუდო ვადასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება

საქართველოს კანონში ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის შესახებ მითითებულია კომისიის ვალდებულება, „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით, რითაც რეგულირდება გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან მიერთება და მათი გამოყენება. გადამცემი ქსელის მიერთების წესები განსაზღვრავს ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მოთხოვნებს, მოთხოვნის განხილვის პროცედურულ გრაფიკს და ხარჯებს (პირველი და მეორე სტადიის მიერთების მოსაკრებლები). გარდა ამისა, გადამცემი ქსელის მიერთების გრაფიკი და მოსაკრებლები ამ დებულებების მიერ მკაცრად არის განსაზღვრული და გადამცემი ქსელის ლიცენზიანტს არ აქვს უფლება დადგენილ სტადარტებს არ დაემორჩილოს. პროექტის განმხორციელებელს, რომელსაც სურს გადამცემ ქსელთან მიერთება ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს

მიერთების განხორციელების ზუსტ გრაფიკს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიერთების სქემის და ძაბვის დონის საფუძველზე.

მიერთების პირველი სტადიის მოსაკრებელი დაკავშირებულია ქსელის შესაძლებლობების შესწავლასთან და მიერთების შეთავაზების მომზადებასთან. მიერთების მეორე სტადიის მოსაკრებელი დაკავშირებულია მიერთების სამშენებლო სამუშაოებთან, რაც მიერთების კვანძის სქემითა და ძაბვის დონითაა განსაზღვრული.

გამანაწილებელი ქსელის მიერთების წესების 10-ე მუხლი განსაზღვრავს ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მოთხოვნებს, განაცხადის განხილვის პროცედურებსა და გრაფიკს. გამანაწილებელი ქსელის დონეზე მოსაკრებლები გამოკვეთილად არ არის განსაზღვრული და მიერთების ხარჯები განიხილება ინდივიდუალურად თითოეული საქმის მიხედვით, რასაც გამანაწილებელი ლიცენზიანტის მიერ გამოცემული ტექნიკური პირობები განსაზღვრავს (მიერთების შეთავაზება). თუმცა 77-ე მუხლის 13-ე პარაგრაფის თანახმად, გამანაწილებელი ლიცენზიანტი ვალდებულია მიერთების მამიებელს დაგეგმილი მიერთების ადგილის ტექნიკური პირობების შესახებ და მიერთებასთან დაკავშირებულ სავარაუდო ხარჯებზე ინფორმაცია მიაწოდოს. გამანაწილებელი ლიცენზიანტი მიერთების შეთავაზებას და მიერთებასთან დაკავშირებული ხარჯების ინფორმაციას უსასყიდლოდ გასცემს.

საქართველოს ქსელის წესების დოკუმენტი, რომელიც ელექტროენერგიის მწარმოებლების გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან მიერთების ინფორმაციას არეგულირებს, ხელმისაწვდომია საკანონმდებლო „მაცნეს“ ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) და შემდეგი უწყებების ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (კომისია) – www.gnerc.org
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (გადამცემი სისტემის ოპერატორი) – www.gse.com.ge
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ – www.energo-pro.ge

ს.ს. „თელასი“-ის ვებ-გვერდზე შესაძლებელია ახალი მომხმარებლებითვის მიერთების პროცედურების წესების შესახებ ინფორმაციის ნახვა. თუმცა ეს ინფორმაცია ეყრდნობა კომისიის N20 დადგენილებას „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოწოდების და მოხმარების წესების“ შესახებ. ამ ვებ-გვერდზე ქსელის წესებზე დაყრდნობით მიერთების ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

3.2.7. ელექტროენერგეტიკული ქსელის ფუნქციონირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (2), მუხლი 16 (7) და (8))

ა) გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ოპერატორების მიერ ეგწ-დან ელექტროენერგიის გადაცემა/განაწილების გარანტირებული უზრუნველყოფა

ეგწ-ის გარანტირებული და პრიორიტეტული დისპეტჩერიზაციის დებულებები კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში არ არის გაწერილი. საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონის 35-ე მუხლის 3-ე პარაგრაფი განსაზღვრავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ელექტროენერგიის სისტემის ზოგად ოპერაციულ კრიტერიუმს, რის საფუძველზეც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტმა (გადამცემი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია გადამცემი სისტემის სრულ ოპერირებაზე) ელექტრული სისტემის საიმედო მუშაობა

უნდა უზრუნველყოს, დააკმაყოფილოს ყველა შესაბამისი ლიცენზიანტის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლის მოთხოვნები ელექტრო სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმუმში ღირებულების პრინციპების გათვალისწინებით. ეს მოქმედებები შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებსა და დამტკიცებულ ბალანსებს უნდა დაეყრდნოს. აქედან გამომდინარე, ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის პრინციპები ეფუძნება მინიმუმში ღირებულებისა და უსაფრთხოების კრიტერიუმს, რომელიც ეგწ-ის გენერაციის კომპონენტს არ მოიცავს.

საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონის 22¹ მუხლის თანახმად, ელექტროენერგიის საბითუმო შეძენა და გაყიდვა ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ან საბაზრო ოპერატორის მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ. ელექტროენერგიის პირდაპირი შეძენის ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან არეგისტრირებენ. პირდაპირი ხელშეკრულება იურიდიული ძალის მატარებელია დისპეტ-ჩერიზაციის ლიცენზიანტთან რეგისტრაციის გავლის შემდეგ. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული ხელშეკრულებების აღსრულება და დისპეტჩერიზაციის პრიორიტეტი მიანიჭოს იმ ელექტროსადგურებს, რომლებსაც აქვს ასეთი სახის ხელშეკრულებები. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეესაბამება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით განსაზღვრულ ვადას, პირობებსა და პროცედურებს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, უარი თქვას პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, თუკი შეუძლებელია პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დისპეტჩერიზაცია და/ან პირდაპირი ხელშეკრულების აღსრულებამ შეიძლება, ხელი შეუშალოს სისტემის ოპერატიულ დისპეტჩერიზაციის მართვას.

კანონმდებლობა არ უკრძალავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტებს, უარი განაცხადონ ეგწ-დან ელექტროენერგიის მწარმოებლების პირდაპირი ხელშეკრულებების რეგისტრაციასა და აღსრულებაზე, თუკი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია შეუძლებელია უსაფრთხოების, სიმძლავრისა და საოპერაციო შეზღუდვების გამო. ამ შემთხვევაში, მინიმალური ღირებულების პრინციპის მიუხედავად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, პრიორიტეტი მიანიჭოს არა ეგწ-ზე მომუშავე ელექტროსადგურს. არსებული ბაზრის მოდელის მიხედვით, საქართველოში ორმხრივი ბაზრის მოდელით მოქმედებს, რომელიც გულისხმობს გარკვეულ დაბალანსებულ ბაზარს, არა კლასიკური საბალანსო ბაზრის პრინციპებით, არამედ, როგორც ყოველთვიურ საანგარიშო პერიოდში ნარჩენი ენერგეტიკული ბაზარის პრინციპით. მხარეებს შორის არაპირდაპირი წესით დაკონტრაქტებული ყველა სახის წარმოებული/მომხმარებელი ელექტროენერგია, რომელიც მხარეებს შორის არ არის პირდაპირი წესით დაკონტრაქტებული, შეადგენს საბალანსო ელექტროენერგიას, რომლის გაყიდვაც შეუძლია ბაზრის ოპერატორს. ბაზრის ოპერატორი ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტისგან, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისგან (13 მგტ დადგმული სიმძლავრით), ან იმპორტიორებისგან შეიძენს დაბალანსებულ ელექტროენერგიას. შემდგომ ეტაპზე ხდება ბაზრის ოპერატორისგან საბალანსო ელექტროენერგიის შეძენა ლიცენზიანტების, პირდაპირი მომხმარებლებისა და ექსპორტიორების მიერ.

საბალანსო ელექტროენერგიის ფასი განსაზღვრულია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მიერ და ახასიათებს სეზონური ცვლილებები, რაზეც გავლენას ახდენს წელიწადის სეზონური მაღალი და დაბალი ჰიდროლოგიური მახასიათებლები. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს უფლება აქვთ ელექტროენერგია საბითუმო ბაზრს (ბაზრის ოპერატორი) ან საცალო მომხმარებელს მიყიდონ. იმ შემთხვევაში, თუ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ელექტროენერგიას საცალო

მომხმარებელზე გაყიდის, განაწილების ლიცენზიანტი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების თანახმად გაყიდულ ელექტროენერგიას მომხმარებელამდე გაუშვებს. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ასევე ვალდებული არიან, მიუერთონ მიკრო გენერატორები (ეგწ 100კვ ნაკლები დადგმული სიმძლავრით) საკუთარ ქსელს და ნეტო-აღრიცხვის პოლიტიკაშიც ჩართონ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონის IV¹ მუხლი განსაზღვრავს მიკრო ელექტროსადგურებთან ურთიერთობებს (ეგწ-მომუშავე და 100 კვტ-ზე დაბალი დადგმული სიმძლავრით). მუხლი 23⁵ რომელიც განსაზღვრავს საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას, უზრუნველყოფს საცალო მომხმარებლის კუთვნილი მიკრო ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ჭარბი ენერგიის გარანტირებულ მიწოდებას, ქსელში გაშვებას და შეძენას.

ბ) გადამცემი სისტემის ოპერატორების მიერ განახლებადი ენერგო წყაროებზე მომუშავე დანადგარების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გადამცემის უპირატესობის მინიჭების უზრუნველყოფა

საქართველოში ჯერ-ჯერობით არ მოქმედებს კანონი განახლებადი ენერგიის შესახებ და აქედან გამომდინარე, სხვა კანონებსა თუ კანონქვემდებარე აქტებში არ არის წარმოდგენილი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავდა გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ ეგწ-ბის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის პრიორიტეტულ გადაცემას.

გ) ქსელთან და ბაზართან დაკავშირებული ის ღონისძიებები (ბაზრისა და ქსელის დაპროექტება, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა რესურსების ინტეგრირებას, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა რეალურ დროში ვაჭრობის წარმართვა, (დღის განმავლობაში შეიცვლება ყოველდღიური პროგნოზირების და გენერატორების გადანაწილების საფუძველზე) საბაზრო სივრცის აგრეგაცია, მეზობელ ქვეყნებთან საკმარისი ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობის და ვაჭრობის უზრუნველყოფა, მოსაზღვრე სისტემის ოპერატორებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება, კომუნიკაციისა და კონტროლის გაუმჯობესებული მექანიზმების გამოყენება, სამომხმარებლო მხარის მართვა და მათი ჩართულობა (ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემებით - „გონიერი“ აღრიცხვა), გაზრდილი გადანაწილებული წარმოება და საყოფაცხოვრებო დონეზე ენერგიის შენახვა (მაგ. ელექტრომანქანები) სადისტრიბუციო ქსელების აქტიური მართვა („გონიერი“ ქსელები)), რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ეგწ-დან ელექტროენერგიის მიღების შეზღუდვებს

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება ეფუძნება ეგწ-ბს (80% წარმოადგენს განახლებად ენერგიას - ჰიდრო) და აქედან გამომდინარე, ბაზრის მოწყობა არ ითვალისწინებს პრიორიტეტული/გარანტირებული ქსელის მისაწვდომობას, ან ეგწ-ბის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გაშვების პრიორიტეტულობას, ვინაიდან ეგწ-ბის მისაწვდომობა და წარმოებული ელექტროენერგიის გაშვება უკვე ხორციელდება.

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი პასუხისმგებელია ელექტროსისტემის უსაფრთხოებასა და მინიმუმი ღირებულების პრინციპით ოპერირებაზე, ისევე როგორც დარეგისტრირებული ხელშეკრულებების აღსრულებაზე (ხელშეკრულებების საბაზრო წილი ნავაჭრ ელექტროენერგიასთან მიმართებაში შეადგენს 85 %). ნარჩენ ელექტროენერგიას, რომელიც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ გაიცემა, ბაზრის ოპერატორი ყიდის დარეგულირებული ფასის მიხედვით. ელექტროენერგიის

(სიმძლავრის) ბაზრის წესების და ქსელის წესების მიხედვით, მწარმოებლები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს თვითურ და დღიურ გრაფიკებს უგზავნიან, ხოლო ერთი დღით ადრე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის მზადყოფნის შეტყობინებას. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ამზადებს მომავალი დღის წარმოების გრაფიკებს და გადამცემ სისტემაში დაფიქსირებული გადატვირთულობის შემთხვევებში, მწარმოებლები ვალდებული არიან, წარმოების დონე შეასწორონ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ინსტრუქციის მიხედვით.

საქართველოს ელექტროენერგიის სისტემა მარტივი ბაზრის მოდელს ეფუძნება (როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, ორმხრივი ბაზრის მოდელი, ნარჩენ ელექტროენერგიის მოდელთან ერთად) და თანამედროვე ბაზრის თვისებების და ბაზრის მონაწილეთა მხრიდან პასუხისმგებლობის ნაკლებობას განიცდის. დისბალანსის მოგვარების პერიოდი 1 თვეს მოითხოვს და აქედან გამომდინარე ბაზრის მონაწილეებს დისბალანსური გადახვევებისთვის საკმაოდ დრო რჩებათ. უფრო მეტიც, ელექტროენერგიის მწარმოებლები არ არიან პასუხისმგებლები სახელშეკრულებო გადაცდომებზე და ამ დისბალანსისთვის ფინანსურ პასუხისმგებლობასაც არ ატარებენ.

გარდა ამისა, არ არსებობს ერთი დღით ადრე, დღიური/დღის შიგნით და საბალანსო ბაზრები, ასევე სისტემის დაბალანსებისა და სიხშირის ავტომატური რეგულირებას გადამცემის სისტემის ოპერატორი (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი) ახორციელებს უფასოდ სხვადასხვა ელექტროსადგურის გამოყენებით. აღნიშნული კი ქმნის გარკვეულ უთანასწორობას და წარმოადგენს დისკრიმინაციას ელექტროსადგურების მფლობელებისათვის, ვინაიდან ელექტროსადგურების კერძო მფლობელები, რომელთაც აქვთ ჩამოყალიბებული კომერციული გეგმა (ინვესტიციის ამოსაღებად), არ მონაწილეობენ დატვირთვის სიხშირის რეგულირებაში და რეალური დროის ბალანსირებაში.

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების მიზნით, საქართველომ 2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოაწერა პროტოკოლს, ამასთან ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭომ დაადასტურა საქართველოს მიერთება ენერგეტიკულ გაერთიანებასთან (გადაწყვეტილება 2016/18/MC-EnC). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და პროტოკოლზე ხელმოწერით საქართველო იღებს ვალდებულებას 2019-2020 წლებისთვის განახორციელოს ენერგეტიკული გაერთიანების კანონდებლობა (*acquis communautaire*), უზრუნველყოს ბაზრის შესაბამისი ღიაობა, ელექტროენერგიით ვაჭრობის ეფექტური და არადისკრიმინაციული მექანიზმები. საქართველო გეგმავს განახლებადი ენერგიის კანონის მიღებას, სადაც განსაზღვრული იქნება ეგწ-ბის მხარდამჭერი სქემები, შესაბამისი საბაზრო სივრცეების შექმნა და ბაზარზე დაფუძნებული დაბალანსების და დამხმარე მომსახურების მექანიზმების დანერგვა, რაც სხვადასხვა ეგწ-ბის მწარმოებლებს თითქმის რეალურ დროში ვაჭრობის საშუალებას მისცემს და ამავდროულად დისბალანსზე პასუხისმგებლობასაც დააკისრებს, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დაგეგმვასა და ოპერაციული კონტროლის გაუმჯობესებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ბალანსირება და ეგწ-ბის ნაკლები შეზღუდვები და ა.შ.

დ) ენერგეტიკის დარგის მარეგულირებელი ორგანოს ინფორმირებულობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების თაობაზე და მისი კომპეტენციები ამ ღონისძიებების მონიტორინგისა და გაძლიერების კუთხით

კომისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გადაცემასთან და განაწილებასთან დაკავშირებული აქტივობები, მათ შორის ელექტრულ ქსელებთან მისაწვდომობა და მათი მართვა. კომისია სისტემის ოპერირებასთან, მიერთებასთან, ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, საინვესტიციო

გეგმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს ამტკიცებს. ეს ორგანო ასევე პასუხისმგებელია ლიცენზიების გაცემასა და მათ აქტივობების შემდგომ კონტროლზე.

კომისიის მიერ გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის გამართული მუშაობისთვის გამოყენებული ტექნიკურ მოთხოვნები, პროცედურები და ფასთა რეგულაციის მექანიზმები წარმოადგენს მეთოდოლოგიებისა და რეზოლუციების ნაკრებს, რომლებიც არეგულირებს დასაშვები ხარჯების, მოსაკრებლებისა და ტარიფების განსაზღვრის მეთოდს.

მიუხედავად იმისა, რომ კომისია არ ამტკიცებს ბაზრის წესებს, ბაზრის ღონისძიებების გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მთავარი მექანიზმი მის მიერ განვითარების გეგმებისა და საინვესტიციო პროგრამების დამტკიცებაა. კომისია ამტკიცებს იმ გეგმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინვესტირებას სისტემებში შემდეგი მიზნებით:

- სისტემის გაზრდილი მოხმარების დაფარვა და ახალი მომხმარებლების მიერთება სისტემაზე;
- მეზობელ სისტემებთან დამატებითი შესაძლებლობებით კავშირის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საზღვრისპირა ელექტროენერგიის გაცვლის ზრდას და ამით გაზრდის ბაზრების ფუნქციონირებას;
- ახალი სიმძლავრეების მწარმოებელი წყაროების მიერთება ქსელებთან, რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით დანადგარები, რომლებიც ეგწ-დან აწარმოებენ ელექტროენერგიას და მაღალი ეფექტურობის კოგენერაციას

კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის პირობების კონტროლზე და გადამცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიანტების მონიტორინგზე, რათა მიერთებაზე თანხმობის გაცემისთვის პირველადი და მეორადი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების, პირობების, პროცედურების, გრაფიკებისა და ფასების დაკმაყოფილება მოხდეს. ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებული სანქციებით.

ლიცენზიანტებისა და ბაზრის მონაწილეებისგან (მათ შორის ეგწ-ბის მწარმოებლებისგან) კომისია წლიურ და კვარტალურ ანგარიშებს იბარებს, სადაც კვარტალურ და წლიურ საფუძველზე მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებია აღწერილი.

კომისიამ დანერგა სპეციალური IT მექანიზმი გამანაწილებელი ლიცენზიანტების რეალურ დროში დაკვირვების მიზნით, რათა ჰქონდეს ინფორმაცია დაგეგმილი და დაუგეგმავი გამორთვების, გათიშვების, ახალი მიერთებებისა და სიმძლავრეების გაზრდის მოთხოვნების შესახებ. ამასთან, ეს მექანიზმი მარეგულირებელ ორგანოს დაეხმარება, დროული რეაგირება მოახდინოს მომხმარებლის საჩივრებზე, რომლებიც შეეხება ძაბვის ხარისხს, გათიშვას, მომსახურების კომერციულ ხარისხს, ახალ მიერთებას, სიმძლავრის გაზრდას, მიკრო ელექტროსადგურის მიერთების მოთხოვნასა და ა.შ.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, კომისიას მიენიჭება მონიტორინგთან დაკავშირებული ყველა ის უფლება-მოვალეობები რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის მე-3 ენერგოპაკეტით.

ე) ეგწ-დან ენერგიის მწარმოებელი სადგურების ინტეგრაცია ელექტროენერგიის ბაზარში და მათი ვალდებულებები

საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ელექტროსადგურებს, მათი დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით 3 ტიპად ყოფს:

- 100კვ-მდე დადგმული სიმძლავრის მიკრო ელექტროსადგურები
- 13მგ-მდე დადგმული სიმძლავრის მცირე ელექტროსადგურები
- 13 მგ-ის და ზემოთ დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები

პირველი და მეორე კატეგორიისთვის ოპერირების დასაწყებად ლიცენზია არ არის საჭირო. მიკრო ელექტროსადგურები შესაძლებელია საცალო მომხმარებლის მოხმარების ადგილზე იქნას დამონტაჟებული. მისი ქსელთან მისაწვდომობა გარანტირებულია კომისიის N20 დადგენილებით „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება და მოხმარების წესების“ გამარტივებული შეტყობინების პროცედურებით. მიკრო ელექტროსადგურების მფოლებელებს ევალებათ ბაზრის ოპერატორთან რეგისტრაციის გავლა, რითაც ხდება მათი კვალიფიცირებულ საწარმოდ გარდაქმნა - ბაზრის საბითუმო მონაწილის სტატუსით, რომელიც ვაჭრობას ან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე ან ბაზრის ოპერატორის მეშვეობით ახორციელებს.

მესამე კატეგორიის ელექტროსადგურებისთვის, კომისიის მიერ ლიცენზირება და ბაზრის ოპერატორის სტატუსით რეგისტრაცია აუცილებელია, ისინი გახდებიან საბითუმო ბაზრის მონაწილეები და შემდეგ ელექტროენერგიის კომერციული წარმოების პროცესის დაწყებას. ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობა ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ან ბაზრის ოპერატორის მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების პირობების დაცვით. ელექტროენერგიის პირდაპირი შესყიდვის ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან, დაარეგისტრირონ ხელშეკრულება დისპეჩერიზაციის ლიცენზიატთან.

სამივე კატეგორიის მონაწილეთა მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ინტეგრირება ხორციელდება ელექტროენერგიის ბაზარში. გასათვალისწინებელია, რომ მიკროელექტროსადგურები არ არიან საბითუმო ბაზრის მონაწილეები და მათ მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგია გამანაწილებელი ლიცენზიანტის სავალდებულო შესყიდვის საგანს წარმოადგენს.

კანონდებლობა ელექტროსადგურების რეგულირებული და დერეგულირებული სტატუსის მიხედვით აცალკევებს. საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის კანონის 2-ე მუხლის ქვეპუნქტი „ჯ“-ს მიხედვით, დერეგულაცია ნიშნავს ლიცენზიანტისთვის ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისთვის ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭებას. აქედან გამომდინარე, 2008 წლის შემდეგ აშენებული მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები და ზოგადად ელექტროსადგურები, დერეგულირებულის სტატუსით სარგებლობენ იმ პირობით, რომ ისინი არ წარმოადგენენ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომისია მათთვის ტარიფს არ აწესებს. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დერეგულირებული სტატუსის მქონე ელექტროსადგურებს თავისუფლად შეუძლია სასურველ ფასად ელექტროენერგიის გაყიდვა, ან „დაბალანსებული ენერგიის“ სახით ბაზრის ოპერატორისთვის მიყიდვა.

იმ ელექტროსადგურების, რომლებმაც ბაზრის ოპერატორთან და საქართველოს მთავრობასთან ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებას (ეშხ) მოაწერეს ხელი გასაყიდი ფასი უტოლდება ფიქსირებულ ფასს, როგორც ეს გრძელვადიან ეშხ-ში არის აღნიშნული.²⁷ ბაზრის ოპერატორის მიერ შესყიდული/გაყიდული ბალანსირებული ელექტროენერგიის ფასის ფორმირებას ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები განსაზღვრავს. ბაზრის ოპერატორი ბალანსირებული ელექტროენერგიის მომწოდებლებთან ურთიერთობებს შემდეგი სახით აგვარებს:

²⁷ ელექტროსადგურის დეველოპერსა და ბაზრის ოპერატორს/საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მეორანდუმში გაწერილია ფიქსირებულ შესყიდვის ფასი

- იმ შემთხვევაში თუკი ელექტროსადგური ფიქსირებული ტარიფით ოპერირებს - კომისია გამომუშავების ტარიფს ადგენს;
- იმ შემთხვევაში თუკი ელექტროსადგური ოპერირებს რეგულირებადი ზედა ზღვრული ტარიფით:
 - o თითოეული კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე - კომისიის მიერ დაწესებული ელექტროენერგიის ზედა ზღვრული ტარიფის შესაბამისად;
 - o 1 მაისიდან 1 სექტემბრის ჩათვლით რეგულირებადი ელექტროსადგურის ფიქსირებული ტარიფის შესაბამისად, რომელსაც კომისიის მიერ გამომუშავებისთვის დაბალი ტარიფი აქვს დაწესებული.

არსებული რეგულაციის თანახმად, ახლადშენებული ჰიდროელექტროსადგურები ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში ვალდებული არიან, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საქართველოში გაყიდონ ზამთრის სეზონის რვა თვეში (სექტემბრიდან აპრილამდე). ინვესტორებს, რომლებსაც სურვილი აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებების სიას დაეყრდნონ, ვალდებულები არიან, გამომუშავებული ელექტროენერგია მხოლოდ ბაზრის ოპერატორს (ზამთრის სეზონის რვა თვის განმავლობაში) მიყიდონ და ამასთან, უნდა წარმოადგინონ ფინანსური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილ ტარიფსა და მოსალოდნელ რენტაბელობის კოეფიციენტს IRR²⁸. დღეისთვის ბაზრის ოპერატორის მიერ შემუშავებული ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტი მოქმედებს.²⁹

ვ) ეგწ-დან ელექტროენერგიის მწარმოებლებზე გადამცემი და გამანაწილებელი ტარიფების დაწესების წესები

საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ კანონით (მუხლი 23) და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების (მუხლი 28) თანახმად, ელექტროსადგურები არ იხდიან გადამცემი, დისპეტჩერიზაციისა და გამანაწილებელი მომსახურების ტარიფებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროსადგური მოიხმარს ელექტროენერგიას გამომუშავების შეწყვეტის დროს.

უფრო მეტიც, მიკრო ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდება ელექტროენერგიის გამანაწილებელი ლიცენზიანტისთვის ამავე მიკრო ელექტროსადგურის საშუალებით, რომელიც მიერთებულია ელექტროენერგიის ქსელზე, არ განიხილება,

²⁸შენიშვნის დასრულების შემდეგ, ინვესტორი ვალდებულია კაპიტალდაზღვრების შესახებ აუდიტორული ანგარიში წარმოადგინოს. ანგარიშმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ტარიფის შემცირებას, თუკი კაპიტალური ხარჯები დაბალია ვიდრე ეს მოდელში იქნა ასახული.

²⁹ევროკავშირის დირექტივა 2009/72 / EC კონკრეტულ პირობებს ან შეთანხმებებს ბაზრის ოპერატორთან დაკავშირებით არ შეიცავს. თუმცა, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ახლახანს განხორციელებული ღონისძიებები, როგორიცაა ელექტროენერგიის უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია ბაზრის მონაწილეთა შორის ხელშეკრულებების „ბალანსირებისთვის“ და ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში ოპერატორის მონაწილეობა გამყიდველი/ მყიდველის სახით, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება ბაზრის ოპერატორის ფუნქციას, რომელმაც საერთო არაპრეფერენცირებული წესების თანახმად, მონაწილეებისთვის თავისუფალი, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ვაჭრობა უნდა უზრუნველყოს. როგორც ჩანს, კონკურენტუნარიანი ელექტროენერგიის ბაზრისთვის შემუშავებული კონკრეტული ბაზრის კონცეფციასთან ერთად, ბაზრის ოპერატორის როლი ნათლად უნდა გამოიკვეთოს, ხოლო პირველადი კანონმდებლობით დარეგულირდეს ოპერირების და ელექტროენერგიის ბაზარში მისი ჩარევის წესები. ანალოგიურად, წინა დღის სავაჭრო შეთანხმებები, დაგეგმვა, დაბალანსება, და საერთო მოგვარების წესები კონკრეტულად უნდა განისაზღვროს და ამასთან ბაზრის და სისტემის ოპერატორებს შორის ამ საკითხებში პასუხისმგებლობების გადანაწილება მკაფიოდ უნდა გაიწეროს და ჩამოყალიბდეს.

როგორც ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობა. მიკრო ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდება ელექტროენერგიის გამანაწილებელი ლიცენზიანტისთვის არ ექვემდებარება დისპეტჩერიზაციის კონტროლს და აქდან გამომდინარე, გამანაწილებელ ლიცენზიანტს მიკრო ელექტროსადგურიდან გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის მომსახურების მოსაკრებელი არ ეკისრება.

3.2.8. ბიოგაზის ინტეგრირება ბუნებრივი გაზის ქსელში (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (7) და მუხლი 16 (9) და (10))

ა) გადამცემი და გამანაწილებელი ტარიფების დაწესება, ისე რომ ეგწ-დან მიღებული ბუნებრივი გაზი არამომგებიან პირობებში არ აღმოჩნდეს

ბიოგაზის ბუნებრივი გაზის ქსელებში ინტეგრირების საკანონმდებლო ჩარჩო ჯერ-ჯერობით არ არის შემუშავებული.

ბ) ეგწ-დან გაზის ინტეგრირების მიზნით, ბუნებრივი გაზის ქსელის ინფრასტრუქტურის გაფართოების საჭიროების შესწავლა და ამ შესწავლის შედეგები

არ განხორციელებულა

გ) ბიოგაზის ქსელთან მიერთების ტექნიკური წესები და მიერთების ტარიფების გამოქვეყნება

ქსელთან მიერთებისა და მიერთების ტარიფების ტექნიკური წესები ჯერ არ არის შემუშავებული.

3.2.9. ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 16 (11))

ა) ეგწ-ბის მომხმარებელი ახალი ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის საჭიროებები და მათი წვლილი 2030 წლის დაგეგმილი მიზნის მისაღწევად

ეგწ-ბის მომხმარებელი ახალი ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე და 2030 წლისთვის მათი კონტრიბუციის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განხორციელება. განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გარკვეული წინასწარი შეფასებები გაკეთდა ბუნებრივ გაზზე მომუშავე კომბინერებული ციკლის სადგურების მიერ ნარჩენი სითბოს პოტენციური გამოყენების შესახებ, თუმცა ეს შეფასებები საჭიროებს შემდგომ დადასტურებას.

მსხვილი ბიომასის, მზისა და გეოთერმული ობიექტების ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემებში გამოყენების შესახებ კონკრეტული გეგმები ჯერ არ არის გამოკვეთილი, თუმცა საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში გეოთერმული დანადგარების გამოყენების მნიშვნელოვანი ტექნიკური პოტენციალი არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში ლიტვისა და საქართველოს ბიომასის ასოციაციების მხარდაჭერით და ორივე ქვეყნის კერძო კომპანიების მონაწილეობით მუშავდება ცენტრალური სარაიონო გათბობის სისტემის ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთება. გათვალისწინებულია, რომ ეს სისტემა იფუნქციონირებს ბიომასის, მზისა და გეოთერმული წყაროებისა

და თბური ტუმბოს გამოყენებით. რომლის მოსალოდნელი ინვესტიციაც შეადგენს 45-50 მლნ აშშ დოლარს.

3.2.10. ბიოსაწვავი და სხვა სახის ბიოსითხეები- მდგრადობის კრიტერიუმი და შესაბამისობის დამოწმება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 17 -დან 21-ის ჩათვლით (11))

ა) ბიოსაწვავების და ბიოსითხეების სტაბილურობის კრიტერიუმის განხორციელება

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დირექტივა (2003/30/EC) „ტრანსპორტში ბიოსაწვავის და განახლებადი სასწავის გამოყენების წახალისება“, რომელიც N 2009/28/EC დირექტივის „განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ შემადგენელი ნაწილია, თუმცა საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში ჯერ გადმოტანილი არ არის.

ეროვნულ დონეზე ბიოსაწვავებისთვის და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმის მისაღწევად აუცილებელია:

- მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კრიზისის მართვის გეგმებისთვის გათბობის წყაროების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. საქართველოში ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსია შემუშავებულია, მას შემდეგ რაც დოკუმენტი გაივლის განხილვის სტადიას, დაიწყება მისი დამტკიცების პროცედურა³⁰
- საქართველოს ბიომასის გამოყენების სტრატეგია ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს;
- ბიზნესის მხარდამჭერი მიმდინარე პროგრამების ფარგლებში, გარკვეული მოთხოვნების დაწესება იმ ბიზნესების სტიმულირებისთვის, რომლებიც მდგრადი ბიომასის ენერგიას და ტექნოლოგიებს იყენებენ („აწარმოე საქართველოში“, „სტარტაპ საქართველო“ და სხვა პროგრამები, რომლებიც ინოვაციურ სიახლეებს აფინანსებენ);
- საქართველოში შემა მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსია და ეს ფაქტორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას;
- შემაზე ხელმისაწვდომობის ორგანიზებული პროცესის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შეშის არალეგალური მოპოვების მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა, შეშის რესურსების სიმდგრადის უზრუნველყოფის საკითხში ეფექტური მექანიზმი იქნება;
- სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისა და ტყეებში შეშის დამზადების ნარჩენებისგან სათბობი ბიომასის წარმოების წახალისება;
- ტყეების მდგრადი გამოყენებისა და ტყეების შენარჩუნებისთვის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერა. ასეთი სახის პოლიტიკის

³⁰ აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 6 ივლისს ოფიციალურად გაიხსნა. "ბიომედელელ ჯორჯია"- პირველი ბიოდიოლის საწარმო საქართველოში. დღეისათვის საწარმოს დღიური წარმადობა შეადგენს 3 ტონას. B10 ტიპის ბიოდიოზელი გაიყიდება FREGO-ს გასამართ სადგურებზე და ერთი ლიტრი ეღირება 2.42 ლარი. უახლოეს წლებში კომპანია აპირებს 10 მლნ. ევროს ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას, რაც მომავალში მნიშვნელოვნად გაზრდის .საწარმოს წარმადობას.

დოკუმენტები საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მოსახლეობისთვის სატყეო რესურსების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამასა³¹ და ახალ ტყის კოდექსს უნდა მოიცავდნენ.

ბ) განახლებადების ეროვნული მიზნის მისაღწევად, გამოყენებული და ამასთან ფინანსური მხარდაჭერით მოსარგებლე ბიოსაწვავის და ბიოსითხეების 2009/28/EC დირექტივის „განახლებადი ენერგოგოწყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ 17-ე მუხლის (2) და (5) პუნქტებში მოცემულ მდგრადობის კრიტერიუმთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (რომელი ეროვნული ინსტიტუტიცია/ორგანო იქნება პასუხისმგებელი მდგრადობის კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგზე/ დადასტურებაზე?)

დღეისთვის ბიოსაწვავი და ბიოსითხეები განახლებადი ენერგიის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესასრულებლად არ მოაზრება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ჩართვა შესაბამის სტრატეგიულ მიზანში, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი კონკრეტული ორგანოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგს და დადასტურებას უზრუნველყოფს.

გ) მდგრადობის კრიტერიუმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ინსტიტუტი/ორგანო

ასეთი ორგანო ჯერ არ არის შექმნილი და გეგმა მისი შექმნის თაობაზე არ არის შემუშავებული.

დ) კანონი მიწის ზონირების შესახებ და მიწის ეროვნული რეესტრი, რომელთა მეშვეობით 2009/28/EC დირექტივის 17-ე მუხლის (2) და (5) პუნქტებში გაწერილი კრიტერიუმის შესაბამისობა შესრულდება, აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ სუბიექტებზე (ინფორმაცია წესების არსებობაზე, სხვადასხვა მიწის სტატუსებს შორის განსხვავებებზე (მაგ.: ბიომრავალფეროვანი ტერიტორია, დაცული ტერიტორია და ა.შ.) და იმ კომპეტენტური ეროვნული ორგანოს შესახებ, რომელიც მიწის რეესტრს და მიწის სტატუსში ცვლილებებს მონიტორინგს გაუწევს).

საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, წარმოადგენს იმ საკანონმდებლო დოკუმენტს, რომელიც მიწის სამართლებრივ სტატუსს არეგულირებს. კანონის მიზანია:

ა) სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა;

ბ) თავიდან იქნას აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება.

კანონი განსაზღვრავს:

ა) სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გასხვისების და შეძენის წესებს;

ბ) სახელმწიფოს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად;

³¹<https://prezi.com/jv3tfu6f55z6/presentation/>

საქართველოში მიწა სახელმწიფო, კერძო, მუნიციპალურ და ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს. მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაშია. 1992 წლიდან დაიწყო მიწის პრივატიზაციის პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი-ის (მე-2 მუხლის (ე) პუნქტის) თანახმად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა (რომლის 767,300 ჰექტარი პრივატიზირებულია, ხოლო 2,258,500 სახელმწიფო საკუთრებაშია) რამდენიმე კატეგორიად არის დაყოფილი:

- სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე);
- სათიბი;
- სამოვარი;
- საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

სახნავი მიწა - გამოიყენება მრავალწლიანი და კულტურების მოსაყვანად.

სათიბი მიწა - გამოიყენება ძირითადად თივის მისაღებად, სახნავ მიწად არ გამოიყენება.

სამოვრები - მხოლოდ საქონლის სამოვრად გამოიყენება, მათი გამოყენება სათიბი და სახნავი მიწებისთვის არ შეიძლება;

საკარმიდამო მიწის ნაკვეთი - ძირითადად საოჯახო დატვირთვის მატარებელია - შენობები ან დამხმარე მეურნეობა.

არსებული კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომელიც ხვდება სამოვრების კატეგორიზაციის ქვეშ, პრივატიზებას არ ექვემდებარება. თუმცა, თუ განაცხადი პრივატიზაციაზე/ინვესტირებაზე იქნება დასაბუთებული, შესაძლებელია, ეს კატეგორია სხვა კატეგორიით შეიცვალოს ჩანაცვლდეს მაგ. „სახნავ მიწად“ ან „სათიბე მიწად.“³²

მესაკუთრეობის უფლებების, მიწის საკუთრების, ფიქსირებული ქონების გამოყენება და გადაცემა შემდეგი საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება:

- საქართველოს კონსტიტუცია (24 აგვისტო 1995);
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ (22 მარტი 1996);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26 ივნისი 1997);
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (2 ოქტომბერი 1997);
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (05 თებერვალი 2014);
- საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ (11 ივლისი 2007);
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (17 სექტემბერი 2010);
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (19 დეკემბერი 2008);

³²მიწის საკუთრება და საქართველოში მიწის ბაზრის განვითარება. Alliances KK მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, ავტორი, კონსულტანტი, ალექსანდრე გვარამია, 2013

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ (21 ივლისი 2010);
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (მარტი 1996).

ე) დაცული ტერიტორიების ეროვნული, ევროპული თუ საერთაშორისო დაცვის რეჟიმით კლასიფიცირება

საქართველოში თითოეული დაცული ტერიტორიის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას მოიცავს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომელიც თარიღდება 2006 წლის ივნისით - იგივე კანონი ადგენს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფ ბუნებრივ ტერიტორიებს.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებს კლასიფიკაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, კერძოდ:

- სახელმწიფო ნაკრძალი
- ეროვნული პარკი
- ბუნების ძეგლი
- აღკვეთილი
- დაცული ლანდშაფტი
- მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

ყველა დაცული ტერიტორიის ტიპი.

საქართველოს დაცული ტერიტორიები კატეგორიების მიხედვით (2015)	
	ჰექტარი
დაცული ტერიტორიები, ჯამურად	318,634
სახელმწიფო ნაკრძალი	122,992
ეროვნული პარკები	150,689
აღკვეთილი	35,503
დაცული ლანდშაფტები	4,049

წყარო: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=431&lang=eng

დაცული და ისტორიული/კულტურული მნიშვნელობის ძეგლების ტერიტორიაზე არსებული მიწის, ტყეების, წყლების და ბუნებრივის რესურსების გამოყენება შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება.

ვ) მიწის სტატუსის შეცვლის პროცედურა

არსებული კანონმდებლობის თანახმად³³, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეცვლა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად (და არა პირიქით). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მიწის სტატუსის შეცვლის პროცედურას, რომელიც წარმოადგენს

³³ იხილეთ: <https://napr.gov.ge/source/sakanonmdeblo%20agtebi/ivlisi2017/sasof.anazg.pdf>

იურიდიულ პირს, ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტები:

- განცხადება (ელექტრონული განაცხადი ივსება ადგილზე ოპერატორთან);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლაზე დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის გაკეთება შესაბამისი კატეგორიის მიითითებით;
- გაწეულ მომსახურებაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გადახდა ხდება ადგილზე);³⁴
- მომსახურების ვადები და მომსახურების საფასური (მოცემულია ქვემოთ).

მომსახურების ვადები	მომსახურების საფასური
4 სამუშაო დღის განმავლობაში	50 ლარი
1 სამუშაო დღის განმავლობაში	150 ლარი
განაცხადის შევსების დღეს	200 ლარი

ზ) აგრო-გარემოსდაცვითი პრაქტიკის და სხვა გადამკვეთი შესაბამისობის მოთხოვნების (2009/28/EC დირექტივის 17-ე მუხლის (6) თანახმად) უზრუნველყოფა და დამტკიცება ეროვნულ დონეზე

საქართველოში არ მოქმედებს რეგულაცია ან პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა წარმატებულ სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვით პრაქტიკას. ქვეყანა გეგმავს მყარი ბიოსაწვავისთვის სტანდარტების მომზადებას. მანამდე, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ISO) და ევროპული სტანდარტები, ისევე როგორც ყოფილი საბჭოური და რუსული სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი („გოსტ“), მისაღებია.

თ) ნებაყოფლობითი 'სერტიფიცირების' სქემის(ების) შემუშავება ბიოსაწვავის ან ბიოსითხის მდგრადობისთვის, როგორც ეს გაწერილია 2009/28/EC დირექტივის 18-ე მუხლის მე-6 პუნქტით

საქართველო არ განიხილავს ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სქემის შემუშავებას ბიოსაწვავის ან ბიოსითხის მდგრადობისთვის.

3.3. ელექტროენერგეტიკაში განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა

არსებული სქემების აღწერა საკანონმდებლო წყარო-დოკუმენტის მითითებით, სქემის დეტალები, ვადა (დაწყება/დასრულების თარიღები), სქემის გავლენა, რაიმე სახის რეფორმის ან სამომავლო სქემების დანერგვის გეგმების, განხორციელების ვადის და მოსალოდნელი შედეგების აღწერა

რეგულაცია

- ამ ვალდებულების/მიზნის საკანონმდებლო ბაზა? (ზ) განსაზღვრულია რაიმე სახის ტექნოლოგიური

³⁴ <http://psh.gov.ge/main/page/3/111/112/227>

სპეციფიკური მიზნები? (გ) როგორია კონკრეტული ვალდებულებები/მიზნები წლის განმავლობაში (ტექნოლოგიის მიხედვით)?

- ვინ უნდა შეასრულოს ეს ვალდებულება?
- რა შედეგი მოჰყვება არ შესრულებას?
- არსებობს შესრულების ზედამხედველობის მექანიზმი?
- არსებობს მექანიზმი ვალდებულებების/მიზნების მოდიფიცირებისთვის?

დღეისთვის საქართველოში ასეთი სქემები არ არის გამოყენებული

ფინანსური მხარდაჭერა

- სქემის სათაური და მოკლე აღწერა
- როგორი სახის სქემაა ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო?
- ვინ მართავს სქემას? (განმხორციელებელი ორგანო, მონიტორინგიზე უფლებამოსილი პირი)
- ამ ეროვნული მიზნის მისაღწევად რა სახის ღონისძიებები იგეგმება აუცილებელი ბიუჯეტის/დაფინანსების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად?
- რა გზით ხდება სქემის მიერ გრძელვადიანი უსაფრთხოების და სანდოობის მიღწევა?
- რამდენად ხდება სქემის პერიოდული განახლება? რა სახის უკუკავშირი ან კორექტირების მექანიზმი არსებობს? რა ფორმით ხდება სქემის ოპტიმიზირება?
- განსხვავებულია მხარდაჭერა ტექნოლოგიების მიხედვით?
- როგორია მოსალოდნელი ზეგავლენა ელექტროენერგიის წარმოების გათვალისწინებით?
- განაპირობებს ენერგოეფექტურობის კრიტერიუმის დაკმაყოფილება მხარდაჭერის პირობითობას?
- მოქმედი ღონისძიებაა? შეგიძლიათ ეროვნული საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტის მითითება?
- დაგეგმილი სქემაა? როდის იქნება ის მოქმედი?
- დაწყების და დასრულების (პერიოდი) თარიღები არის მთლიანად სქემის შემუშავებისთვის დადგენილი?
- დადგენილია სისტემის მაქსიმუმი და მინიმუმი ნებადართული ზომები?
- შესაძლებელია იმავე პროექტის მხარდაჭერა ერთზე მეტი მხარდამჭერი ღონისძიების მიერ? რომელი ღონისძიებების დაჯამებაა შესაძლებელი?
- მოქმედებს რეგიონალური/ადგილობრივი სქემები? თუკი მოქმედებს, გთხოვთ დეტალურად მიუთითეთ იმავე კრიტერიუმები.

საქართველოში დღეისთვის ასეთი სქემები არ არის გამოყენებული

კონკრეტული კითხვები ინვესტიციის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ:

- რას უზრუნველყოფს სქემა? (სუბსიდირება, კაპიტალის გრანტები, დაბალი საპროცენტო სესხები, საგადასახადო შეღავათები ან შემცირება, გადასახადების დაბრუნება)
- ვინ ისარგებლებს სქემიდან? განსაზღვრულია კონკრეტული ტექნოლოგია(ები)?
- უწყვეტად ხდება აპლიკაციების მიღება ან გაცემა, თუ ადგილი აქვს პერიოდულ შეთავაზებებს? პერიოდულის შემთხვევაში, შეგიძლიათ აღწეროთ სიხშირე და პირობები?

გარდა ტესტში ნახსენები სხვა ღონისძიებებისა, ამჟამად საქართველოში დაგეგმილია განახლებადი ენერგიის პოლიტიკის მხარდამჭერი შემდეგი სამი ღონისძიების განხორციელება:

1. მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების დანერგვის წახალისება: ეს პროგრამა სავარაუდოდ მოიცავს საგრანტო სქემას ოჯახებისთვის, მზის წყლის გამათბობლების შესაძენად და ასევე მწარმოებლების შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. ბაზრის სტიმულირებისთვის სავარაუდოდ

სუბსიდირება შეადგენს 150 ევროს ერთ მზის წყალ გამაცხელებლისთვის, ეს პროგრამა მოიცავს პერიოდს 2020 წლის ჩათვლით, თუმცა შესაძლებელია მისი გაგრძელება. ამ პროგრამის ბენეფიციარები იქნებიან შედარებით ღარიბი ოჯახები რეგიონებიდან.

2. ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების დანერგვის წახალისება: სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს დასამუხტი სადგურებისთვის შეფასებულ ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, რაც შეადგენს 4,000 ევროს თითოეული დამუხტვის სადგურისთვის, ხოლო 2020 წლისთვის მოთვნილია აღნიშნული ტიპის 850-900 სადგურის შექმნა. ელექტრომობილების იმპორტი ამჟამად გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

3. გეოთერმული სითბოს წარმოების მუდმივი მხარდაჭერა: ეს პროგრამა გულისხმობს გეოთერმული რესურსების გამოყენების ზრდის მიზანშეწონილობის შესწავლას, ასეთი კვლევის ჩატარების სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 300,000 ევროს შეადგენს.

კონკრეტული კითხვები სავაჭრო სერტიფიკატებზე:

- არის თუ არა ეგწ-დან წარმოებული ელექტროენერგიის სავალდებულო წილი მთლიან მიწოდებაში?
- ვის აქვს ასეთი ვალდებულება?
- რომელ ტექნოლოგიებს ფარავს სქემა?
- საერთაშორისო ვაჭრობა ნებადართულია სერტიფიკატით? რა პირობებია?
- არსებობს დაბალი ფასის ზღვარი?
- წესდება ჯარიმა არ შესრულებაზე?
- როგორია სერტიფიკატების საშუალო ფასი? გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია? სად შეიძლება მოძიება?
- როგორია სერტიფიკატების სავაჭრო სქემა?
- რა პერიოდით შეუძლია ელექტრო სადგურს სქემაში მონაწილეობა?

დღეისთვის საქართველოში არ არის გამოყენებული

კონკრეტული კითხვები სუბსიდირებულ ფიქსირებულ ტარიფებზე :

- როგორია ფიქსირებული ტარიფების მისაღები პირობები?
- არსებობს თუ არა წლიური ელექტროენერგიის წარმოების მთლიანი მოცულობის ზედა ზღვარი ან დადგმული სიმძლავრე, რომელსაც ტარიფით სარგებლობის უფლება აქვს?
- არის ეს ტექნოლოგიურად სპეციფიკური სქემა? როგორია თითოეული მათგანის ტარიფის დონეები?
- არსებობს ტარიფის დიფერენციაციას სხვა კრიტერიუმი?
- რა პერიოდით არის გარანტირებული ფიქსირებული ტარიფი?
- მოიაზრება რაიმე სახით სქემაში ტარიფის კორექტირება?

დღეისთვის საქართველოში არ არის გამოყენებული

კონკრეტული კითხვები სუბსიდირებულ პრემირებაზე:

- როგორია პრემიის მისაღები პირობები?
- არსებობს წელიწადში ელექტროენერგიის წარმოების მთლიანი მოცულობის ზედა ზღვარი ან დადგმული სიმძლავრე, რომელსაც პრემიით სარგებლობის უფლება აქვს?
- არის ეს ფიქსირებული ტარიფის ალტერნატივა?

- არის ეს ტექნოლოგიურად სპეციფიკური სქემა? როგორია თითოეული მათგანის პრემიის დონე?
- არსებობს პრემიის ზედა და ქვედა ზღვარი? გთხოვთ დააკონკრეტეთ
- რა პერიოდით არის გარანტირებული პრემიის ღირებულება?
- მოიაზრება რაიმე სახით სქემაში ტარიფის კორექტირება?

დღეისთვის საქართველოში არ არის გამოყენებული

კონკრეტული კითხვები ტენდერებთან დაკავშირებით:

- როგორია ტენდერების სიხშირე და მოცულობა?
- რომელი ტექნოლოგიები მითითებული?
- ინტეგრირებულია ქსელის განვითარების გეგმასთან?

დღეისთვის საქართველოში არ არის გამოყენებული

3.4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან წევრ-სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა გათბობისა და გაგრილების სისტემებში

ა) ეგწ-დან მიღებული ელექტროენერგიის მხარდამჭერი სქემების ადაპტირება

დღეისთვის საქართველოში ეს მიდგომა არ არის დანერგილი. სავარაუდოდ, სითბოსა და ელექტროენერგიის კომბინირებული უზრუნველყოფა მოხდება სხვადასხვა ნარჩენების ბიოგაზზე მომუშავე სისტემებში. თუმცა დამხმარე სქემა დღეისთვის არ არის დანერგილი.

ბ) დამხმარე სქემები ეგწ-დან ცენტრალური გათბობის და გაგრილების წახალისებისათვის ?

ქვეყანაში ასეთი სქემები არ არის დანერგილი. არსებობს მხოლოდ გეგმა ცენტრალური გათბობის ტექნიკური-ეკონომიკური შესწავლის ჩატარებაზე, რომელიც ბუნებრივ გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების ნარჩენ სითბოს იყენებს, და შეიძლება ეგწ-ბიდან რაიონული გათბობის დამხმარე სქემად გარდაიქმნას. ეს ყველაფერი მხოლოდ გეგმის დონეზეა.

გ) დამხმარე სქემები ეგწ-დან მცირემასშტაბიანი გათბობისა და გაგრილების ხელშეწყობის მიზნით

ქვეყანაში ასეთი სქემები არ არის დანერგილი. ფართომასშტაბიანი ბიომასის ღუმელების და მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების განვითარება დონორთა მიერ ინიცირებულ გეგმებშია მოცემული. ეს ყველაფერი მხოლოდ გეგმის დონეზეა.

დ) რომელი სამრეწველო მოხმარებისთვის ეგწ-დან გათბობის და გაგრილების დამხმარე სქემები

დღეისთვის საქართველოში ასეთი სქემები არ არის გამოყენებული.

3.5. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან წევრ-სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირებული სქემების დანერგვის ხელშეწყობა ტრანსპორტის სექტორში

ა) კონკრეტული ვალდებულებები/მიზნები ყოველი წლისთვის (სასწავლის ან ტექნოლოგიის მიხედვით)

დღეისთვის საქართველოში არ არის გამოყენებული.

ბ) მხარდაჭერა საწვავის ტიპებისა და ტექნოლოგიების მიხედვით, კონკრეტული მხარდაჭერა იმ ბიოსაწვავების მიმართ, რომლებიც დირექტივის 21-მუხლის (2) პუნქტის კრიტერიუმს აკმაყოფილებენ

ქვეყანაში ასეთი სქემები არ არის დანერგილი. ფართომასშტაბიანი ბიომასის ღუმელების და მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების განვითარება დონორთა მიერ ინიცირებულ გეგმებშია მოცემული. ეს ყველაფერი მხოლოდ გეგმის დონეზეა.

3.6. ბიომასიდან ენერგიის მისაღებად კონკრეტული ღონისძიებების ხელშეწყობა

ამ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი და იმპორტირებული ბიომასის რესურსების ადგილობრივი პოტენციალი და გაზრდილი ნაკადი და სხვა არა ენერგო მატარებელ სექტორებზე (კვების მრეწველობა, ცელულოზის და ქაღალდის მრეწველობა, სამშენებლო მრეწველობა, ავეჯის დამზადების მრეწველობა) გავლენის და ურთიერთქმედების შეფასება.

3.6.1. ბიომასის მიწოდება: ადგილობრივი და გარე წყარო

საქართველოს რეგიონები სითბოს მიწოდების საკითხში მუდმივ კრიზისს განიცდის. შეშა, როგორც საწვავი, რომელიც ქვეყნის ენერგო ბალანსის 12% და ადგილობრივ პირველადი ენერგიის 35% შეადგენს, გამოიყენება უაღრესად არამდგრადი გზით. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო წლიურ ხელმისაწვდომ განახლებად შეშის რესურსს განსაზღვრავს 600,000მ³ -ით, მაშინ, როცა მთლიანი მოხმარება განსაზღვრულია 2,5 მილიონი მ³ -ით 2014 წელს.

2020 წლამდე მოქმედი, ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივის შესაბამისად, მდგრადობის კრიტერიუმი ვრცელდება მხოლოდ ბიოსაწვავსა და ბიოსითხეებზე, და არა ბიომასაზე. ამის გათვალისწინებით, ბიომასის არსებული მოხმარების მაჩვენებელი გათბობისათვის შესულია განახლებადი ენერგიის წილის ყოველწლიურ გაანგარიშებაში, როგორც გასული, ასევე 2020 წლამდე პერიოდისთვის. ბიომასის მდგრადობის კრიტერიუმი დაფიქსირდება მხოლოდ განახლებადი ენერგიის 2020–2030 წლების დირექტივის ახალ რედაქციაში, რომელიც ამჟამად გადის საპარლამენტო პროცედურებს ევროპარლამენტში. ამ დირექტივის ენერგეტიკული თანამეგობრობის მიერ მიღების შემდეგ მისი გათვალისწინება გახდება სავალდებულო ყველა ხელმომწერი ქვეყნის კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან (საბაზისო წელი) 2016 წლამდე (ბოლო წელი, რომლისთვისაც იყო ხელმისაწვდომი ენერგობალანსი) მერქნული საწვავის-შემოს მოხმარება დაახლოებით 911 გიგავტ სთ-ით (ანუ 17% -ით, რაც დაახლოებით 400 000 მ³ ს წარმოადგენს) შემცირდა და შეადგინა 2.1 მლნ.მ³.

მეორეს მხრივ, სახეზეა ხის ბიომასის ნარჩენების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობა, რომელიც ამჟამად არ გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მყარი ბიოსაწვავის სახით (ბრიკეტები, პალეტები და ნაფორები) გათბობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად - განსაკუთრებით დედაქალაქს გარეთ. ეს მოიცავს სასოფლო-სამეურნეო (თეორიული პოტენციალი 7-8 პეტაჯოულის ექვივალენტი წელიწადში) და სატყეო ნარჩენს, ისევე როგორც ქალაქებში ხეების გადაბეღვის შედეგად მიღებული ნარჩენს და სხვა არასაკმარისად გამოყენებულ წყაროებს. ეს წყაროები შესაძლებელია შეჯამდეს შემდეგი სახით:

ბიომასის ნარჩენები: თეორიული პოტენციალი შეადგენს 1 მილიონ მ³. სასოფლო-სამეურნეო მიწები დაახლოებით 3.02 მილიონ ჰექტარს შეადგენს. დაახლოებით 0.8 მილიონი ჰექტარი სახნავი მიწაა და 0.33 მილიონი ჰექტარი გამოიყენება მრავალწლოვანი კულტურებისთვის. სასოფლო-სამეურნეო მიწების დარჩენილ შემადგენლებს სამოვრები (1.8 მილიონი ჰექტარი) და მდელოები (0.14 ჰექტარი) წარმოადგენენ.³⁵

საყოფაცხოვრებო ნარჩენები: მუნიციპალიტეტის მონაცემების თანახმად, თბილისისა და ქუთაისის ნარჩენების შეგროვების ადგილებზე წელიწადში დაახლოებით 900,000 ტონა ნარჩენი გროვდება. ამ ნარჩენების გადამუშავებით 90 მილიონი მ³ ბიოგაზის მიღებაა შესაძლებელი, რაც 64 მილიონ მ³ ბუნებრივ გაზს უდრის. თბილისში მდებარე ნარჩენი წყლების გამწმენდი ნაგებობიდან (ემსახურება 1.2 მილიონ ადამიანს), წელიწადში დაახლოებით 160 მლნ მ³ ბიოგაზის მიღებაა შესაძლებელი. მიღებული ბიოგაზის ენერგია შეფასებულია 1,000 გიგავტ.სთ/წ, რაც 100 მილიონ მ³ ბუნებრივ გაზის შესაბამისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ბიოგაზის მთავარი წყაროების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 12.5 ტვტ.სთ/წ. მიღწევადი პოტენციალი განსაზღვრულია 3-4 ტვტ.სთ წელიწადში (ეს შეფასება არ მოიცავს ენერგეტიკული კულტურების მოყვანის პოტენციალის გამოყენებას). შედარებისთვის, საქართველოში მთლიანი წლიური ელექტროენერგიის გამომუშავება 8, 000 გიგავტ.სთ ფარგლებშია.

ბიომასის პოტენციალი გამოუყენებელი რჩება თუ არ ჩავთვლით შემას, რომელიც საჭმლის მოსამზადებლად და გათბობის მიზნით გამოიყენება და დონორთა მიერ ბიოგაზის დანერგვის მხარდამჭერ მცირე რაოდენობის ინიციატივებს.

ცხრილი 4: ბიომასის მიწოდება 2014 წელს

წარმომავლობა	ადგილობრივი რესურსის რაოდენობა (1)	იმპორტირებული		ექსპორტირებული	ნეტო თანხა	პირველადი ენერგიის წარმოება (ktoe)
		ევროკავშირიდან	არა ევროკავშირიდან	არა ევროკავშირიდან		

³⁵ მიმდინარე მიწათსარგებლობის პოლიტიკის საკითხები საქართველოში - ჯ.ებანოიძე, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია, თბილისი, საქართველო

(ა) ბიომასა სატყეო მეურნეობის სექტორიდან (2)	რომლის (1000 მ³):	2,474.8	0	0	0	2,474.8	461.05
	(1) ტყეებიდან და სხვა ტყით დაფარული მიწებიდან ბიომასის პირდაპირი მიწოდება ელექტროენერგიის წარმოებისთვის	2,474.8	0	0	0	2,474.8	461.05
	(2) ბიომასის არაპირდაპირი მიწოდება ელექტროენერგიის წარმოებისთვის	0	0	0	0	0	0
(ბ) ბიომასა სოფლის და სათევზაო მეურნეობებიდან	რომლის (ტონა):	9,800	0	0	0	9,800	3.99
	(1) სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მეთევზეობის პროდუქტები ელექტროენერგიის წარმოებისთვის (ტონა):	8,900	0	0	0	8,900	3.81
	(2) სოფლის მეურნეობის გვერდითი პროდუქტები/დამუშავებულ ლი ნარჩენები და მეთევზეობის პროდუქტები ელექტროენერგიის წარმოებისთვის	900	0	0	0	900	0.17
(გ) ბიომასა ნარჩენების სექტორიდან	საიდანაც:	0	0	0	0	0	-
	(1) მუნიციპალური მყარი ნარჩენების ბიოდეგრადირებული ფრაქცია, რომელიც მოიცავს ბიონარჩენებს (ბაღების, პარკების, საოჯახო მოხმარების, რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების და სავაჭრო ობიექტების საკვები და სამზარეულო ნარჩენები და შესადარებელი ნარჩენები კვების	0	0	0	0	0	-

გადამამუშავებელი საწარმოებიდან და წაგვსაყრელების მიერ გამოყოფილი გაზი						
(2) სამრეწველო სექტორის ნარჩენების ბიოდეგრადირებული ფრაქცია (ქაღალდი, მუყაო,)	0	0	0	0	0	0
(3) საკანალიზაციო შლამი	0	0	0	0	0	0

რესურსის რაოდენობა მ³ (თუკი, შესაძლებელია, სხვა შემთხვევაში შესაბამის ალტერნატიულ ერთეულებში)
კატეგორია (ა) -ვის და მისი ქვეკატეგორიებისთვის და კატეგორიები (ბ) და (გ)-სთვის და მათი
ქვეკატეგორიებისთვის ტონებში.

(2) სატყეო მეურნეობიდან მიღებული ბიომასა, აგრეთვე უნდა მოიცავდეს სატყეო მრეწველობიდან მიღებულ
ბიომასასაც. ტყის გადამამუშავების შედეგად მიღებული ბიომასის კატეგორიაში მყარი საწვავი, როგორიცაა ხის
ჩიპსები, პალეტები და ბრიკეტები უნდა შევიდეს წარმოშობის შესაბამის ქვეკატეგორიებში.

2014 წლის მონაცემების წყარო: საქსტატი (2015) საქართველოს ენერგო ბალანსი 2015 (2014 წლის მონაცემები)
http://geostat.ge/?action=page&&p_id=2084&lang=eng

ცხრილი 5: სავარაუდო შიდა მიწოდება 2016-2020წ.წ.

		შიდა რესურსის სავარაუდო რაოდენობა	პირდაპირი ენერგო წარმოება (1000 ტ.ნ.ე)	შიდა რესურსის სავარაუდო რაოდენობა	პირდაპირი ენერგო წარმოება (1000 ტ.ნ.ე)
(ა) ბიომასა სატყეო მეურნეობის სექტორიდან (2)	საიდანაც:	2045.2	395.17	2147.46	414.93
	(1) ტყეებიდან და სხვა ტყით დაფარული მიწებიდან ბიომასის პირდაპირი მიწოდება ელექტროენერგიის წარმოებისთვის (1000მ ³)	2045.2	395.17	2147.46	414.93
	(2) ბიომასის არაპირდაპირი მიწოდება ელექტროენერგიის წარმოებისთვის (1000 ტ)	0.5	0.19	0.53	0.20
(ბ) ბიომასა სოფლის და სათევზაო მეურნეობებიდან	საიდანაც: (1000 ტ)	28.1	2.84	29.51	2.98
	(1) სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მეთევზეობის პროდუქტები ელექტროენერგიის წარმოებისთვის (1000 ტ)	28.1	2.84	29.51	2.98
	(2) სოფლის მეურნეობის გვერდითი პროდუქტები/დამამუშავებული ნარჩენები და მეთევზეობის პროდუქტები	0	0	0	0

	ელექტროენერგიის წარმოებისთვის				
(გ)ბიომასა ნარჩენების სექტორიდან	საიდანაც:	0	0	0	0
	(1) მუნიციპალური მყარი ნარჩენების ბიოდეგრადირებული ფრაქცია, რომელიც მოიცავს ბიონარჩენებს (ბაღების, პარკების, საოჯახო მოხმარების, რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების და სავაჭრო ობიექტების საკვები და სამზარეულო ნარჩენები და შესადარებელი ნარჩენები კვების გადამამუშავებელი საწარმოებიდან) და ნაგავსაყრელების მიერ გამოყოფილი გაზი	0	0	0	0
	(2) სამრეწველო სექტორის ნარჩენების ბიოდეგრადირებული ფრაქცია (ქაღალდი, მუყაო, დასაფენები)	0	0	0	0
	(3) საკანალიზაციო ნარევი	0	0	0	0

2016 წლის მონაცემების წყარო: საქსტატი (2017) საქართველოს ენერგო ბალანსი 2017 (2016 წლის მონაცემები) http://geostat.ge/cms/site_images/files/english/Energy/Energy%20balance%20publication_2016_ENG.pdf. დაშვება - 2020 წლისთვის მსგავსი მიწოდება იქნება

დაშვებები:

0.186 ტ / მ³ ტყეებიდან და სხვა ტყით დაფარული მიწებიდან ბიომასის პირდაპირი მიწოდება ენერგიის წარმოებისთვის

0.429 ტ /ტონა სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მეთევზეობის პროდუქტები ენერგიის წარმოებისთვის

0.194 ტ /სოფლის მეურნეობის პროდუქტები/დამუშავებული ნარჩენები და მეთევზეობის პროდუქტები ენერგიის წარმოებისთვის

2016-დან 2020 წლამდე - მიწოდების 5% ზრდის ვარაუდი

გასათვალისწინებელია, რომ ტყის ახალი კოდექსის მიღების შემდეგ, შესაძლოა შემოს მიწოდების (და შესაბამისად მოთხოვნის) შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ენერგეტიკული კულტურების მოყვანისთვის	ზედაპირი (ჰექტარი)
სწავმზარდი ხეებისთვის გამოყენებული მიწა (ტირიფი, ალვა)	0
ენერგოინტენსიური კულტურების მოყვანისთვის გამოყენებული მიწა, როგორცაა ბალახები (Reed კანარის ბალახის მარცვლეული (reed canary grass), მისკანტუსი (miscanthus), ტუნისური ბალახი (sorghum), პრერიის მღალი სახეობა- წვრილფოთლიანი ფეტვი (switchgrass))	0

3.6.2. ბიომასის ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები, სხვა ბიომასის მომხმარებლების გათვალისწინებით (სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის სექტორები)

ა) გთხოვთ მიუთითოთ რა დოზით არის მიწა დეგრადირებული

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან 59,560 ჰექტარი მლაშობია³⁶. სხვა ინფორმაცია მიწის დეგრადაციაზე არ მოიპოვება.

ბ) გთხოვთ მიუთითოთ რა ფართობი უკავია აუთვისებელ სახნავ მიწებს

2016 წლის მონაცემების თანახმად³⁷, საქართველოს მთლიანი 795,300 ჰექტარი სახნავი მიწების 420,000 ჰექტარი კულტივირებულია, ხოლო 375,000 ჰექტარი შემდეგი მიზეზების გამო არ იქნა ათვისებული:

- ქვიანი ნაკვეთები, სადაც ტექნიკური საშუალებების მუშაობა შეუძლებელია
- არსებული ნაკვეთები მაღალი ხარისხის დაქანებით გამოირჩევა და მანქანებს ამ მოცემულობაში მუშაობა უჭირთ

გ) ღონისძიებები აუთვისებელი, დეგრადირებული მიწების ენერგო მიზნებისთვის გამოყენებისთვის

დღეის მდგომარებით, ღონისძიებები არ არის დაგეგმილი აუთვისებელი, დეგრადირებული მიწების ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენების შესახებ

დ) არსებული პირველადი მასალის (როგორცაა ცხოველთა ნაკელი) ენერგოგამოყენება

ნაკელი და სხვა არა სახიფათო მასალები, რომლებიც წარმოიქმნება ფერმერული და სატყეო სამუშაოების შედეგად, ეროვნული ნარჩენების მართვის კოდექსის მიერ არ არის გათვალისწინებული.

³⁶ გაუდაზნოენასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული სამოქმედო პროგრამა, 2014 – 2022

³⁷ ინფორმაცია მოწოდებული იქნა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის დარგის განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის მიერ

დღეისთვის ენერგიის წარმოებისთვის ამ მასალების გამოყენება როგორც პირველადი მასალის სახით არ იგეგმება.

ე) კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიოგაზის წარმოებას და გამოყენებას

დღეისთვის ბიოგაზის წარმოება/გამოყენებისთვის ხელშემწყობი პოლიტიკა არ არის შემუშავებული .

ამჟამად, დონორთა მხარდაჭერით, ქვეყანაში 337 მცირე ზომის ბიოგაზის დაიჯესტერი ფუნქციონირებს. ამ მცირე ზომის დაიჯესტერების ძირითადი მახასიათებლებია:

- მცირე ზომის მეზოფილური ბიორეაქტორი 6მ³ მოცულობისაა და მოთხოვს შესაბამის ნარჩენ მასალას, რომელსაც საშუალოდ 4 ზრდასრული ძროხა გამოიმუშავებს. რეაქტორის ტემპერატურა 25-40°C. თანამედროვე მეზოფილურ ბიორეაქტორებს შეუძლიათ თითო მ³ -ზე 0.2-0.4მ³ წარმოება.
- მცირე ზომის თერმოფილური ბიორეაქტორი 6მ³ მოცულობისაა და მოთხოვს შესაბამის ნარჩენ მასალას , რომელსაც საშუალოდ 5 ან მეტი მეწველი ძროხა გამოიმუშავებს. რეაქტორის ტემპერატურა 50-55°C. თანამედროვე თერმოფილურ ბიორეაქტორებს შეუძლიათ რეაქტორის თითო მ³ - ზე 0.2-6 მ³ გაზის წარმოება.

ვ) დაგეგნილი ღონისძიებები სატყეო მეურნეობის მართვის მეთოდების გაუმჯობესებისთვისა და ტყეებიდან მდგრადი საშუალებით ბიომასის ამოღების მაქსიმიზაციისთვის

2016 წელს, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით და მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, ENPI FLEG II პროგრამის ფარგლებში ახალი ტყის კოდექსის შემუშავების პროცესი დაიწყო. ახალი ტყის კოდექსის შემუშავებამ სექტორთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ეროვნული სტრატეგიის ვალდებულებათა შესრულებას მისცა ბიძგი.³⁸

კოდექსის მიზანია ტყეების მდგრადი მართვისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვის უზრუნველყოფა, ისევე როგორც ტყეების თვისებების და რესურსების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების მიზნით. საქართველოს ტყის კოდექსში სატყეო მეურნეობის მდგრადი მართვის გაწერილმა მთავარმა პრინციპებმა მისი მდგრადი მართვა უნდა უზრუნველყონ.

საქართველოს ტყის კოდექსი გახდება ქვეყნის სატყეო მეურნეობის აღდგენის საფუძველი, უზრუნველყოფს სექტორულ სტაბილურობას და ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფასეულობის გათვალისწინებით ტყის რესურსის რაციონალურ გამოყენებას.

³⁸ პარაგრაფი N 299 „ახალი ტყის კოდექსის შემუშავება; მიმოხილვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან“ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ ქვეყნებს შორის და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ მიღებული საქართველოს მთავრობის N 59 დადგენილებით, 2015

ეროვნული მიზანი C.3-02.1 “ტყის კოდექსის გადახედვა მონაწილეობითი წესით“ „საქართველოს ბიომრავალ-ფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმა“, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 8 მაისის ბრძანება N 343; ასევე თავი 7.1 და თავი 7.6- ის მიზანი N1 „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა“ დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება N127

გაცხადებული მიზნების მისაღწევად, ახალი ტყის კოდექსი ცვლის არსებით მიდგომებს და გვთავაზობს ახალ კონცეფციებს, მათ შორის:

ახალი კოდექსის თანახმად, საქართველოს ტყის კონცეფცია მოიცავს ტყეების სახელმწიფო განკარგვას, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ორგანიზაციების მიერ მისი რესურსების მართვას. კანონპროექტში არ გამოიყენება ცნება „ტყის ფონდი“ მისი ჩანაცვლება მოხდა ცნება „ტყით“, რომელიც ასევე მოიცავს სატყეო მიწას ან ტერიტორიებს, რომელიც წარმოადგენს ტყის ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს. ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს რიგ კრიტერიუმებს, რომელიც ტყის საზღვრების დადგენას ამარტივებს. „ტყის“ ცნება გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ არის დამკვიდრებული. კანონპროექტის თანახმად, ტყედ ითვლება მიწის ნაკვეთი, მინიმუმ 10 მეტრი სიგანის და 0.5 ჰექტარის მიწის ნაკვეთი, რომელიც დაფარულია ერთი ან რამდენიმე ხე-ტყის სახეობით³⁹, სადაც ხეების ბარჯის სიმჭიდროვემიწის ნაკვეთის მინიმუმ 20%-ს შეადგენს.⁴⁰ სააგენტოს მენეჯმენტი 2017 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში ტყეების ინვენტარიზაციის ღონისძიებებს ჩაატარებს და 1.491 მილიონი ჰექტარის (39 მუნიციპალიტეტში) მართვის გეგმებსაც შეიმუშავებს. ტყეების ინვენტარიზაციის განხორციელებისთვის სავარაუდო მოსაზიდი ფინანსური რესურსი 14,921,000 ლარს (5.48 მილიონ ევროს) შეადგენს.

ზ) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის სექტორებიდან მიღებული ბიომასიდან ელექტროენერგიის გამოყენების ზეგავლენის მონიტორინგი სხვა სექტორებზე

ამჟამად, ბიომასის, როგორც ენერგიის წყაროდ გამოყენების საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ჩარჩო არ არსებობს. არ არსებობს აგრეთვე ენერგიის და განახლებადი ენერგიის საერთო კანონი, რომელიც ბიომასას როგორც ენერგიის წყაროდ განიხილავდა და პასუხისმგებლობას მის გამოყენება/განვითარებაზე დააწესებდა. ხის მასალიდან მიღებული საწვავი, რომელიც შიდა პირველადი ენერგიის 35% შეადგენს, ეკომომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობის სფერო არ არის და საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკაში არ არის გათვალისწინებული.

სამინისტროში სატყეო სექტორის რეფორმირების სტრატეგიაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მიზანია არსებული არამდგრადი პარკტიკის რეფორმირება და ტყის უფრო მდგრადი გამოყენება. 2017-2020 წ.წ. სატყეო სექტორის რეფორმირების სტრატეგიის უმთავრესი მიზანია საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის განხორციელების მხარდაჭერა და ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება. რეფორმის ძირითადი იდეები გულისხმობს:

- ეროვნული სატყეო სააგენტო პირდაპირი გზით იქნება ჩართული ეკონომიკურ აქტივობებში და ტყეების ეკონომიკური გამოყენების მიზნით მათ მართვას განახორციელებს ან ტყეების კომერციული მართვისთვის ტყეების მართვის ორგანოს გამოყოფს;
- ტყის რესურსებით სარგებლობის ახალი ლიცენზიები არ გაიცემა;
- ტყის სოციალური ჭრები შეჩერდება და მოხდება მისი ჩანაცვლება უფრო ეფექტური მოდელით;
- ეროვნული სატყეო სააგენტო წარმართავს და ზედამხედველობას გაუწევს ტყის მართვასა და მოპოვებას, რომ მოსახლეობა და ორგანიზაციები რეგიონებში ხის საწვავით უზრუნველყოს.

³⁹ კოდექსი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ტყის ფორმირების სახეობებს წარმოადგენს ხეები და სხვა ხემცენარეები, რომლებიც შედიან ტყეების ფორმირების ხემცენარეთა სიაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ

⁴⁰ სატყეო მეურნეობის სექტორის მიმოხილვა, ნათია იორდანიშვილი 2017 მარტი

თ) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის სექტორებზე დაყრდნობით მოსალოდნელი განვითარება სხვა სექტორებში

მოსალოდნელია, რომ სამოქმედო გეგმის პირველი სამი წლის განმავლობაში, მყარი ბიოსაწვავის (UBF) სტრატეგიის დანერგვის მიზნით შემდეგი პარალელური მოვლენათა განვითარება იქნება სახეზე:

- მოსალოდნელია, რომ ეროვნული სატყეო სააგენტო სატყეო სექტორის მართვაზე ზედამხედველობისა და მარეგულირებელ ფუნქციას შეითავსებს, ხოლო სატყეო მეურნეობაში ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი იქნება სხვა საჯარო სააგენტო ან კერძო კომპანია. ამ ცვლილების შედეგად, სატყეო მეურნეობაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მიღებული ბიომასის ნარჩენები გამჭირვალე და კონკურენტუნარიან პირობები იქნება ხელმისაწვდომი;
- სატყეო მეურნეობაში რეგულარული ქვეტყის გამოხშირვის, მოვლის, სანიტარული ჭრის ინვენტარიზაცია და დაგეგმვა წლიურად ნარჩენი ბიომასის რაოდენობის განსაზღვრას შეუწყობს ხელს;
- ხის საწვავის მისაღებად ტყეების არამდგრად გამოყენებაზე ღირებულების და ეფექტურობის ანალიზი ჩატარდება, სადაც გათვალისწინებული იქნება ძირითადი გარე ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სატყეო მოსავლის არამდგრად შეგროვებასთან დაკავშირებულ სოციალურ ხარჯებს;
- ახლახანს ჩამოყალიბებული ბიომასის ასოციაცია ბიზნესის განვითარებასა და UBF სტრატეგიის მხარდამჭერ პოლიტიკას დაუჭერს მხარს;
- ეფექტური შემოს ღუმელების NAMA დანერგვა განხორციელდება, რაც საქართველოში არსებული შემოს ღუმელების ეფექტურობას გააუმჯობესებს.

3.7. წევრ-სახელმწიფოთა შორის სტატისტიკური მონაცემების გადაცემის დაგეგმილი გამოყენება და სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ან მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში დაგეგმილი მონაწილეობა

3.7.1. პროცედურული ასპექტები

ა) არსებული ან დაგეგმილი ეროვნული პროცედურები (ეტაპობრივად), რომლებიც ხელ უწყობენ სტატისტიკური მონაცემების გადაცემას ან ერთობლივ პროექტებს (პასუხისმგებელი ორგანოები და საკონტაქტო ერთეულები)

ჯერ არ არის შექმნილი

ბ) საშუალებები რითაც კერძო პირებს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ან მესამე ქვეყნებთან შეთავაზების გაკეთების და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცემათ .

ჯერ არ არის შემუშავებული

გ) კრიტერიუმი, როდესაც სტატისტიკური მონაცემის გადაცემა ან ერთობლივი პროექტების გამოყენება შესაძლებელი

ჯერ არ არის შემუშავებული

დ) მექანიზმი წევრი სახელმწიფოების ერთობლივ პროექტში ჩართვის უზრუნველსაყოფად?

ჯერ არ არის დაგეგმილი

3.7.2. განახლებადი ენერგიის სავარაუდო ჭარბი წარმოება მაჩვენებელ ტრაექტორიასთან შედარებით, რომელიც შესაძლოა გადაეცეს სხვა წევრ-სახელმწიფოებს

არ არის შესაბამისი

3.7.3. განსაზღვრული პოტენციალი ერთობლივი პროექტებისთვის

არ არის შესაბამისი

3.7.4. განახლებად ენერგიებზე სავარაუდო მოთხოვნა, არამხოლოდ ადგილობრივი წარმოების დასაკმაყოფილებლად

შესაბამისი არ არის

4. შეფასებები

4.1. ზეგავლენის შეფასება

ქვემოთ მოცემული ღირებულების შეფასება წარმოადგენს მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარების სავარაუდო ინვესტირების ღირებულებას და არა მთლიანად სისტემების ღირებულებას. კერძოდ, კონკრეტული დამხმარე ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- 1. მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების დანარეგვის წახალისება:** სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს 2020 წლამდე ბაზრის სტიმულირებისთვის სავარაუდო აუცილებელ სუბსიდირებას, რომელიც შეადგენს 150 ევროს ერთ მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლისთვის, შემდგომი გაგრძელების პოტენციალის გათვალისწინებით. სათბური გაზების სავარაუდო შემცირება შეფასებულია არამდგრადი ხე-ტყის და/ან ბუნებრივი გაზის შემცირების საფუძველზე.
- 2. ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების დანერგვის წახალისება:** სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს დასამუხტი სადგურებისთვის შეფასებულ ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, რაც შეადგენს 4,000 ევროს თითოეული დამუხტვის სადგურისთვის, ხოლო 2020 წლისთვის 850-900 ასეთი ტიპის სადგურის შექმნაა მოთხოვნილი. ეს ხარჯები არ ასახავს სისტემურ ხარჯებს, რაც უკავშირდება ელექტროენერგიის, კაპიტალურ ხარჯებს/სუბსიდირებას/ საგადასახადო შეღავათებს ელექტრომობილების შეძენაზე ან სხვა მიმდინარე ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურების ხარჯებს.

შემდეგი სამი ღონისძიებისთვის, სავარაუდო ღირებულება ასახავს სავარაუდო ინვესტიციებს ელექტროენერგიის მწარმოებელ დანადგარებში და არა მთლიან სისტემურ ხარჯებს (გაყიდული ენერგიის ღირებულება და მიერთების მოსაკრებლები)

3. ჰიდროელექტროენერგიის წარმოების მიმდინარე მხარდაჭერა

1. ქარის ენერგიის წარმოების მხარდაჭერა
2. მზის ენერგიის წარმოების მხარდაჭერა

გეოთერმული სითბოს წარმოების ხარჯების დადგენა ვერ მოხერხდა ინფრომაციის არარსებობის გამო.

ცხრილი 7: განახლებადი ენერგიის პოლიტიკის მხარდამჭერი ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება და სარგებელი

ღონისძიება	განახლებადი ენერგიის მოსალოდნელი მოხმარება (ktoe) (2018 - 2020)	სავარაუდო ღირებულება (ევრო) (2018 - 2020)	პერიოდი	სათბურის გაზების სავარაუდო შემცირება (ტ/წ)	დამატებითი სამუშაო ადგილების სავარაუდო რაოდენობა
1. მზის წყალ გამაცხელებლების დანერგვის მხარდაჭერა	5.2	€ 2,328,00	2018 - 2020 (და შემდგომ)	7,118	არ არის დათვლილი
2. ელექტრომობილების დანერგვის მხარდაჭერა	7.3	€ 2,584,000	2018 - 2020 (და შემდგომ)	18,985	არ არის დათვლილი
3. ჰიდროელექტროენერგიის წარმოების მიმდინარე მხარდაჭერა	553.6	€ 984,782,000	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
4. ქარის ენერგიით ელექტროენერგიის წარმოების მხარდაჭერა	25.2	€ 70,500,000	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
5. მზის ენერგიით ელექტროენერგიის წარმოების მხარდაჭერა	0.7	€ 4,903,000	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
6. ენერგიის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურების (100 კვტ.-მდე) წახალისება	2.2	€ 24,517,000	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
7. გეოთერმული სითბოს წარმოების მიმდინარე მხარდაჭერა	61.6	არ არის დათვლილი	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი

8. მყარი ბიომასის რესურსების გამოყენების მართვის გაუმჯობესება - ტყის ახალი კოდექსის შემუშავება, ტყეების ინვენტარიზაცია და ნარჩენების გამოყენების წახალისება	N/A	€ 5,480,000	2018 - 2020	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
9. გათბობა-გაგრილების ცენტრალური სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარება	N/A	45 - 50 მლნ.აშშ დოლარი	2018 - 2020	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი
10. ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტექნიკური კადრების პოტენციალის გაზრდა	N/A	€ 50 - 100,000 ყოველწლიურად	2018 - 2020 (და შემდგომ)	არ არის დათვლილი	არ არის დათვლილი

4.2. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი

ა) ადგილობრივი ხელისუფლების და/ან ქალაქების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ამ დოკუმენტის შემუშავებისას

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ძირითად სახელმწიფო უწყებას ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს. სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამინისტროს ეგიდით ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირი ფორმით არ იყვნენ ჩართულები ამ პროცესში, თუმცა სამოქმედო გეგმაზე მომუშავე გუნდი საქართველოს წამყვანი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ მომზადებულ ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის დოკუმენტს და ერთ ენერგეტიკის მდგრადი და გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმის დოკუმენტს გაეცნენ.

რაც შეეხება სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ოფიციალური მოწვევა სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად შემდეგ ორგანიზაციებს დაეგზავნათ: გარემოს დაცვის და სოფლის

მეურნეობის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია (კომისია), საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები, საქსტატი, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს სრული ექსპერტული მხარდაჭერა ენერგოეფექტურობის ცენტრი-საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტებისგან შემდგარმა გუნდმა გაუწია.

ბ) გეგმები ადგილობრივ დონეებზე განახლებადი ენერგიის სტრატეგიების შემუშავებასთან დაკავშირებით

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისთვის საქართველოს 23 ქალაქმა მერების შეთანხმებას (CoM) მოაწერა ხელი, რომელიც ევროკავშირის ინიციატივას წარმოადგენს, რითაც ხელმომწერებმა ევროკავშირის მიერ 2020 წლისთვის დაგეგმილ სათბურის გაზების 20%-იან შემცირებაში წვლილი უნდა შეიტანონ. ამასთან, ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ, ევროკომისიას ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა (SEAP) უნდა წარუდგინონ. 23 ხელმომწერი ქალაქიდან მხოლოდ თერთმეტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. 8 ქალაქმა, რომლებიც ახლახანს შეურთდნენ მერების შეთანხმებას კლიმატის ცვლილების შერბილებასთან და ადაპტაციასთან მიმართებაში ინტეგრირებული მიდგომის ვალდებულება აიღეს. მათი ვალდებულებაა ხელმოწერიდან ორი წლის განმავლობაში შეიმუშაონ ენერგეტიკის მდგრადი და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იქნება 2030 წლისთვის სათბურის გაზების შემცირება 30%-ით და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გაზრდა.

გ) საჯარო კონსულტაციები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში

არსებული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ენერგეტიკის დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით, რომლებიც მათი ექსპერტული გამოცდილების შესაბამისად სამ სამუშაო ჯგუფში იყვნენ ჩართულები.

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩარჩო პირველ გაცნობით სემინარზე მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან იქნა განხილული, სამუშაო ჯგუფის წევრები საქართველოს ბიომასის ასოციაციის წევრებს შეხვდნენ და ბიომასასთან და ბიოსაწვავთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. დოკუმენტის ჩარჩოს წარდგენა/განხილვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით სემინარის ფარგლებში შედგა. ამასთან, კონფერენციაზე შემუშავებული დოკუმენტი მთავარ დაინტერესებულ მხარეებსა და ფართე საზოგადოებას, ასევე განახლებადი ენერგიისა და დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე საჯარო და კერძო ორგანიზაციებს, კვლევით ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარედგინა.

მიღებული შენიშვნების და მოსაზრებების საფუძველზე, არსებული სამოქმედო გეგმა შესაბამისად შესწორდა და მთავრობას განსახილველად გადაეცა.

დ) ეროვნული საკონტაქტო პირი/ან ეროვნული უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმის შემდგომ მეთვალყურეობაზე

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმოადგენს ამ სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაზე და განხორციელებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ უწყებას.

ე) მონიტორინგის სისტემა, რომელიც ინდივიდუალური გაზომვის ინდიკატორებს და ინსტრუმენტებს მოიცავს განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის თვალსაზრისით

დღეისთვის ასეთი სისტემა არ არსებობს. სამოქმედო გეგმის განხორციელების ნაწილად შემოთავაზებულია გაზომვის, ანგარიშგების და გადამოწმების სისტემები (იხ.დანართი 2).